ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

ახალი უნივერსიტეტი

17 მაისი, 2018 ხუთშაბათი, №5 (2220)

თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. ეს თანამდებობა, აკადემიური საბჭოს წარდგინებითა და წარმომადგენლობითი საბჭოს თანხმობით, დაიკავა ირმა გრძელიძემ, რომელიც ამავე სამსახურს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში უძღვებოდა.

იმ ეტაპზე, როცა უნივერსიტეტის ავტორიზაციის პროცესი დაწყებულია, ძნელია, მოასწრო პროცესებში სრულფასოვანი ჩართვა, თუმცა პროფესიონალისთვის, რომელმაც კარგად იცის — რომელი სეგმენტის მიმართ რა მოთხოვნები არსებობს, დაუძლეველი არაფერია.

რა კონკრეტული გეგმები აქვს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ახალ ხელმძღვანელს და რა სიახლეებს უნდა ელოდოს საუნივერსიტეტო საზოგადოება უახლოეს მომავალში, გვესაუბრება ირმა გრძელიძე.

გვ. 2

თსუ-ში ევროპის აკადემიის წარმომადგენლობა გაიხსნება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ევროპის აკადემიის რეგიონული წარმომადგენლობა 2018 წლის სექტემბერში ოფიციალურად გაიხსნება. ამის შესახებ შეთანხმებას თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ და ევროპის აკადემიის პრეზიდენტმა ზირდ კლოტინკამ მოაწერეს ხელი.

გვ. 2

ესეების კონკურსი – „დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ – რესპუბლიკის 100 წელი“

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის დაფინანსებით, საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის ესეების კონკურსი გამოცხადდა — „დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ“ — რესპუბლიკის 100 წელი, რომელსაც განათლებისა და ცნობიერების ამაღლების ინსტიტუტი (EARI) განახორციელებს.

მასში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს მოქალაქე სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს.

5 წევრისგან შემდგარი ჟიური (მათ შორის ისტორიკოსი, ლიტერატორი, მწერალი) გამოავლენს კონკურსში მონაწილე ესეების ავტორებიდან 20 საუკეთესოს. ამასთან, სტუდენტებს შორის გამოვლინდება პირველ და მეორე ადგილზე გასული გამარჯვებული, რომელთაც გადაეცემათ ფულადი ჯილდო, I ადგილისთვის — 1500 ლარი, II ადგილისთვის — 1000 ლარი.

პირველ და მეორე ადგილზე გასული გამარჯვებული გამოვლინდება პროფესორ-მასწავლებლებს შორისაც, რომლებიც ასევე მიიღებენ ფულად პრიზებს — I ადილისთვის — 1500 ლარი, II ადგილისთვის — 1000 ლარი.

საკონკურსო განაცხადების მიღების დასრულების შემდეგ მოეწყობა კონკურსანტების შეხვედრა პრეზიდენტთან. პროექტის ბოლოს კი გაიმართება გამარჯვებულების გამოვლენისა და დაჯილდოების ცერემონია, სადაც გამარჯვებულებს პრეზიდენტი დაასახელებს.

კონკურსანტებმა საკონკურსო ნამუშევრები უნდა წარმოადგინონ 7 მაისიდან 27 მაისის ჩათვლით.

საკონკურსო ნამუშევრები უნდა გაიგზავნოს ელექტრონულ ფოსტაზე instituteeari@gmail.com. ნაშრომში აუცილებელია მითითებული იყოს ავტორის სახელი, გვარი, საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება, თქვენი პირადი ელ-ფოსტა და თქვენი ტელეფონის ნომერი (მონაცემების არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში ნამუშევრები არ მიიღება).

EARI

განათლებისა და ცნობიერების ამაღლების ინსტიტუტის (EARI) მიზანია სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა; ცნობიერების ამაღლება; თვითმმართველობებში კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ხელშეწყობა ტრენინგების, ვორქშოფების მოწყობითა და კონკურსების ორგანიზებით.

საკონტაქტო ტელეფონი:
558 45 11 12

ნომერში

- **თავდაცვის მინისტრმა რეზერვის ახალი, ანაზღაურებადი სისტემის დანერგვა დააანონსა**

გვ. 3

- **ახალი წიგნი თაროზე - „ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისთვის“** გვ. 4
- **ვინ გახდა პროფესორ ესტატე ხმალაძის სახელობის სტიპენდიატი** გვ. 5
- **თანამედროვე რუსთველოლოგიური კვლევებით კომენტირებული „ვეფხისტყაოსანი“** გვ. 6

თსუ-ში სტუდენტური პროექტების დაფინანსების კონკურსის მესამე ეტაპი დაიწყო



გვ. 11

- **საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავისა და უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ლექციათა ციკლი** გვ. 10
- **ნანა შათაშვილი: „უნივერსიტეტში გავატარე მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება“** გვ. 11
- **მიკვლეულია ანდრია ბენაშვილის საფლავი** გვ. 13

თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

1-ლი გვ-დან

მაია ტორაძე

— როგორ დაგხვდათ უნივერსიტეტი და თქვენი აზრით, რა გამოწვევების წინაშე დგას იგი ამ ეტაპზე?

— დავამთავრე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამა, თუმცა საკანდიდატო დისერტაცია 2004 წელს აქ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დავიცავი. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ორივე ტრადიციული უნივერსიტეტის წარმომადგენელი ვარ და, შესაბამისად, ვიცი — რა გამოწვევების წინაშე დგას ამ ტიპის ინსტიტუცია. მოგეხსენებათ, ოთხი წელი ვმუშაობდი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსად, რაც, ცხადია, საპასუხისმგებლო იყო, თუმცა, ჩემთვის დიდი გამოწვევა და დიდი პატივი იყო ამ ვაკანსიაზე განაცხადის გაკეთება, რაც აღვნიშნე კიდეც, როდესაც თსუ-ის აკადემიურ საბჭოზე სამოქმედო გეგმის პრეზენტაცია დავიწყე, რადგან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის თავისუფლებისა და სახელმწიფოებრიობისათვის ბრძოლის სიმბოლო.

უნივერსიტეტს აქვს საკუთარი ტრადიციები, თუმცა, საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე პროცესების პარალელურად, ხდება მათი ნოვატორულ ჭრილში განხილვა, მართვის, სწავლებისა და კვლევის პროცესში ახალი ტექნოლოგიების იმპლემენტირება საერთაშორისო სტანდარტებთან მაქსიმალური დაახლოებისა და უნივერსიტეტის ძირითადი მისიის უზრუნველყოფის მიზნით. გამოწვევები კარგი მოტივატორია განვითარებისთვის, ისიც ვიცით, რა პოტენციალი გააჩნია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მისი ადამიანური რესურსებიდან გამომდინარე. დარწმუნებული ვარ, უნივერსიტეტის მისია — იყოს პირველი რეგიონში და ცნობადი მსოფლიოში, მიღწევადია.

— რა მოეწონა აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებს თქვენს პროგრამაში?

— პროგრამა, რომელიც აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებს წარვუდგინე, დამყარებული იყო საკუთარი გამოცდილებისა და არსებული სიტუაციის გაანალიზების შედეგებზე და მოიცავდა ჩემს ხედვას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციების შესრულებისა და უნივერსიტეტის განვითარების ხელშემწყობი ძირითადი ასპექტების შესახებ.

ქართველ და უცხოელ კოლეგებთან ერთად, ხშირად ვსჯელობთ, რომ შიდა ხარისხის უზრუნველყოფა ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა თანამედროვე უნივერსიტეტებისთვის. ეს 2015 წლის მინისტერიალზეც გაცხადდა. შიდა ხარისხის უზრუნველყოფა არის ხარისხის კულტურის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მთავარი ასპექტი. მიმაჩნია, რომ ამის მიღწევა ნებისმიერი ჩვენგანის ჩართულობის გარეშე წარმოუდგენელია, ანუ ხარისხი, როგორც ასეთი, სეგმენტირებულად არ არსებობს. ამიტომ, აუცილებლად უნდა მოვახერხოთ, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, დამხმარე პერსონალი, პროგრამის ხელმძღვანელები, ადმინისტრაცია, ყველა ჩვენი სტრუქტურული დეპარტამენტის თანამშრომელი, დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები ერთად ვზრუნავდეთ საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაზე.

უნდა დამკვიდრდეს ერთგვარი სისტემა, რომელიც ყოველი წლის ბოლოს მოგვცემს სწორი მონაცემების გონივრულ ვადაში შეგროვების და ამ მონაცემების ანალიზის საშუალებას. ფაქტობრივად, ამ მონაცემებზე და ანალიზზე დაყრდნობით უნდა გავაკეთოთ თვითშეფასება და დავსახოთ სამომავლო გეგმები, თუ როგორ უნდა განვვითარდეთ. აი, ეს ორი მიმართულება — ჩართულობა და სისტემური კვლევების არსებობა გახლდათ ჩემს პროგრამაში აქცენტირებული.

რაც შეეხება მესამე მიმართულებას, ეს არის ქართველი თუ უცხოელი კოლეგების მიერ ერთმანეთის შეფასება და კარგი პრაქტიკის გაზიარება. ვფიქრობ, რომ ავტორიზაციის შემდეგ საინტერესო იქნება უნივერსიტეტებმაც გაუზიარონ ერთმანეთს — თუ რამ იმუშავა კარგად და სად იყო ის გამოწვევები, რომლებიც შეიძლება ერთად გამოვასწოროთ. მგონია, რომ ამ საქმეში ქართველი და უცხოელი კოლეგების მხარდაჭერა და ჩართულობა მნიშვნელოვანია.

— ახლა მიმდინარეობს ავტორიზაციის პროცესი. რა ეტაპზე ვართ და რას უნდა ველოდეთ უახლოეს მომავალში?

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას — როგორც ინსტიტუცია, ემზადება ავტორიზაციისთვის და, ამავე დროს, რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამა გადის აკრედიტაციას. ეს პროცესი უფრო მასშტაბურ ხასიათს 2019-2022 წლებში მიიღებს. დღეისათვის კი სამი საგანმანათლებლო პროგრამაა აკრედიტაციაზე წარდგენილი და უახლოეს მომავალში კიდევ სამ პროგრამას წარვადგენთ.

ავტორიზაციის პროცესისთვის მზადება რამდენიმე მიზეზის გამო მარტივი არ არის. ავტორიზაციის ახალი სტანდარტების დანერგვის შემდეგ ყველა ინსტიტუცია ახალი რეალობის წინაშე დადგა. ახალი სტანდარტები რაოდენობრივი მახასიათებლების/ინდიკატორების ნაცვლად, თვისებრივ ინდიკატორებზეა აქცენტირებული და რეალურად აფასებს ინსტიტუციის განვითარებას წინა ავტორიზაციიდან დღემდე. თვითშეფასების ანგარიშიც,

ირმა გრძელიძე

რომელიც ახალი ავტორიზაციისთვის მომზადდა, იმ აქტივობების ანალიზია, რომელსაც უნივერსიტეტი სტანდარტების (და არა მხოლოდ) დასაკმაყოფილებლად ახორციელებდა.

ადრე არსებული ავტორიზაციის 3 სტანდარტისგან განსხვავებით, უკვე 7 სტანდარტი უნდა დავაკმაყოფილოთ. ყველა ამ სტანდარტის დაკმაყოფილება, თავისი ქვესტანდარტებით, უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეულისა და დაინტერესებული პირისაგან დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ეს პროცესი განსაკუთრებით რთულია სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, თუ გავითვალისწინებთ ამ სახელმწიფო ინსტიტუციების რესურსებსა და არსებულ რეგულაციებს.

ავტორიზაცია საკმაოდ რთული ეტაპია, თუმცა ყველა ინსტიტუციამ, მათ შორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმაც, გარკვეული საფეხურები უკვე გაიარა — მომზადებულია თვითშეფასების ანგარიში (შესაბამისი დოკუმენტების თანხლებით) და უკვე წარდგენილია ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. ივნისის პირველ კვირაში ველოდებით ქართველი და უცხოელი ექსპერტების ვიზიტს, რომლებიც ჩვენს მზაობასა და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობას შეამოწმებენ.

— თუ მოასწარით უკვე გაანალიზება — რომელ სეგმენტში უფრო მეტი ხარვეზი გვაქვს?

— ფაქტობრივად, ყველა მიმართულებით შეგვიძლია დავინახოთ პროგრესი და გამოწვევები და ვნახოთ, თუ რა აქტივობები ხორციელდებოდა იმისთვის, რომ თითოეული სტანდარტი დაკმაყოფილებული ყოფილიყო. ჩვენ ვართ სახელმწიფო უნივერსიტეტი და ეს ერთგვარი გამოწვევაც არის, რადგან დაფინანსების მოდელი ყველა მიმართულებით სწრაფი განვითარების საშუალებას არ გვაძლევს.

უნივერსიტეტში მიმდინარე განვითარების პროცესები სისტემური ხასიათის უნდა იყოს. ფაქტობრივად, ჩვენი სამომავლო გეგმაა პროცესების უზრუნველსაყოფად ანგარიშგებისა და სისტემური კვლევების წარმოება.

გარდა ამისა, გვჭირდება რეაგირების მექანიზმების აწყობაც. არსებობს რამდენიმე ტიპის რეაგირება: ერთი, მყისიერი, მეორე, რომელსაც არ სჭირდება განსაკუთრებული ძალისხმევა გამოსასწორებლად და მესამე, რომელსაც სჭირდება დიდი ადამიანური, დროითი და ფინანსური რესურსი. ამ მიმართულებებით აუცილებელია სამოქმედო გეგმების არსებობა და მონიტორინგი.

— ბოლო პერიოდში რამდენჯერმე იქნა შეტანილი ცვლილებები სილაბუსებში. რით იყო ეს გამოწვეული — მოთხოვნები იცვლებოდა ასე სწრაფად თუ ჩვენ ვერ აღვიქვით სწორად, რას სთხოვდნენ ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს?

— სილაბუსი, ასე ვთქვათ, „ცოცხალი ორგანიზმია“. თუკი მე, რაღაც პერიოდის წინ სილაბუსში, შეფასების სისტემაში, მქონდა მითითებული, რომ კონკრეტულ აქტივობას ვაფასებ ტესტით და გარკვეული დროის შემდეგ აღმოვაჩენ, რომ ტესტის მეშვეობით სწავლის შედეგი კარგად ვერ შევაფასე, რა თქმა უნდა, როგორც პროფესორს, მექნება განწყობა, რომ გამოვცვალო ის და მეტად რელევანტური გავხადო. ნებისმიერი ტიპის ცვლილება სილაბუსში სწორედ ასეთი უნდა იყოს — შედეგზე ორიენტირებული და არა ფორმალურ მოთხოვნაზე დამყარებული. ჩვენი პოზიცია სწავლების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებაზე ზრუნვაა, რაც თავისთავად დინამიური პროცესია. სხვათაშორის, ცოტა ხნის წინ შედგა ძალიან საინტერესო შეხვედრა, სადაც თსუ — სან დიეგოს უნივერსიტეტის დეკანმა თქვა, რომ არ არსებობს წარმატება/წარუმატებლობა, როდესაც ლაპარაკია მუდმივ განვითარებაზე. ნებისმიერი ეტაპი არის განვითარების ეტაპი. ვიმეორებ, სილაბუსის ცვლილება არ უნდა იყოს ფორმალური ხასიათის, ის უნდა უზრუნველყოფდეს კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევადობის მაღალ ხარისხს და ჩვენ, შესაბამისად, მაქსიმალურად ვეცდებით, ნებისმიერი ფორმალობა გამოვრიცხოთ. მთავარია, სტუდენტს მივცეთ ხარისხიანი განათლება და ეს შესაბამისად იყოს წარმოდგენილი დოკუმენტებშიც.

აქვე გეტყვით იმასაც, რომ ცალკეულ ფაკულტეტებზე ასეთი რამ გავაკეთეთ: თსუ ფაკულტეტების ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებმა ერთმანეთის პროგრამებს გადახედეს/შეამოწმეს და დაინახეს ის პრობლემები, რაც თითოეულ პროგრამაში არის. დღეს ევროპული და ამერიკული სამეცნიერო საზოგადოება დგას სწორედ კოლეგის შეფასებაზე, რომელიც ყოველთვის არის შეფასება და არასდროს — კრიტიკა. ჩვენ ამ კულტურის დამკვიდრება ნამდვილად გვჭირდება — პოზიტიური შემთხვევების წინ წამოწევითა და გამოწვევებზე რეაგირებით.

თსუ-ში ევროპის აკადემიის წარმომადგენლობა გაიხსნება

1-ლი გვ-დან

მემორანდუმის თანახმად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნება ევროპის აკადემიის რეგიონული ჰაბი, რომლის მიზანია კავკასიის რეგიონში მეცნიერებისა და კვლევის განვითარების ხელშეწყობა. ეს არის ევროპის აკადემიის პირველი ფილიალი, რომელიც ევროგაერთიანების არაწევრ ქვეყანაში იხსნება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აგრეთვე ამოქმედდება ახალგაზრდა მეცნიერთა აკადემია, სადაც ახალგაზრდა მეცნიერებს შეეძლებათ ჩაერთონ საერთაშორისო კვლევით პროექტებში და მიიღონ საგრანტო დაფინანსება.

როგორც მხარეებმა აღნიშნეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ევროპის აკადემიას შორის თანამშრომლობა იქნება ნიშანი აკადემიური და სამეცნიერო საზოგადოებებისთვის — გააფართოონ ევროპის აკადემიური საზოგადოების როლი ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში და განავითარონ ევროპული კვლევითი სივრცე.

„ხელი მოეწერა მემორანდუმს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ევროპის აკადემიას შორის, რომლის საფუძველზეც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნება ევროპის აკადემიის რეგიონალური წარმომადგენლობა. ჰაბის ძირითადი მიმართულება იქნება ფუნდამენტური კვლევები და გამოყენებითი მეცნიერება. ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა, რადგან ევროპის აკადემიის ფილიალი პირველად იხსნება ევროგაერთიანების არაწევრ ქვეყანაში, რაც სასიხარულო და საამაყოა ჩვენთვის“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ. როგორც რექტორმა აღნიშნა, თსუ ასევე გახდება მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ევროპული თანამშრომლობის (Cost) წევრი.

ევროპის აკადემიის პრეზიდენტის ზირდ კლოტინკის თქმით, „დღეს ჩვენ ხელი მოვაწერეთ „ცოდნის კერის“ ჩამოყალიბების საინიციატივო წერილს, რომელიც ემთხვევა თსუ-ის 100 წლის იუბილეს. ეს გახსნის თანამშრომლობის პერსპექტივებს მკვლევართა შორის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, მოგვცემს ბევრ აქტივობას, რომელიც გვასწავლის ახლო პარტნიორობას სხვადასხვა ორგანიზაციებთან. ეს ორგანიზაცია დგას ძლიერი საზოგადოების მხრებზე“.

მემორანდუმის ხელმოწერას ესწრებოდნენ ევროპის კვლევების საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი ევა კონდოროსი და ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ალექს ვეხრაცკი.

თავდაცვის მინისტრმა რეზერვის ახალი, ანაზღაურებადი სისტემის დანერგვა დააანონსა

შეხვედრა სტუდენტებთან

თამარ დადიანი

საქართველოსთვის უმთავრესია, რომ ომისა და კრიზისის შემთხვევაში ქვეყანაში მობილიზებული იყოს მთელი ეროვნული თავდაცვითი რესურსები. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და ქვეყნის შეიარაღებულმა ძალებმა უნდა უზრუნველყოს ტოტალური თავდაცვა, რა თქმა უნდა, საზოგადოების ფართო ჩართულობით. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების ინფორმირებას. სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტია საზოგადოების მაქსიმალურად ინფორმირება საქართველოს დასავლური კურსისა და ქვეყნის უსაფრთხოების შესახებ.

უახლოეს პერიოდში საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ბევრი მნიშვნელოვანი რეფორმა განხორციელდა, რომელიც მიზნად ისახავდა შეიარაღებული ძალების ტრანსფორმაციისა და ბრძოლისუნარიანობის გაძლიერებას.

უწყებაში მიმდინარე რეფორმებზე სასაუბროდ საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს ეწვია. ღონისძიება საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში გაიმართა.

4 მაისს თავდაცვის მინისტრმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თემაზე — „საქართველო თავდაცვისა და უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევების პირისპირ“ ლექცია წაიკითხა.

უწყების ხელმძღვანელმა სტუდენტებს საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების მიზნით განხორციელებული და დაგეგმილი რეფორმები გააცნო. ლევან იზორიამ ვრცლად ისაუბრა ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებზე, შეკავების პოლიტიკის მნიშვნელობაზე, ნატოში ინტეგრაციის პერსპექტივებსა და ტოტალურ თავდაცვაზე. თავდაცვის მინისტრმა შეხვედრაზე რეზერვის ახალი, ანაზღაურებადი სისტემის დანერგვა დააანონსა.

ღონისძიებას თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე, სტუდენტები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

„სტუდენტებთან ასეთი შეხვედრები არის ურთიერთობის კარგი ფორმატი და ეს ტრადიცია სამომავლოდ აუცილებლად გაგრძელდება. კარგია, რომ სტუდენტებში ამის ინტერესი არსებობს. ქვეყნის პირველი პირების პირდაპირი კომუნიკაციის დამყარება სტუდენტებთან სწორი გზაა“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

თავდაცვის მინისტრმა საუბრის დასაწყისში აღნიშნა, რომ ქვეყნის სტრატეგიული არჩევანი ნატოში გაწევრიანებაა და დეტალურად განმარტა, თუ როგორ აპირებს საქართველო მიზნის მისაღწევად, ნატოს წევრ და პარტნიორ ქვეყნებთან ერთად, გამოწვევებს გაუმკლავდეს. მინისტრი ნატოს არსებობის მანძილზე ორგანიზაციის წინაშე არსებულ ამოცანებსაც შეეხო და აღნიშნულ კონტექსტში ალიანსის „ღია კარის პოლიტიკაზე“, მეზობელი ქვეყნის მიერ რეგიონში განხორციელებულ და მოსალოდნელ საფრთხეებზე ისაუბრა.

„განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა ჩვენს მისწრაფებას ნატოში გაწევრიანების მიმართულებით. საქართველო და თავდაცვის სამინისტრო პრინციპულად მიისწრაფვის საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკური უსაფრთხოების სივრცეში დამკვიდრებისკენ. ჩვენ გაცნობიერებული გვაქვს, რომ ეს არის უალტერნატივო არჩევანი, როგორც ქვეყნის უსაფრთხოების, ასევე დემოკრატიული განვითარებისთვის.

საქართველოს თავდაცვის უნარიანობის გაძლიერებითა და შეიარაღებული ძალების წარმატებული ტრანსფორმაციით, საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობების გაღრმავებითა და ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების საქმეში ყველა მოქალაქის ჩართულობით, ჩვენ შევძლებთ გავუმკლავდეთ არსებულ გამოწვევებს და გავხდეთ ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ღირსეული წევრი“, — განაცხადა ლევან იზორიამ, რომელმაც საინტერესოდ ისაუბრა საქართველოს, როგორც ნატოს პარტნიორი ქვეყნის, გამოწვევებზე, მის პერსპექტივებსა და სამოქმედო გეგმებზე.

ნატო თავის წევრ და პარტნიორ ქვეყნებს გარკვეულ სტრატეგიულ ამოცანებს უსახავს. მინისტრმა სტუდენტებს მოკლედ გააცნო ეს ამოცანები და მათი თანხვედრა ქვეყნის თავდაცვის სტრატეგიასთან. „ქვეყნის მთავარი ამოცანაა მაღალი შესაძლებლობების მქონე ნატოსთან თავსებადი შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება, რომლებიც შეძლებენ ნატოს ნებისმიერ სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობის მიღებას.

პირველი, რაც უნდა გაკეთდეს, ეს გახლავთ თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერება. ამ მიზნით, ჩვენ სტრუქტურაში მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება დავიწყეთ და ოპტიმიზაციისა და რეორგანიზაციის დროს გარკვეული მტკივნეული ნაბიჯების გადადგმაც მოგვიწია. აქედან მიღებული დანაზოგით ამერიკელ პარტნიორებთან ერთად ყველაზე ამბიციური პროგრამა — საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა დავიწყეთ“, — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

უწყების ხელმძღვანელი საერთაშორისო მისიებში ქართული სამხედრო კონტინგენტის მონაწილეობასაც შეეხო და აღნიშნა, რომ საერთაშორისო ოპერაციებში ქართველი ჯარისკაცები პრაქტიკულ გამოცდილებას იღებენ, რაც პროფესიული არმიის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

„ჩვენი სამხედრო მოსამსახურეები პარტნიორებთან ერთად მონაწილეობას იღებენ საერთაშორისო მისიებში, რომელიც თანამედროვე ტერორიზმს ებრძვის. ჩვენ საამაყო პარტნიორები ვართ ნატოსთვის, რადგან ერთ-ერთ უდიდეს და ძლიერ კონტრიბუციას ვწევთ. ჩვენი სანდოობა არაერთხელ გაჟღერებულა საერთაშორისო ასპარეზზე დიდი პოლიტიკოსების და სამხედრო მოღვაწეების მიერ. პატივისცემას გამოვხატავ ამ სამხედროების მიმართ, რადგან ისინი დიდ საპასუხისმგებლო საქმეს ეწევიან ჩვენი უსაფრთხოებისთვის, ქვეყნის კეთილდღეობისთვის. საერთაშორისო მისიებში მონაწილე ქართული სამხედრო კონტინგენტის ასეთი მაღალი ნდობის ფაქტორიც უპირველესად მათი თავდადებისა და პროფესიონალიზმის დამსახურებაა“, — განაცხადა ლევან იზორიამ.

თავდაცვის მინისტრმა შეხვედრაზე ყურადღება გაამახვილა აგრეთვე ლოგისტიკასა და კიბერუსაფრთხოებაზე.

უკანასკნელ წლებში კიბერშეტევების ხასიათი და გეოგრაფიული არეალი მნიშვნელოვნად იცვლება. კიბერუსაფრთხოების როლი სამხედრო ოპერაციების წარმოებისას აშკარად იზრდება, რის გამოც აქტუალური ხდება შეკითხვა: საკმარისია თუ არა ნატოს ძალისხმევა ამ სფეროში წარმატებული თავდაცვის უზრუნველსაყოფად და რა კეთდება საქართველოს თავდაცვის სისტემაში საფრთხის თავიდან ასაცილებლად?

„ეროვნული თავდაცვის სისტემა ლოგისტიკის და კიბერუსაფრთხოების სფეროებში მაქსიმალურად თანხვედრაში უნდა იყოს ნატოს მიერ განსაზღვრულ ძირითად პრიორიტეტებთან. კიბერელემენტების გამოყენება პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო მიზნების მისაღწევად, გეოპლიტიკური უპირატესობის მოსაპოვებლად თანამედროვე მსოფლიოს რეალობაა. ამიტომ ჩვენ უნდა გავაძლიეროთ საქმიანობა ამ მიმართულებით და გავიზიაროთ სხვა ქვეყნების გამოცდილებაც“, — განაცხადა ლევან იზორიამ.

მან ვრცლად ისაუბრა აგრეთვე ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებზე, შეკავების პოლიტიკის მნიშვნელობასა და ტოტალურ თავდაცვაზე.

მინისტრის განმარტებით, ტოტალური თავდაცვა მხოლოდ სამხედრო კომპონენტს არ მოიცავს და თავდაცვისუნარიანობის გაზრდის პროცესში მოქალაქეთა აქტიური ჩართულობა უმნიშვნელოვანესია.

ლევან იზორიამ ყურადღება რეზერვის სისტემის შექმნასა და შეიარაღებულ ძალებში წვევამდელთა გაწვევის აღდგენაზეც გაამახვილა. „სწორედ ტოტალურ თავდაცვას ემსახურება წვევამდელებისა და რეზერვის სისტემის ამოქმედებაც. საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია განახლებული სავალდებულო სამხედრო სამსახურის აღდგენამ. როგორია სამინისტროს პოზიცია? რათა თავდაცვის უწყებამ შეძლოს სათანადო ზომების მიღება ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების გამოწვევების საპასუხოდ, კრიტიკულად მნიშვნელოვანია შეიარაღებული ძალების ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების ძალებთან თავსებადი შესაძლებლობების განვითარება. სწორედ უცხოელ პარტნიორებთან და ექსპერტებთან სამთვიანი აქტიური თანამშრომლობის შედეგად მივიღეთ აღნიშნული გადაწყვეტილება. მნიშვნელოვანი ნოვაცია გახლავთ ის, რომ წვევამდელი გაივლის ისეთივე საბაზისო მომზადების კურსებს, როგორც საკონტრაქტო მოსამსახურე. მას ექნება განცდა, რომ არის სრულფასოვანი ჯარისკაცი. მისი ინდივიდუალური მომზადების დონე მოგვცემს ჩვენი საბრძოლო დანაყოფების საბრძოლო მომზადების მაღალ ხარისხს. წვევამდელები გაივლიან აქტიურ თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს, რაც თვისობრივად განსხვავებული მიდგომა იქნება მანამდე არსებული სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოდელისგან. ყველა მოქალაქის ვალია ემსახუროს თავის სამშობლოს.

ჩვენ წელს დავიწყეთ რეზერვის ახალი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც მალე ამოქმედდება. ვფიქრობთ, სტუდენტებზეც განვსაზღვროთ გარკვეული კვოტა... მათ შესაძლებლობა ექნებათ იმსახურონ შეიარაღებულ ძალებში და ხელფასიც აიღონ. მათ პარალელურ რეჟიმში ექნებათ საშუალება თან ისწავლონ და იმუშაონ“, — განაცხადა ლევან იზორიამ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის შეხვედრა სტუდენტებთან კითხვა-პასუხით დასრულდა. სამინისტროში განხორციელებული რეფორმების, ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეებისა და სამოქალაქო თავდაცვის შესახებ დასმულ კითხვებზე სტუდენტებმა მინისტრისგან ამომწურავი პასუხები მოისმინეს.

თავდაცვის მინისტრის ლევან იზორიას თქმით, სტუდენტებთან შეხვედრები მომავალშიც გაგრძელდება. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან გვქონდა შესაძლებლობა — გვესაუბრა თავდაცვის უწყებაში მიმდინარე რეფორმებზე, განსაკუთრებით, ნატოში ინტეგრაციის პერსპექტივებზე. ძალიან საინტერესო კითხვები დაისვა წვევამდელთა სისტემაზე, განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენდა ჩვენ მიერ საზოგადოებისთვის შეთავაზებული ტოტალური თავდაცვის ახალი კონცეფცია, სადაც საგანმანათლებლო კომპონენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ამ კონტექსტში ვააქტიურებთ სტუდენტებთან შეხვედრებს. მოხარული ვარ, რომ პირველი შეხვედრა სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. სტუდენტების ინტერესმა და აქტიურობამ გადაგვაწყვეტინა, რომ ეს დისკუსიები სხვა უნივერსიტეტებში გავაგრძელოთ“, — აღნიშნა ლევან იზორიამ.

ლექციის დასრულების შემდეგ სტუდენტებმა რეგისტრაცია გაიარეს 10 მაისს კოჯორ-ტაბახმელაში დაგეგმილ ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად. ჩვენი სტუდენტები ეროვნული თავდაცვის აკადემიის კადეტთა ლიცეუმის სტუდენტებთან ერთად ტერიტორიაზე არსებულ სანგრებს დაათვალიერებენ. ისტორიკოსები და სამხედროები მათ სპეციალურ მაკეტს წარუდგენენ და 1921 წელს თბილისის შემოგარენში გამართული ბრძოლების ისტორიას დეტალურად გააცნობენ.

ახალი წიგნი თაროზე

„ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისთვის“

მაია ტორაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ სულ ცოტა ხნის წინ გამოსცა წიგნი — „ივანე ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტისათვის , რომელშიც თავმოყრილია უნივერსიტეტის დამაარსებლის მიერ მომზადებული სხვადასხვა დოკუმენტური მასალა. კრებულის შემდგენელია ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის ცენტრის ხელმძღვანელი, თსუ-ის მუზეუმის დირექტორის მოადგილე დავით სართანია, ხოლო რედაქტორი — პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ის პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე. 24 აპრილს ავტორებმა წიგნი საუნივერსიტეტო საზოგადოებას წარუდგინეს.

კრებულში თავმოყრილია ქართული უნივერსიტეტის დაარსებისთვის გაწეული სამუშაოების ამსახველი დოკუმენტაცია, მოხსენებები, წერილები, მიმართვები, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი აწერს ხელს. 70-მდე დოკუმენტში, რომელშიც არის ივანე ჯავახიშვილის მოხსენება „ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ“, ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების წესდება, ქართული უნივერსიტეტის წესდება, უნივერსიტეტის ძირითადი დებულებანი, უნივერსიტეტის გახსნისა და სასწავლო პროცესის დარეგულირების დოკუმენტაცია, ივანე ჯავახიშვილის წერილები კიტა აბაშიძესთან, მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანთან, აკაკი ჩხენკელთან, გიორგი ახვლედიანთან, ასევე მისი მიმართვები, უნივერსიტეტის საზოგადოების სხდომის ოქმები და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები, ნათლად აღწერს იმ პერიპეტიებს, რომლის გადალახვამაც მოუწიათ ივანე ჯავახიშვილსა და მის თანამოაზრეებს. კრებული არის პირველი გამოცემა, სადაც ასე ერთად და თვალსაჩინოდაა მოცემული უნივერსიტეტის დაარსების ეტაპობრივი სვლები.

„ჩვენ შევეცადეთ, წინამდებარე კრებულში ქართული უნივერსიტეტის დაარსების პერიპეტიების ამსახველი დოკუმენტებიდან მხოლოდ იმ მასალებისთვის მოგვეყარა თავი, რომლებიც ან თავად ივანე ჯავახიშვილმა შექმნა, ან მის მონაწილეობას ასახავს. ამიტომ გამოცემა ორი ნაწილისგან შედგება. პირველი დაკომპლექტებულია იმ მასალებით, რომლებიც ივანე ჯავახიშვილის მიერაა დაწერილი... მეორე ნაწილად კი დავამატეთ დანართი, რომელში მოცემული მასალაც ივანე ჯავახიშვილის მიერ არაა დაწერილი, მაგრამ კარგად აჩვენებს მისი გარჯის ცალკეულ დეტალებს. ასეთი მასალა ძირითადად საოქმო ჩანაწერები, ან საგაზეთო პუბლიკაციებია. ისინი, სხვა ინფორმაციასთან ერთად, შეიცავენ ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებებს, რომლებიც მან სხვადასხვა ვითარებაში წარმოთქვა და მესამე პირმა — კრების მდივანმა თუ გაზეთის კორესპონდენტმა ჩაიწერა“, — ნათქვამია კრებულის წინასიტყვაობაში.

აქვე ისიცაა მითითებული, რომ ვერ მოხერხდა ყველა დოკუმენტისთვის დედნის პირის დართვა, რაც თვალსაჩინოს გახდიდა მეცნიერის შემოქმედებით ლაბორატორიას.

კრებულში შესულია 8 დანართი: მოხსენებათა ფრაგმენტები, დებულებები, უნივერსიტეტის დაარსების ღონისძიებები, წერილები, მიმართვები, „საანკეტო ფურცელი ქართველ სტუდენტობის ყოფა-ცხოვრების გამოსარკვევად“, „საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო უნივერსიტეტის დაარსების შესახებ“, „უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები“, „მასალები გაზეთ „საქართველოდან“, „მასალები გაზეთ „სახალხო საქმედან“, „უნივერსიტეტის საზოგადოების ოქმები“, „მოხსენება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 20 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო-სამეცნიერო სესიის სხდომაზე 1938 წლის 25 მაისს“ და „ნაწყვეტი მოგონებიდან“.

კრებულის გარეკანი ეკუთვნის ნინო ებრალიძეს. წიგნი გამოცემულია თსუ-ის საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით.

პრეზენტაციაზე თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა თამარ დოლბაიამ აღნიშნა, რომ 2018 წელი უნივერსიტეტის საიუბილეო წელია და ამ მნიშვნელოვანი თარიღის აღსანიშნად მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა სახის ღონისძიებები იმართება. მან ღირებული მოვლენა უწოდა კრებულის გამოსვლას, რადგან მასში პირველადაა დოკუმენტურად დალაგებული და წარმოჩენილი უნივერსიტეტის გარშემო 100 წლის წინ მიმდინარე მოვლენები. „მინდა გამოვყო, პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება და კონკრეტულად მისი ხელმძღვანელი, პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე, რომელიც იკვლევს ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობას პოლიტიკურ, ისტორიულ თუ სხვა კონტექსტში. გამოცემა ამ კრებულისა, რომელშიც თავმოყრილია მნიშვნელოვანი დოკუმენტები და შეკრებილია ის მასალა, რომელიც საფუძვლად დაედო უნივერსიტეტის შექმნას, სწორედ მისი რედაქტორობით მოხერხდა და, ვფიქრობ, მეტად მნიშვნელოვანი და საჭირო საქმე გაკეთდა. არ შემიძლია არ მოვიხმო ფრაგმენტი ივანე ჯავახიშვილის მოხსენებიდან, რომელშიც იგი წერს, რომ „ქართული უნივერსიტეტი, ერთსა და იმავე დროს, სამეცნიერო კვლევა-ძიების და ცდის დაწესებულებაც უნდა იყოს და უმაღლესი სამეცნიერო სასწავლებელიც, სადაც მეცნიერების შესწავლა, სამეცნიერო მუშაობის მეთოდებისა და პრაქტიკის შეთვისება შესაძლებელი იქნება“. სწორედ ეს არის ის პოსტულატი, რომელიც 100 წლის წინ ივანე ჯავახიშვილის მიერ იქნა გამოყოფილი, როგორც ძირითადი თეზა და რომელსაც დღესაც მიჰყვება ქართული საუნივერსიტეტო საზოგადოება“, — აღნიშნა თამარ დოლბაიამ.

კრებულის რედაქტორმა მალხაზ მაცაბერიძემ მადლობა გადაუხადა ყველა იმ ადამიანს, ვინც მონაწილეობა მიიღო დოკუმენტების გამოცემაში. მან მოკლედ ისაუბრა იმ ისტორიულ პერიპეტიებზე, რომელიც წინ უძღოდა უნივერსიტეტის დაარსებას. „ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობიდან, რომელიც ამ წიგნში შევიდა, დიდი ნაწილი ცნობილი იყო, მაგრამ ერთად თავმოყრილი ეს დოკუმენტაცია არ გამოქვეყნებულა და მკითხველისთვის ძალზედ შთამბეჭდავია. ცხადია, ამ წიგნის წაკითხვა ყველას არ შეუძლია. თავად ადამიანი უნდა იყოს მზად, რომ გაიგოს, რაზე საუბრობს ივანე ჯავახიშვილი და რისი გაკეთება სურს მას. ბატონ ივანეს, ერთი წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, სხვა არაფერი გაუკეთებია გარდა იმისა, რომ ქართულ საზოგადოებას უსაბუთებდა ქართული უნივერსიტეტის გახსნის აუცილებლობას. მანამდე ქართული საზოგადოება, ითხოვდა კავკასიური უნივერსიტეტის გახსნას თბილისში, რომელიც, ერთი მხრივ, გააადვილებდა ქართველი ახალგაზრდების მიერ უმაღლესი განათლების მიღებას, მეორე მხრივ კი, გააძლიერებდა რუსიფიკაციის პროცესს, რაც რუსული სახელმწიფოს ინტერესში შედიოდა. ივანე ჯავახიშვილმა შეძლო საზოგადოების დარწმუნება, რომ შესაძლებელი იყო განხორციელებულიყო პრინციპი — იკვლიე და ასწავლე ქართულად“, — აღნიშნა მან.



წიგნი საზოგადოებას წარუდგინა მისმა შემდგენელმა დავით სართანიამ, მან დაწვრილებით მიმოიხილა უნივერსიტეტის დაარსების წინა პერიოდის თითოეული დოკუმენტი, რომელიც კრებულში შევიდა და პროცესი, რომელსაც ივანე ჯავახიშვილმა წერილი, მიმართვა თუ მოხსენება მიუძღვნა. ისაუბრა უნივერსიტეტის პირველ სტრუქტურაზე, რომელიც ივანე ჯავახიშვილმა და მისმა თანამოაზრეებმა ქართულ სინამდვილეს მოარგეს. „ჩვენ ვალდებულნი ვიყავით, ეს მასალები შეგვეკრიბა და ერთად მიგვეტანა მკითხველამდე. მაშინაც იყო საუბარი და დღესაც, პრივატულ საუბრებში, ხშირად ამბობენ, რომ ივანე ჯავახიშვილმა უნივერსიტეტი შექმნა გერმანული მოდელის საფუძველზე. თვითონ ივანე ჯავახიშვილი ამას კატეგორიულად უარყოფდა. კრებულში გამოტანილია ციტატა, სადაც ამის შესახებ ივანე ჯავახიშვილი თავად საუბრობს. რა თქმა უნდა, მან მიბაძა და რაღაც აიღო გერმანული სისტემიდან, რაღაც — ამერიკულიდან და რაღაც — რუსულიდან, მაგრამ, საბოლოო ჯამში, არანაირი მიბაძვით — მან შექმნა თავისი, ახალი ქართული უნივერსიტეტი. აქვე ივანე ჯავახიშვილი ამბობს, რომ ჩვენ ძალა არ შეგვწევდა ყველა ფაკულტეტის გახსნისა და ამიტომ უნდა შეგვექმნა ერთი, რომელიც დაყოფილი იქნებოდა გარკვეულ განყოფილებებად. ამ განყოფილებების ერთ გამაერთიანებელ ფაკულტეტს კი რაღაც სათაური უნდა ჰქონოდა. ევროპაში და, კონკრეტულად, გერმანიაში ამას ერქვა ფილოსოფიის ფაკულტეტი, მაგრამ სიტყვა ფილოსოფიას საქართველოში ის მნიშვნელობა არ ჰქონდა, რაც ევროპულ ენებში, ამიტომ, მას უნდა ეძებნა ახალი სიტყვა-შესატყვისი და ივანე ჯავახიშვილმა შექმნა ეს სიტყვა — „სიბრძნისმეტყველება“. მან დაიმოწმა შოთა რუსთაველის პოემა და ამ სიტყვის მეშვეობით შექმნა ფილოსოფიური ფაკულტეტის ადეკვატური ტერმინი“, — თქვა დავით სართანიამ.

მან ასევე გამოკვეთა პროფესურის შერჩევის პრინციპები და პირველი ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტები. აქვე აღნიშნა, რომ სულ რაღაც 8 წელიწადში ივანე ჯავახიშვილს 150 წელი შეუსრულდება, რისთვისაც უნივერსიტეტმა აქედანვე უნდა დაიწყოს სამზადისი: „ივანე ჯავახიშვილს მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ. ჩვენ უნდა შევკრიბოთ მასალები, რომლებიც სხვადასხვა არქივშია გაბნეული და იმ მკითხველამდე მივიტანოთ, ვისაც აინტერესებს — ეს არის ძალიან ბევრი ისტორიული დოკუმენტი და შრომატევადი საქმე. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, პირადად ივანე ჯავახიშვილის არქივში, 120 000-ზე მეტი ფურცელი ინახება. ამას რომ დავამატოთ ცალკე გამოყოფილი ფონდი, იქაც საკმაოდ ბევრი საბუთია შესასწავლი და გამოსამზეურებელი. ასევე, არის კორნელი კეკელიძის არქივი, აკაკი შანიძის არქივი და უამრავი სხვა არქივი, სადაც შეგვიძლია მოვძებნოთ ისეთი დოკუმენტი, წერილი ან მიმართვა, რომელიც ჯერ არ ვიცით. ამ საქმეს სჭირდება თაოსნობა და უნივერსიტეტის მხრიდან ხელშეწყობა. ვფიქრობ, უნდა შედგეს სამუშაო ჯგუფი, რომელიც ამას თავის თავზე აიღებს. ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 150 წელს ქართული საზოგადოება და, პირველ რიგში, უნივერსიტეტი უნდა შეხვდეს სულ სხვა ვითარებაში — ჩემი აზრით, ეს უნდა იყოს ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობის სრული აკადემიური გამოცემა. აქამდე გამოცემულია მხოლოდ 12-ტომეული და ისიც — ხარვეზებით. არადა, თუ კარგად შევისწავლით, ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობა 30 ტომზე მეტი შეიძლება გამოვიდეს“, — განაცხადა დავით სართანიამ.

ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობის ვრცლად გამოცემას მხარი დაუჭირეს დარბაზში მსხდომმა სტუმრებმაც. თსუ-ის ემიგრაციის მუზეუმის ხელმძღვანელმა რუსუდან კობახიძემ მზადყოფნა გამოთქვა დასახმარებლად და აღნიშნა, რომ სასურველი იქნება — ამ გამოცემაში ერთი ტომი ივანე ჯავახიშვილისა და ქართული ემიგრაციის ურთიერთობის საკითხებს მიეძღვნას. „მისასალმებელია, რომ 2026 წლისთვის ახალი ტომები მომზადდეს და ასე შევხვდეთ ამ დიდებული ადამიანის 150 წლისთავს. აქ მსხდომმა საზოგადოებამ მშვენივრად იცის, თუ რა დონეზე იყო პოპულარული ივანე ჯავახიშვილი პოლიტიკურ ემიგრაციაში. მას არაერთი სერიოზული ნაშრომი მიუძღვნეს ქართველმა ემიგრანტმა მოღვაწეებმა. მათ შორის, არსებობს მიხაკო წერეთლის არაჩვეულებრივი ნარკვევი ივანე ჯავახიშვილზე. ასევე ძალიან საინტერესო მოგონება აქვს გრიგოლ რობაქიძეს. საერთოდ, პერიოდულ გამოცემებში უნივერსიტეტთან და, კონკრეტულად, ივანე ჯავახიშვილთან დაკავშირებით უამრავი მასალა არსებობს. ხშირად ექსკურსიების დროს ახალგაზრდებს ვეუბნებით, რომ ემიგრანტებს საქართველოს მაჯისცემაზე ჰქონდათ დადებული ხელი, რადგან მათ მართლა დიდი როლი შეასრულეს ქართული უნივერსიტეტის დაარსებაში. როდესაც ემიგრაციაში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 50 წელი აღინიშნა, ასეთი პოსტულატი წარმოადგინა ლევან ზურაბიშვილმა, რომელიც იმ დროს პარიზის ქართულ სათვისტომოს ხელმძღვანელობდა (ცნობილი ქართველი მოღვაწის ივანე ზურაბიშვილის ვაჟი, ნიკო ნიკოლაძის შთამომავალი): „1917 წლის 25 მარტს საქართველოში აღდგა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, ეს იყო სრული სუვერენიტეტი; 1918 წლის 28 იანვარს (ახლით 8 თებერვალს) გაიხსნა პირველი ქართული უნივერსიტეტი; ხოლო 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა პოლიტიკური თავისუფლება. ეს სამი უმნიშვნელოვანესი თარიღი იყო ფუძე, საძირკველი ქართული სახელმწიფოს ძლიერებისა და, რაც მთავარია, ეს იყო ქართველი ერის საუკუნეების ნატვრის ახდენა“. ვფიქრობ, იმ დიდ გამოცემას, რომელიც მომზადდება, აუცილებლად უნდა დაემატოს, ერთი ტომი თუ არა, რაღაც ნაწილი მაინც, რომელსაც ერქმევა „ქართული ემიგრაცია და ივანე ჯავახიშვილი“, — აღნიშნა რუსუდან კობახიძემ.

მალხაზ მაცაბერიძე

ამავე საკითხზე ისაუბრა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა მერაბ ჩუხუამ, რომელმაც კრებული დროულ და საჭირო გამოცემად შეაფასა და აღნიშნა, რომ სავალალოა, როცა ქართული მეცნიერების და, შეიძლება ითქვას, ქართული სახელმწიფოებრიობის მესაძირკვლის, ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობა სრულყოფილი სახით აქამდე არ გამოცემულა. „ვფიქრობ, დღეიდანვე უნდა დაიწყოს ზრუნვა ყველა მიმართულებამ, რომელშიც წვლილი შეიტანა ივანე ჯავახიშვილმა, როგორც მოღვაწემ და მეცნიერმა — იქნებიან ესენი ისტორიკოსები, იურისტები, ეკონომისტები, ლინგვისტები თუ სხვა. მეცნიერები უნდა გაერთიანდნენ ერთ დიდ მუშა ჯგუფად, არა იმ ტიტულების მიხედვით, თუ ვის რა წოდება აქვს, არამედ იმის მიხედვით, ვის რისი გაკეთება შეუძლია. მეცნიერებაში ტიტული არაფერს ნიშნავს — საქმეს აკეთებენ პროფესიონალები და ის ადამიანები, რომლებისთვისაც ეს საქმე არ იქნება კიდევ ერთი, ზედმეტი დაკისრებული მოვალეობა. დღესვე დავიწყოთ მზადება 2026 წლისთვის“, — აღნიშნა მერაბ ჩუხუამ.

კრებულის გამოსვლას მიესალმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცლერი ნუნუ ოვსიანიკოვა, რომელმაც მზადყოფნა გამოთქვა, მხარი დაუჭიროს ივანე ჯავახიშვილის 150 წლისთავისთვის მისი მემკვიდრეობის ვრცლად გამოცემის ინიციატივას.

ვინ გახდა პროფესორ ესტატე ხმალაძის სახელობის სტიპენდიატი

წელს უკვე მეათედ გამოცხადდა კონკურსი ესტატე ხმალაძის სტიპენდიის მოსაპოვებლად. კომისიას ისევ გაუჭირდა გადაწყვეტილების მიღება მათემატიკისა და ფიზიკის მიმართულების მაგისტრატურის აშკარად გამოკვეთილ და ღირსეულ წარმომადგენლებს (კერძოდ, დავით ადამაძესა და ირაკლი ჯოხაძეს) შორის ცალსახად საუკეთესოს გამოვლენის პროცესში (რაც ნაწილობრივ აიხსნება ამ მიმართულებების სპეციფიკითაც). საბოლოოდ, კომისიამ ხმათა უმრავლესობით, პროფესორ ესტატე ხმალაძის სტიპენდია მიაკუთვნა ფიზიკის მიმართულების მაგისტრანტს, ირაკლი ჯოხაძეს (სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფ. ნანა შათაშვილი და ალექსანდრე თევზაძე).



ესტატე ხმალაძე

ახალი ზელანდიის, ველინგტონის ვიქტორიას უნივერსიტეტის მეთემატიკურ და კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ესტატე ხმალაძემ 2007 წელს დააარსა თავისივე სახელობის სტიპენდია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტებისთვის. სტიპენდია გამიზნულია თსუ-ის მაგისტრატურის სტუდენტებისათვის, რომლებიც სპეციალიზდებიან: ა) ალბათობის თეორიასა და მათემატიკურ სტატისტიკაში, ბ) ფართოდ გაგებულ წრფივ (ფუნქციონალურ) ანალიზში და გ) თეორიულ ფიზიკაში. სტიპენდია ეძლევა განსაკუთრებული ნიჭის მქონე და ბეჯით სტუდენტს. მაღალი აკადემიური მოსწრება აუცილებელი წინაპირობაა, მაგრამ არ არის ერთადერთი გადამწყვეტი ფაქტორი. სასურველია, რომ სტიპენდიატი იყოს მიზანსწრაფული და მოტივირებული პიროვნება. აუცილებელია, რომ სტიპენდიატი იყოს ზოგადად განათლებული პიროვნება, დაინტერესებული ქართული და მსოფლიო ლიტერატურით და ხელოვნებით.

თსუ-ის ფიზიკის ფაკულტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ, ბატონი ესტატე ხმალაძე სხვადასხვა პერიოდში მუშაობდა მსოფლიოს მრავალ აღიარებულ სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრებში, თუმცა არასოდეს გაუწყვეტია კავშირი თავის მშობლიურ უნივერსიტეტთან. პროფ. ე. ხმალაძე მსოფლიოში აღიარებული მეცნიერია: ის არის სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოებისა და სამეცნიერო გამოცემების რედკოლეგიის წევრი, რამდენიმე უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, 2010 წელს იგი აირჩიეს ახალი ზელანდიის ეროვნულ აკადემიაში (Royal Society of New Zeland), 2012 წელს კი IMS (Institute of Mathematical Statistics)-ის საპატიო წევრად. პროფ. ე. ხმალაძის მარსდენის მედალზე წარდგენისას პროფესორი ბერნარდ სილვერმანი (ბრისტოლისა და ოქსფორდის უნივერსიტეტების პროფესორი, სამეფო სტატისტიკური საზოგადოებისა და მათემატიკური სტატისტიკის ინსტიტუტის ყოფილი პრეზიდენტი) თავის მხარდამჭერ წერილში წერდა: „პროფ. ე. ხმალაძეს გააჩნია მნიშვნელოვანი (substantial) საერთაშორისო რეპუტაცია სტატისტიკოს მკვლევარებს შორის და თქვენ (ახალზელანდიელებს) ძალიან გაგიმართლათ, რომ ის არის წევრი და ლიდერი ახალზელანდიური აკადემიური საზოგადოების და იგი ძალიან იმედოვნებს, რომ მისი უპირატესობა (his excellence) აღნიშნული იქნება ამ პრემიით“. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის წარმოჩენაში საზღვარგარეთ, უნივერსიტეტებს შორის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობასა და ახალგაზრდების სამეცნიერო-პრაქტიკული უნარჩვევების განვითარებისათვის პროფესორი ესტატე ხმალაძე 2015 წელს დაჯილდოვდა ივანე ჯავახიშვილის მედლით. იგი არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი 2016 წლიდან.

მოყოლებული 2008 წლიდან ყოველწლიურად ტარდებოდა შესარჩევი კონკურსი (ამჟამად, საკონკურსო კომისიის ხელმძღვანელობს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრკორესპონდენტი, პროფესორი ელიზბარ ნადარაია) და ვლინდებოდა გამარჯვებული სტუდენტი. რამდენჯერმე კომისია იძულებული იყო სტიპენდია გაეცა ორ საუკეთესო სტუდენტზე და შესაბამის თანხას უყოყმანოდ და დიდი სიამოვნებით გასცემდა ბატონი ესტატე ხმალაძე თავისი დანაზოგებიდან.

აარსებდა რა სტიპენდიას, პროფესორ ესტატე ხმალაძის ერთ-ერთი მოტივი (რა თქმა უნდა, სტუდენტის ნიჭისა და შრომისმოყვარეობის აღიარებასთან და მატერიალურ წახალისებასთან ერთად) ისიც იყო, რომ ასეთი ფაქტი გამხდარიყო გადამდები და სხვებსაც (მათ შორის გამარჯვებულებსაც) მომავალში გასჩენოდათ ანალოგიური ქველმოქმედების სურვილი, რაც უდავოდ წაადგება ახალგაზრდების შემობრუნების პროცესს განათლებისა და მეცნიერებისკენ.

ომარ ფურთუხია,
თსუ-ის მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი



რამაზ ხომერიკი, ირაკლი ჯოხაძე (ე. ხმალაძის სტიპენდიატი), ელიზბარ ნადარაია, ნანა შათაშვილი

თბილისის და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტები აშშ-ს სტანდარტების აკრედიტაციისთვის ერთობლივ მუშაობას აგრძელებენ

ლიანა მარქარიანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე აშშ-ს ქიმიკოსთა ასოციაციის დაფუძნება იგეგმება. ეს არის უმაღლესი დონის სააკრედიტაციო სააგენტო, რომელიც აშშ-ს სტანდარტების აკრედიტაციას მიანიჭებს იმ უნივერსიტეტებს, რომელთაც ქიმიის მიმართულება აქვთ. სწორედ ამ პროცესის მოსამზადებელი შეხვედრა გაიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 3 მაისს.

შეხვედრას თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესურასთან ერთად სან დიეგოს უნივერსიტეტის ქიმიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ვილიამ ტონგი და სან დიეგოს უნივერსიტეტის დეკანი საქართველოში ჰალილ გუვენი ესწრებოდნენ.

შეხვედრა დაიწყო სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიისა და ბიოქიმიის დეპარტამენტის თავმჯდომარის ვილიამ ტონგის პრეზენტაციით, რომელმაც წარადგინა ქიმიკოსთა ასოციაციის მუშაობის პრინციპები და პროგრამული აკრედიტაციის პირობები. მან ასევე ისაუბრა იმ პრივილეგიების შესახებ, რომლებიც სტუდენტებს ექნებათ აშშ-ს სტანდარტების აკრედიტაციის შემდეგ. პრეზენტაციაზე წარდგენილი იყო ტესტირების ნიმუში.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის რამაზ ხომერიკის აზრით, ამ პროცესისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უნდა მოემზადოს. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობს პროგრამა, რომლის ოპერირებასაც ახორციელებს სან-დიეგოს უნივერსიტეტი კალიფორნიაში. ფაქტობრივად, აქ ისინი აკეთებენ ყველაფერს. ესაა პროფესორების დაქირავება, ადმინისტრაციული მოვალეობები და სხვა. ახლა იწყება ის ეტაპი, როდესაც ეს პროგრამები ჩვენ უნდა გადმოგვაბარონ. პრობლემა ისაა, რომ ამერიკის ქიმიის საზოგადოების სერტიფიცირება ჩვენს პროგრამებზე ავტომატურად არ გადმოვა, ამისთვის უნდა გავიაროთ რამდენიმე ეტაპი“, — განაცხადა რამაზ ხომერიკმა.

საქართველოში სან დიეგოს უნივერსიტეტის დეკანის ჰალილ გუვენის აზრით, ეს შეხვედრა ორივე მხარისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო: „ჩვენ გვსურს, რომ საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა გავაუმჯობესოთ. დღეს საქართველოში აქტიურია მხოლოდ სოფლის მეურნეობა და ტურიზმი. ჩვენი მიზანი კი არის, რომ შემოვიტანოთ ბიოტექნოლოგიები და ახალი მიმართულებები, რომლებიც ნოვაციური და საკმაოდ კრეატიული იქნება. ეს ყველაფერი მოგვცემს ახალ სამუშაო ადგილებს. ამ ეტაპზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მიღებს საერთაშორისო სერტიფიკატს ბიოქიმიის პროგრამისთვის, რაც უფრო მეტ სტუდენტს მოიზიდავს“, — აღნიშნა მან.

აშშ-ს სტანდარტების აკრედიტაციას დადებითად აფასებს აკადემიკოსი ბეჟან ჭანკვეტაძე, რომელსაც მიაჩია, რომ ამ პროცესს აუცილებლად მოჰყვება სერიოზული ცვლილებები და ქიმიის სწავლების დონის ამაღლება: „ძალიან საინტერესო და სასარგებლო შეხვედრა იყო. განსაკუთრებით ნიშანდობლივია ის მომენტი, რომ ამერიკული მხარე საკითხს სვამს არა მხოლოდ სან-დიეგოს ქიმიის და ბიოქიმიის თბილისში მოქმედი პროგრამის, არამედ თსუ-ის ქიმიის პროგრამის აკრედიტაციის შესახებაც. თავისთავად აკრედიტაციის მიღება ჩვენი მხრიდან სერიოზული სამუშაოს ჩატარებას და სწავლების დონის ამაღლებასაც ნიშნავს, მაგრამ არის ერთი გასათვალისწინებელი რამ — 2023-2024 წლებში კურსდამთავრებულს აღარ ექნება სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომი, რადგან ამავე პროგრამის აკრედიტაციის შემდეგ ის მხოლოდ თსუ-ის დიპლომს მიიღებს, რაც პროგრამას დაუზარალებს და მიმზიდველობას დაკარგავს უცხოური ქვეყნების სტუდენტებისთვის“, — აღნიშნა ბეჟან ჭანკვეტაძემ.

თბილისის და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტები აშშ-ს სტანდარტების აკრედიტაციისთვის ერთობლივ მუშაობას აგრძელებენ.

ლიანა მარქარიანი

თანამედროვე რუსთველოლოგიური კვლევებით კომენტირებული „ვეფხისტყაოსანი“

შერთხია ბეროშვილი

„ამ პოემის ყველა მკითხველს და, მით უფრო, ყველა მკვლევარს თავისი „ვეფხისტყაოსანი“ აქვს, რაც დიდი მხატვრული ქმნილების სპეციფიკაა“, — ეს სიტყვები თსუ-ის პროფესორს ელგუჯა ხინთიბიძეს ეკუთვნის, რომლის ხელმძღვანელობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკანასკნელ ათწლეულებში ქართველოლოგიური კვლევების მიმართულებით მრავალი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, მათ შორის, „თანამედროვე რუსთველოლოგიური კვლევებით კომენტირებული ვეფხისტყაოსანი“, რომელიც შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა 2015 წელს დააფინანსა. სამწლიანი კვლევის შედეგად მომზადებული მონოგრაფიის პრეზენტაცია 30 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა, სადაც მონოგრაფიის ავტორმა და პროექტის ხელმძღვანელმა ელგუჯა ხინთიბიძემ, თსუ-ის პროფესორებმა დარეჯან თვალთვაძემ და ზაზა ხინთიბიძემ ახალი კვლევის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. პრეზენტაცია ცნობილ ქართველ მეცნიერსა და ქართველოლოგს კორნელი კეკელიძის დაბადების დღეს მიეძღვნა.

პრეზენტაცია პროექტის ერთერთმა თანამონაწილემ, თსუ-ის პროფესორმა დარეჯან თვალთვაძემ წარმოადგინა. მან ვრცლად ისაუბრა რუსთველოლოგიაში კომენტირების მნიშვნელობაზე, რომელსაც ხანგრძლივი ისტორია აქვს.

როგორც პრეზენტაციაზე ითქვა, უძველესი დროიდან „ვეფხისტყაოსნის“ არაერთ გამოცემას თან ახლდა ლექსიკონები თუ კომენტარები. პირველ ქართველოლოგიურ ნაშრომად კი 1712 წელს რუსთველის პოემის პირველი ბეჭდური გამოცემა, ვახტანგ VI-ის მიერ დაბეჭდილი შრომა — „თარგმანი პირველი წიგნისა ამის ვეფხისტყაოსნისა“ სახელდება, რომელმაც ხელი შეუწყო ქართველ მწიგნობართა მომდევნო თაობებს, რომ ამ მიმართულებით კვლევა გაეგრძელებინათ. ამ კუთხით, ასევე, აღსანიშნავია XX საუკუნეში ქართველი სწავლული უფლისწულის თეიმურაზ ბაგრატიონის „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა“, რომელშიც ძირითადად პოემის ლექსიკაა განხილული.

რუსთველოლოგიური კვლევების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია XIX საუკუნის ბოლო და XX საუკუნის დასაწყისი, რადგან ეს პერიოდი პოემის გამოცემის სიმრავლით გამოირჩევა. 1867 წლიდან 1899 წლის ჩათვლით „ვეფხისტყაოსანი“ 11-ჯერ დაისტამბა. ამ პერიოდში დაბეჭდილ თითქმის ყველა გამოცემას ახლავს ლექსიკონი, რომელიც, ძირითადად, პოემისეული ლექსიკის ახსნას ეძღვნება და დიდწილად თეიმურაზ ბაგრატიონის „განმარტებებს“ ეფუძნება. რუსთველოლოგიური ნაშრომების სიმრავლით გამოირჩევა XX საუკუნის პირველი ნახევარიც, როცა „ვეფხისტყაოსანი“ მრავალ ენაზე ითარგმნა. მონოგრაფიაში, ასევე, ვრცლად არის საუბარი XX საუკუნის მე-2 ნახევარში რუსთველოლოგიაში განხორციელებულ მნიშვნელოვან კვლევებზე. 1962 წელს „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია შეიქმნა, რომელმაც განსაკუთრებით შეუწყო ხელი რუსთველოლოგიური კვლევებით დაინტერესებას, მათ შორის, პოემის ტექსტის განმარტება-კომენტირებას. 1966 წელს გამოიცა პოემის ახალი საიუბილეო გამოცემა, შეიქმნა ახალი თარგმანები და გამოქვეყნდა არაერთი მნიშვნელოვანი რუსთველოლოგიური ნაშრომი. 70-იან წლებში კორნელი კეკელიძის, აკაკი შანიძის, შალვა ნუცუბიძის, ალექსანდრე ბარამიძის, გიორგი წერეთლის, სარგის ცაიშვილის, ზვიად გამსახურდიას, ნოდარ ნათაძის და სხვათა რუსთველოლოგიური შრომების გამოქვეყნებამ მრავალმხრივ გაამდიდრა მეცნიერება რუსთველისა და მისი პოემის შესახებ. ამ პერიოდში პოემის კომენტირება სხვადასხვა რელიგიურ, იდეოლოგიურ თუ ფილოსოფიურ საფუძველზე იყო დამყარებული და ხშირად ანგარიშს უწევდა XX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ცვალებად იდეოლოგიურ პოზიციებსაც. მათში ნაკლებად იყო გათვალისწინებული ლიტერატურული და რელიგიურ-ფილოსოფიური აზრის განვითარების ის კონკრეტული ეტაპი, როდესაც რუსთველის პოემა იქმნებოდა.

თავის მხრივ, ამ გააზრებებს ემყარებოდა პოემის უცხოენოვანი თარგმანებიც. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის (XX საუკუნის მე-2 ნახევრიდან) დღემდე არსებული თანმიმდევრული განმარტებები ძირითადად შემოიფარგლება ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის თანმიმდევრული განმარტებებით.

როგორც დარეჯან თვალთვაძემ პრეზენტაციაზე აღნიშნა, ახალი პროექტის — „თანამედროვე რუსთველოლოგიური კვლევებით კომენტირებული „ვეფხისტყაოსანი“ — მთავარი მიზანი იყო სრული ტექსტის თანმიმდევრული მეცნიერული კომენტირება, რომელიც ფილოლოგიური მეცნიერების თანამედროვე მეთოდოლოგიას და რუსთველოლოგიური მეცნიერების უახლეს მიღწევებს ეფუძნება. ასევე საჭირო გახდა ქართველოლოგიური სამეცნიერო წრეებისა და საზღვარგარეთელი მთარგმნელებისა თუ ქართველოლოგებისათვის ახალი თეორიული საფუძვლის შექმნა რუსთველის პოემის თანამედროვე მეცნიერულ დონეზე გასააზრებლად.

თანამედროვე რუსთველოლოგიური კვლევების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემაზე საუბრისას ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ თანამედროვე რუსთველოლოგიური კვლევების ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა რუსთველის ადგილის განსაზღვრა ქრისტიანული და ევროპული საზოგადოებრივ-ლიტერატურული აზრის პროცესში.

„აღნიშნული მოსაზრების ჩამოყალიბება დაკავშირებულია იმ მეცნიერულ კვლევებთან, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკანასკნელ ათწლეულებში მიმდინარეობს თსუ-ის პროფესორის, ცნობილი რუსთველოლოგის ელგუჯა ხინთიბიძის მიერ. მათში ახლებურადაა განმარტებული რუსთველის პოემის მრავალი პასაჟი, მხატვრული სახე, ფილოსოფიური ტერმინი, ლექსიკური ერთეული, ავტორის უმნიშვნელოვანესი იდეურ-თემატური კონცეფციები. სწორედ ამ კვლევების ფარგლებში ჩამოყალიბდა ახალი მეთოდოლოგია და გამოვლინდა ახალი ფაქტები, რომლებიც ცხადყოფენ პოემის პარალელებს და მიმართებებს მსოფლიო ლიტერატურისა და ფილოსოფიურ-თეოლოგიური წყაროებისადმი, ასევე, მიმართებებს ქართულ პატრისტიკულ ლიტერატურასთან. ელგუჯა ხინთიბიძის მეცნიერული კვლევები ანტიკური ფილოსოფიის, ქრისტიანული პატრისტიკის, ევროპული მხატვრული ლიტერატურის ტიპოლოგიური მიმართებების, X-XV საუკუნეების სქოლასტიკისა და ასტროლოგიური თეორიების საფუძველზე ახლებურად განმარტავს „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ სახეებს, თეოლოგიურ-ფილოსოფიურ ცნებებს, ცალკეულ ფრაზეოლოგიურ გამოთქმებს თუ დებულებებს. რუსთაველის პოემის მრავალი გამოცემიდან კომენტირებისთვის შეირჩა აკაკი შანიძისა და ალექსანდრე ბარამიძის მიერ 1966 წელს გამოცემული ტექსტი (შოთა რუსთველი, „ვეფხისტყაოსანი“, ტექსტი და ვარიანტები (ა. შანიძის და ა. ბარამიძის რედაქციით). თბ., 1966 წ.), რადგან მასში ძირითადი ხელნაწერების ვარიანტული წაკითხვაც არის გამოქვეყნებული. ნაშრომი, რომელიც პროექტის ფარგლებში შეიქმნა, ძირითადად აკადემიკოს ელგუჯა ხინთიბიძის კვლევებს და მის მეთოდოლოგიას დაეფუძნა, თუმცა შექმნილია პროექტის ძირითად შემსრულებელთა თანამონაწილეობით და დამხმარე პერსონალის აქტიური მხარდაჭერით. მასში წარმოდგენილია ავტორთა არგუმენტირებული თვალსაზრისი ცალკეულ სტროფზე, პასაჟზე ან მონაკვეთზე. ამავე დროს, იქვე მითითებულია ამ საკითხზე არსებული სხვა მეცნიერთა მნიშვნელოვანი და განსხვავებული თვალსაზრისებიც“, — განაცხადა დარეჯან თვალთვაძემ. მისივე ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერული კომენტარის ინგლისური ვარიანტის შექმნა და მისი ელექტრონული და ბეჭდური სახით პუბლიკაცია, ასევე პოემის ტექსტის თანმიმდევრული კომენტარების ბეჭდური და ელექტრონული გამოცემა, რომელიც განკუთვნილი იქნება, უპირატესად, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და უნივერსიტეტებისთვის.

როგორც პრეზენტაციაზე პროექტის ხელმძღვანელმა პროფესორმა ელგუჯა ხინთიბიძემ აღნიშნა, თანამედროვე რუსთველოლოგიური კვლევებით კომენტირებული „ვეფხისტყაოსანი“ სრულიად განსხვავებულია იმ თვალსაზრისით, რომ მასში აქცენტი მეცნიერულ კომენტარებზეა გადატანილი.

„მრავალი გამოცემა ვიცით, რომელსაც თან ახლავს ლექსიკონები და კომენტარები, მაგრამ ჩვენ სხვა გზით წავედით. ამ კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან „ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიო ლიტერატურის შედევრად ითვლება. იგი ფართოდ გავიდა ლიტერატურულ ასპარეზზე. თანამედროვე ეპოქაში, განსაკუთრებით უკანასკნელ ათწლეულში კიდევ უფრო მეტი ინტერესია ამ ნაწარმოების მიმართ, რომელიც წინარენესანსული ეპოქის შედევრად არის მიჩნეული. ამიტომ საჭიროა, რომ ტექსტი მეცნიერულად იყოს განმარტებული როგორც ქართველი, ისე უცხოელი მკითხველისათვის. ხშირად, როდესაც „ვეფხისტყაოსანს“ თარგმნიან, არ ითვალისწინებენ იმ ქვეტექსტებს, რომელიც პოემაშია, ამიტომ, ამ კუთხით, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის შესასწავლი. თანამედროვე თარგმანები უთუოდ საჭიროებენ სერიოზულ მეცნიერულ კომენტარებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩვენმა განათლებულმა საზოგადოებამ „ვეფხისტყაოსანზე“ იმსჯელოს მეცნიერული პოზიციიდან — სწორედ ამ მიზნით განხორციელდა ეს პროექტი“, — აღნიშნა ელგუჯა ხინთიბიძემ.

ქართველთა თვითცნობიერება: ისტორიული ასპექტები (XVIII საუკუნე)

მაია ტორაძე

26 აპრილს უნივერსიტეტში თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტ ზურაბ თარგამაძის წიგნის — „ქართველთა თვითცნობიერება: ისტორიული ასპექტები (XVIII საუკუნე)“ — პრეზენტაცია გაიმართა. წიგნი გამოიცა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2014 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო საგრანტო კონკურსით დაფინანსებული გრანტის (DO/351/1-10/14) ფარგლებში.



ნაშრომში თავმოყრილია ის მასალები, რომელიც დოქტორანტის მიერ სადისერტაციო კვლევის ფარგლებში იქნა დამუშავებული. ნაშრომის მიზანია ქართული იდენტობის ისტორიის საკითხების გაშუქება, უფრო კონკრეტულად კი, იმ ისტორიული ასპექტების დადგენა და გამოკვეთა, რომლებმაც განსაზღვრა ძირითადი მომენტები ქართული ერთობის თვითცნობიერების ჩამოყალიბებისას XVIII საუკუნეში და მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საზოგადოების ბედზე.

„ეს იყო ჩემი და ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელის, ქალბატონ მარიამ ჩხარტიშვილის 2013-2014 წლების სადოქტორო საგრანტო პროექტი — „ქართველთა თვითცნობიერება: ისტორიული ასპექტები (XVIII საუკუნე)“, რომელზე მუშაობის დროსაც მომზადდა და გამოქვეყნდა რამდენიმე სამეცნიერო სტატია. წიგნში ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ მე-18 საუკუნე არის უაღრესად საინტერესო და უმთავრესი ეპოქა ქართული თვითცნობიერებისა და ქართული ერთობის კონცეპტუალიზაციის თვალსაზრისით. ჩვენ ვცდილობთ, ეს ეპოქა გავიაზროთ ქართული იდენტობის გაგების კონტექსტში და ვფიქრობთ, რომ აქამდე არსებული შეხედულებებისგან მეტნაკლებად განსხვავებული სურათი გვაქვს ნაჩვენები“, — აღნიშნა ჩვენთან საუბარში ზურაბ თარგამაძემ.

ნაშრომის ინსპირაციის წყაროდ დასახელებულია მარიამ ჩხარტიშვილისა და ქეთევან მანიას მიერ 2011 წელს გამოცემული მონოგრაფია „ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში: „ივერია“ და მისი მკითხველი საქართველო“, რომელშიც ქართული ნაციონალიზმის დაბადების პერიოდად მე-19 საუკუნის

ბ. 7

კავკასია უძველესი დროიდან XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე

შურთხია ბეროშვილი

ჯონი კვიციანი



თსუ-ის კავკასიოლოგიის ინსტიტუტისა და თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ახალი სალექციო კურსი შეიქმნა, რომელიც, სპეციალისტების შეფასებით, იმ თვალსაზრისითაც არის მნიშვნელოვანი, რომ მასში ასახულია კავკასიის ხალხთა ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე, სამხრეთ და ჩრდილო კავკასიის ხალხთა თანაცხოვრების სოციალურ-კულტურული განვითარების პროცესები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ-ის პროფესორის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ჯონი კვიციანის ახალი წიგნის პრეზენტაცია გაიმართა, სადაც ნაშრომის მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

ამ სფეროში ახალი ნაშრომის შექმნა, ჯონი კვიციანის თქმით, თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაციის პროცესში რეგიონალიზაციის აქტუალობამ განაპირობა. „გლობალიზაციის პროცესს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს, ამიტომაც რეგიონულ და ლოკალურ დონეებზე უდიდეს გამოწვევად რჩება ეროვნულ საზოგადოებათა და სახელმწიფოთა რღვევის პროცესის დაწყება. ამ გამოწვევებზე პასუხის გაცემა ითხოვს ახალი ინტეგრალური აზროვნების ფორმირებას და, შესაბამისად, ხალხთა ლოკალურ, რეგიონალურ და გლობალურ დონეებზე ინტეგრაციას. ამ თვალსაზრისით, თუ ევროკავშირის ქვეყნების სოციალურ-კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაცია მისაბაძია, კავკასიაში — პირიქით, სახეზეა რეგიონის დეზინტეგრაცია, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები და ა.შ.. რეგიონში ამ პროცესების შეჩერება და შემდგომ ერთიანი თანამედროვე მშვიდობიანი კავკასიის ფორმირება მხოლოდ ახალი სამოქალაქო საზოგადოებების და სახელმწიფოთა მიერ შესაბამისი კავკასიური პოლიტიკის გატარების შედეგად არის შესაძლებელი. ეს პოლიტიკა კავკასიურ იდეას უნდა ეფუძნებოდეს, რომლის იდეოლოგიური საფუძველი კავკასიური ცივილიზაცია შეიძლება იყოს, რომელიც გულისხმობს ერთი ან რამდენიმე ეთნოსის, სახელმწიფოს საერთო ღირებულებებით გაერთიანებას“, — აცხადებს ჯონი კვიციანი.

ჯონი კვიციანის აზრით, კავკასიის ხალხთა საერთო ისტორიული წარსულის ახლებურად შესწავლა, ისტორიული მეხსიერების აქტუალიზაცია მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. ნაშრომის შექმნის ერთერთ ფაქტორად იგი კავკასიის რეგიონის ისტორიისა და კულტურის შესწავლის ახალი ეტაპის დაწყებას ასახელებს. „კავკასიის შესწავლის კუთხით შეგვიძლია ოთხი ეტაპი გამოვყოთ. პირველი, ანტიკურ ხანაში „ისტორიის მამიდან“ - ჰეროდოტედან დაწყებული, შუა საუკუნეების ავტორებით (ლეონტი მროველი, ჯორჯიო ინტერიანო, არქანჯელო ლამბერტი და სხვ.) დამთავრებული. ამ ეტაპზე, რეგიონის ხალხების შესახებ მოცემული მასალები გვეხმარება მათი ეთნოგენეზისა და პოლიტოგენეზის ისტორიის შესწავლაში. მეორე ეტაპზე, ახალ და უახლეს დროში, როდესაც კავკასიის რეგიონი რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი გახდა, პეტერბურგში ჩამოყალიბდა კავკასიოლოგიური სამეცნიერო სკოლა. 1917 წლის რევოლუციამდე ამ სკოლაში მოღვაწეობდნენ ცნობილი კავკასიოლოგები: ნ. მარი, ვ. სტრუვე, ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ი. მინანდიანი და სხვები, რომლებსაც დიდი ღვაწლი მიუძღვით საბჭოთა კავკასიოლოგიის განვითარებაში. მესამე ეტაპი — ეს არის 1917-1992 წლები, როდესაც კავკასიოლოგიამ საბჭოთა კავშირის ცენტრიდან ადგილებზე, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში გადაინაცვლა. შეიქმნა კავკასიის ხალხთა ისტორიის, კულტურის შემსწავლელი სამეცნიერო დაწესებულებები, უმაღლეს სასწავლებლებში კი გაიხსნა კათედრები, სადაც კავკასიოლოგები მზადდებოდნენ. მეოთხე ეტაპზე კი, რომელიც 1992 წლიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება, საჭიროა მეთოდოლოგიური პლურალიზმის საფუძველზე კავკასიის ისტორიის ახლებურად შესწავლა-რეკონსტრუქცია. თუ ადრე კავკასიოლოგია ცარიზმის ხელისუფლებასა და საბჭოთა სახელმწიფოს ემსახურებოდა, დღეს იგი ადამიანს უნდა ემსახუროს“, — განაცხადა ჯონი კვიციანმა.

როგორც წიგნის პრეზენტაციაზე აღინიშნა, საქართველოში კავკასიოლოგიის კვლევებისათვის რეგიონის ხალხთა საერთო ისტორიული წარსულის ახლებურად შესწავლა, ასევე, განპირობებულია ქვეყნის დემოკრატიული მშენებლობით, სიტყვის თავისუფლებითა და ისტორიული მეხსიერების აქტუალიზაციით. მეცნიერი კავკასიის ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობის, ინტეგრაციის იდეოლოგიურ საფუძველს ხედავს კავკასიურ ცივილიზაციაში, რომელიც აგრარულ ეპოქაში ჩამოყალიბდა და ეფუძნება კავკასიის ხალხთა ერთიან ისტორიულ წარსულში ჩამოყალიბებულ საერთო ღირებულებებს: ეტიკეტს, საკომუნიკაციო კულტურას, ეთნოლინგვისტურ ერთობას. ნაშრომში საქართველო წარმოდგენილია, როგორც კავკასიური იდეის ხორცშესხმის ისტორიულ-კულტურული ცენტრი. ნაშრომში აქცენტები დასმულია ისეთ მაღალ კულტურულ-ცივილიზაციურ ღირებულებებზე, როგორიცაა: პიროვნების თავისუფლება, კანონის უზენაესობა (წესრიგი), საკუთრების პატივისცემა, „ოჯახიშვილობა“, რომლებიც კარნახობდა საზოგადოების შემდგომი სოციალურ-კულტურული განვითარების აუცილებლობას. ნაშრომში ასახულია, ასევე, კავკასიის ისტორიის ისეთი საჭირბოროტო საკითხები, როგორიცაა: პალეოკავკასიური ეთნოკულტურული ერთობა; ქრისტიანობისა და ისლამის გავრცელება კავკასიაში; კავკასია და გარე სამყარო VII-XII საუკუნეებში, საქართველო კავკასიის ეთნოკულტურულ სივრცეში XI-XII საუკუნეებში, თათარ-მონღოლები და კავკასია, რუსეთ-კავკასიის ურთიერთობები XVI-XIX საუკუნეებში, კავკასიის ომები და სხვა. ნაშრომში, მსოფლიო ისტორიის კონტექსტში, ცივილიზაციური მეთოდოლოგიის საფუძველზე, სისტემურ-სინერგეტიკული მეთოდის გამოყენებით, პირველად და ახლებურად არის გაანალიზებული კავკასიის ისტორიის აქტუალური საკითხები. კავკასიის ხალხთა ისტორიის ერთიანი სახელმძღვანელო დღემდე არ არსებობდა და, ამდენად, ახალი სალექციო კურსი ამ მხრივაც ძალზე მნიშვნელოვანია. სტუდენტების გარდა, ნაშრომი საინტერესო იქნება, ასევე, სპეციალისტებისა და კავკასიის ხალხთა ისტორიით დაინტერესებული მკითხველისათვის.

წიგნის რედაქტორია ნინო ჩიქოვანი, რეცენზენტები: გიორგი ოთხმეზური და ივანე მენთეშაშვილი.

პრეზენტაციაზე წიგნის მნიშვნელობაზე თსუ-ის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ცირა ბარამიძემაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ჯონი კვიციანის მიერ სალექციო კურსის შექმნა მართლაც მნიშვნელოვანი და მისასალმებელია. „ჩვენი მიმართულება მემკვიდრეა 1993 წელს დაარსებული კავკასიის ხალხთა ისტორიის კათედრისა, რომელიც კვლავ ერთგულია ივანე ჯავახიშვილის კონცეფციის — რომ ისტორიკოსი და კავკასიოლოგი მხოლოდ იმ შემთხვევაშია სრულყოფილი სპეციალისტი, როდესაც იგი, ამავე დროს, კარგი ლინგვისტიც არის და პირიქით — სრულფასოვნად ფლობს ისტორიული მიმართულების ემპირიულ მასალას. ჩვენი ინსტიტუტის წამყვანი სპეციალისტი, პროფესორი ჯონი კვიციანი კარგად იცნობს ამ პრობლემებს, კავკასიის ხალხთა ისტორიას და ეს მის ნაშრომშიც აისახა“, — განაცხადა ცირა ბარამიძემ.

ქართველთა თვითცნობიერება: ისტორიული ასპექტები (XVIII საუკუნე)

მე-6 გვ-დან

20-30-იანი წლებია მიჩნეული და ავტორები გადამწყვეტ მომენტს 1832 წლის შეთქმულებას უწოდებენ. მასში ასევე მითითებულია, რომ ქართული ნაციონალიზმისთვის დამახასიათებელი ნიშანი ამ პერიოდიდან უკვე პოლიტიკური იყო, რასაც ზურაბ თარგამაძეც ეთანხმება, თუმცა მიიჩნევს, რომ ქართული ნაციონალიზმის დაბადების პერიოდი მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარს ემთხვევა.

წიგნი შედგება ექვსი თავისგან. პირველი თავი — „რა არის ისტორია?“ — ეძღვნება ისტორიის აქტუალური საკითხების გაშუქებას და მოცემულია საბჭოთა პრაქტიკისგან კონცეპტუალურად განსხვავებული დამოკიდებულება ისტორიული პროცესის და ისტორიკოსების საქმიანობასთან დაკავშირებით. კერძოდ, ნაჩვენებია, რომ ისტორიაში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კონკრეტული ფაქტები და მათი ქრონოლოგია, არამედ გარკვეული მენტალური და აზრობრივი ბმა სხვადასხვა მოვლენას შორის.

მეორე თავში — „გამოკვლევის თეორიული საფუძველი“ — მკითხველი ეცნობა კვლევის ჩარჩოს — ეთნოსიმბოლისტურ პარადიგმას და მის როლს ისტორიის შესწავლაში.

მესამე თავში — „კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა“ — გაშუქებულია ქართული ერთობის ცხოვრების კულტურული ასპექტები. ავტორი წერს, რომ „იმ პერიოდის მოღვაწეები, ეთნო-კულტურული პოსტულატების სახით, ქმნიდნენ და აცოცხლებდნენ ქართული ნაციონალიზმისთვის საჭირო სამშენებლო მასალას. მათ შორის, უმთავრესი ადგილი ეჭირა ენისა და რელიგიის საკითხს. ქართული ნაციონალიზმის დღის წესრიგის ფორმირებაში სრულიად განსაკუთრებული როლი ითამაშა ქართულმა ეკლესიამაც“.

ტრადიციული თემის განხილვას უწოდებს ზურაბ თარგამაძე მეოთხე თავში მოცემულ თემატიკას, რომელიც „სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს“ შეეხება. ამავე თავშია მოცემული ქალთა ეკონომიკური და სამართლებრივი აქტივობების ანალიზიც.

მეხუთე თავი — „პოლიტიკური ფრაგმენტაცია და მისი გავლენა ქართული ერთობის თვითცნობიერების ჩამოყალიბებაზე“ — ეძღვნება პოლიტიკური ისტორიის საკითხებს. როგორც ავტორი წერს, ამ თავში მნიშვნელოვანი იყო პოლიტიკური პროცესის ქართული იდენტობის განვითარების კონტექსტში გააზრება.

ბოლო, მეექვსე თავში კი მოცემულია „ნაციონალური თვითცნობიერების განვითარების მომდევნო ეტაპები“. ესაა ზოგადი მიმოხილვა XIX-XX საუკუნეებში განვითარებული ისტორიული პროცესებისა. აქვე ამოიკითხავთ ამ პერიოდში ნაციონალური საკითხების შესახებ არსებულ ინტერპრეტაციებს და ავტორის დაკვირვებებს მეოცე საუკუნეში მიმდინარე დისკურსთან დაკავშირებით.

წიგნის თავები დალაგებულია იმ თემებისა და საკითხების მიხედვით, რომლებიც ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგად შესწავლილად მიიჩნევა. ავტორი წერს, რომ ეს გზა მან შეგნებულად აირჩია, რადგან ტრადიციული დასათაურების ქვეშ ამოკითხული განსხვავებული მოსაზრებების შემდეგ უფრო თვალსაჩინო გახდებოდა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების თავისებური ხაზი.

რაც შეეხება ნაშრომის სამეცნიერო სიახლეს, როგორც ზურაბ თარგამაძის სამეცნიერო ხელმძღვანელი, პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი აღნიშნავს, ეს არის პანორამული გამოკვლევა და ერთი საუკუნის გააზრება ახალი თეორიული ჩარჩოს — ეთნოსიმბოლიზმის ფარგლებში: „ამ წიგნში მე-18 საუკუნე, რომელიც სხვადასხვა კუთხით აქამდეც შესწავლილი იყო, ავტორმა განსხვავებული პრინციპით გააანალიზა. მან ბევრი კითხვა წამოჭრა, რაც ახალი კვლევებისთვის ინსპირაციას წყარო შეიძლება გახდეს. ამ ნაშრომს გამოარჩევს ის, რომ მასში არის კონკრეტული და თეორიული კვლევების კარგი შერწყმა. მე, პირადად, ასეთი ისტორია მომწონს“, — აღნიშნა ჩვენთან საუბარში წიგნის რედაქტორმა, პროფესორმა მარიამ ჩხარტიშვილმა.

წიგნი — „ქართველთა თვითცნობიერება: ისტორიული ასპექტები (XVIII საუკუნე)“ — არაკომერციული გამოცემაა და იგი გამომცემლობა „მერიდიანმა“ დასტამბა.

პირველი ქართველი პროფესიონალი ეთნოლოგი

150 წელი შესრულდა უდიდესი ქართველი საზოგადო მოღვაწის, პირველი ქართველი ეთნოლოგ-ანთროპოლოგის თედო სახოკიას დაბადებიდან. იმ ღონისძიებებს შორის, რომელიც ამ საიუბილეო თარიღს მიეძღვნა, იყო თსუ-ის ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო სესია.

სესიის გახსნაზე ასოცირებულმა პროფესორმა ქეთევან ხუციშვილმა გაიხსენა თედო სახოკიას ღვაწლი და აღნიშნა, რომ მის მიერ ჩაყრილ ფუნდამენტზე უამრავი შენობა წამოიმართა: „იგი გამორჩეული ადამიანი იყო აკადემიური, სოციალური თუ პოლიტიკური აქტივობით და დიდი წვლილი შეიტანა იმდროინდელი საქართველოს განვითარებაში. თედო სახოკია არის ნიმუში პატრიოტი მოღვაწისა და თამამად შეგვიძლია მივიჩნიოთ ჩვენი დარგის ფუძემდებლად. მან სამეცნიერო მეთოდოლოგიით შეისწავლა საქართველოს კუთხეები და შეუფასებელი შრომები დატოვა," — აღნიშნა ქეთევან ხუციშვილმა.

სესიაზე წარმოდგენილი იყო სამი მოხსენება: „თედო სახოკიას ცხოვრება და მოღვაწეობა" (რ. თოფჩიშვილი); „თედო სახოკია ქართული ხალხური მედიცინის შესახებ" (ნ. მინდაძე) და „თედო სახოკიას ციმბირული მოგონებანი" (რ. გუჯეჯიანი).

თედო სახოკიას ცხოვრება და მოღვაწეობა

■ თსუ-ის პროფესორის როლანდ თოფჩიშვილის მოხსენებიდან:



თედო სახოკია

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოში არაერთი ინტელექტუალი გამოჩნდა. ისინი ქვეყნისა და ხალხის მომავალზე ზრუნავდნენ. ამ დიდ მოღვაწეთა შორის იყო თედო (თოდოტი) სახოკია.

თედო სახოკია 1868 წლის 14 მარტს სოფელ ხეთაში, სასულიერო პირის, ტიმოთე მღვდლის ოჯახში დაიბადა. სახოკიების გვარი ამ სოფლის მკვიდრი არ იყო. მის შესახებ გადმოცემა თედო სახოკიას ავტობიოგრაფიაში აქვს მოტანილი: „გადმოცემაა დარჩენილი, რომ ჩვენი წინაპარი რაჭველი გამყრელიძე ყოფილა. მას თავის სოფელში კაცი შემოჰკვდომია. სასჯელისა და მოკლულის ნათესავების მხრიდან შურისძიებისთვის თავის დასაღწევად გამოქცეულა გორდში, ღეჩხუმში. აქ ცოლი შეურთავს და მისცემია 4 ვაჟი და ერთიც ქალი. შემდეგ გამოქცეულან სამეგრელოში. ჯერ მისულან მარტვილის ტაძართან და ნიშნად ყმობისა და მონობისა, კისრით გამობმულან ტაძრის კარების ბოქლომზე. ამის შემდეგ ისინი ითვლებოდნენ მარტვილის ტაძრის ყმებად. გვარებიც გამოუცვლიათ. ორ ძმას სახოკიები დაურქმევიათ თავის თავისთვის და შხეფში დარჩენილან, ხოლო 2 ძმას გახოკია აურჩევია თავის გვარად."

თედო სახოკია პირველი ქართველი პროფესიონალი ეთნოლოგი გახლდათ. მას განათლება საფრანგეთში ჰქონდა მიღებული, თუმცა, უნდა ითქვას, რომ თედო სახოკიას მეცნიერული ინტერესები უფრო ფართო იყო. მას აინტერესებდა ფოლკლორიც, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანიც, ანდაზები. რაც მთავარია, ის იყო საყოველთაოდ ცნობილი მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელი. თავისი სიცოცხლის გარკვეული ახალგაზრდული მონაკვეთი მან პუბლიცისტიკას მიუძღვნა, რის გამოც ციმბირში იქნა გადასახლებული, თუმცა მან იქიდან გაქცევა მოახერხა.

ეთნოლოგიის/ანთროპოლოგიის სპეციალობას თედო სახოკია საფრანგეთში დაეუფლა ჯერ სორბონის უნივერსიტეტში, ხოლო შემდეგ — უმაღლეს ანთროპოლოგიურ სკოლაში. ის წერდა: „ჩემი გული მიიწევდა ეთნოგრაფიისაკენ, რომელიც და ბოლოს ჩემს სალიტერატურო მუშაობაშიც ჩემს სპეციალობად უნდა გამეხადა". სტუდენტი თედო სახოკია პარიზში ლექციებს ისმენდა ცნობილი ანთროპოლოგებისაგან. პირველი ეთნოლოგიური ნაშრომი — „ყვავილბატონები საქართველოში" — მან 1903 წელს პარიზის ანთროპოლოგიური სამეცნიერო საზოგადოების სხდომას წარუდგინა და, მოხსენების მაღალი სამეცნიერო ღირებულების გამო, პარიზის ანთროპოლოგიური საზოგადოების საზღვარგარეთელ წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს.

როზეტა გუჯეჯიანი

თედო სახოკიამ, საფრანგეთის გარდა, ახალგაზრდობის წლებში მოიარა ევროპის სხვა ქვეყნებიც, კერძოდ: იტალია, შვეიცარია, ბელგია. ის ხანგრძლივად იმყოფებოდა იტალიაში, რის შესახებაც წერდა: „ყველაზე მეტი შთაბეჭდილება ჩემზე იტალიამ დასტოვა თავისი გასაოცარი ჩამორჩენილობით, რა თქმა უნდა, ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, და ამასთან გასაოცარია მსგავსება ჩვენს ქვეყანასთან: ეკონომიურის ყოფითა და მკვიდრთა ზნე-ჩვეულებებით". ამ ჩამორჩენილობაში ის ფეოდალურ სისტემას გულისხმობდა. სახოკია არა მხოლოდ იტალიურს სწავლობდა, არამედ ისეთ დიდ ქართველ მოღვაწეებს ეხმარებოდა ნაწერების დასაბეჭდად მომზადებაში, როგორიც იყო მიქეილ თამარაშვილი. სახოკია შესანიშნავი საველე მუშაკი გახლდათ. ამიტომაც ის დიდ ყურადღებას აქცევდა ეთნოგრაფიული მასალების ზუსტ ჩაწერას. გიორგი ჩიტაია წერდა: „თედო სახოკია თავის ეთნოგრაფიულ ჩანაწერებში მოვლენებსა და ფაქტებს აღწერს საკმარისი სისრულით, თითქმის ყოველმხრივ და ზუსტად. ის თავისი დროისათვის მომზადებული გამჭრიახი და გონებამახვილი მკვლევარი და ეთნოგრაფია. მის ეთნოგრაფიულ ნაწერებში უხვადაა მოცემული საქართველოს ეთნოგრაფიული სინამდვილის ამსახველი მასა და, ამავე დროს, რიგი მეცნიერული ღირებულებების მქონე საკითხი მართებულად არის დასმული და სათანადოდ გადაწყვეტილი".

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ იგი მხოლოდ ისტორიულ-ეთნოგრაფიული ფაქტების დაფიქსირებას როდი ახდენდა. სადაც კი მოგზაურობდა, ასახავდა ამა თუ იმ სოფლის თანამედროვე მდგომარეობას. შეიძლება გავიხსენოთ გურიაში რუსული ოჯახის გაჩენა და რუსთა გაქართველების ფაქტებზე საუბარი; ნოვაციის მეორე ფაქტად შეიძლება გურიაში ჩონგურის ნაცვლად გიტარის გავრცელება დავასახელოთ, რასაც ის არ მიესალმებოდა.

თედო სახოკიას მიერ მოპოვებულ მონაცემებს სხვა მხრივაც აქვს დიდი მნიშვნელობა. მან დაგვიტოვა ისეთი მოვლენების თუ ფაქტების აღწერილობა, რომელიც შემდეგ ახალი ცხოვრების შემოსვლით მალე გაქრა. ველზე მუშაობისას იგი პარალელურად სხვა მნიშვნელოვან სამუშაოებსაც ასრულებდა. იგი აგროვებდა ეთნოგრაფიულ კოლექციებს, რომლებიც ინახება როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში: პარიზსა და პეტერბურგში. პირველმა ქართველმა პროფესიონალმა ეთნოლოგმა თავისი მოღვაწეობა ეთნოლოგიაში საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში მასალების მოპოვებით დაიწყო: დასავლეთ საქართველო, გურია, აჭარა, სამეგრელო, სამურზაყანო, აფხაზეთი, რაჭა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ პირველი ასეთი დაკვირვება მან შიდა ქართლზე მოახდინა, რომლის ერთ-ერთ სოფელში 1889 წელს მასწავლებლობდა.

მან მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქართულ ეთნოლოგიაში. მისი მიზანი იყო არა მხოლოდ ქართული ტრადიციების წარმოჩენა, არამედ თანამედროვეობა, საქართველოს მომავალი და ქართველი ხალხის კონსოლიდაცია იმის საფუძველზე, რომ საუკუნეების განმავლობაში ქართველ ხალხს ერთი და ერთიანი ხალხური კულტურა ჰქონდა შექმნილი. თედო სახოკია 1956 წელს გარდაიცვალა.

როლანდ თოფჩიშვილი

თედო სახოკიას „ციმბირული მოგონებანი", როგორც ეთნოგრაფიული წყარო

■ თსუ-ის ასოცირებული პროფესორის როზეტა გუჯეჯიანის მოხსენებიდან

თედო სახოკიას მეცნიერული მემკვიდრეობა ინტერდისციპლინურია, რადგან იგი გახლდათ პირველი სწავლული ეთნოლოგი/ანთროპოლოგი, ლექსიკოგრაფი, მთარგმნელი, მწერალი.

თედო სახოკიას არქივში (ლიტერატურის მუზეუმი) დაცულია ხელნაწერი (1931 წლისა) სახელწოდებით — „ციმბირში. მოგონებანი 1905 წლის რევოლუციის დროიდან". ხელნაწერის სამი თავი 1939 წელს გამოქვეყნდა „მნათობში". ხელნაწერი სრულად გამოქვეყნდა 2012 წელს.

რა აკავშირებდა თედო სახოკიას 1905 წლის რევოლუციასთან და რა იდეები ასულდგმულებდა მას? ცნობილია, რომ თედო სახოკია სტუდენტობის წლებშივე ჩაება ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში, რისთვისაც ის გარიცხულ იქნა ტფილისის სასულიერო სემინარიიდან.

1890-იანი წლების დასაწყისიდან თედო სახოკია მეგობრებთან ერთად (გიორგი დეკანოზიშვილი, შიო დედაბრიშვილი, გიორგი გვაზავა, იაკობ ფანცხავა...) ქმნის „საქართველოს თავისუფლების ლიგას". ამ ეროვნული საქმის გამო ახალგაზრდების ჯგუფს აპატიმრებენ, გამოძიება გრძელდებოდა სამი წელი, 708-თვიანი პატიმრობის შემდეგ ისინი გათავისუფლდნენ, მაგრამ დარჩნენ პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ.

1890-იანი წლების ბოლოდან თედო სახოკია, ძირითადად, აფხაზეთში მოღვაწეობს და ცდილობს აფხაზეთის გადარჩენას რუსიფიკაციისაგან. თედომ აფხაზეთში ჩამოაყალიბა „ქართული პარტია" და მკვეთრად დაუპირისპირდა სოხუმის „ოკრუგში" მიმდინარე რუსიფიკატორულ პოლიტიკას. საარქივო მასალით დასტურდება, რომ რუს მოხელეთა დაკვირვებით, თედო სახოკია სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა და საჭირო იყო მისი დაპატიმრება.

1900 წელს თედო სახოკიამ დატოვა საქართველო და დამკვიდრდა ევროპაში, კერძოდ, პარიზში. ოთხი წლის განმავლობაში ეუფლებოდა ეთნოლოგის/ანთროპოლოგის პროფესიას.

სწავლისა და მეცნიერული კვლევაძიების პარალელურად, თედო სახოკია აგრძელებს ეროვნულ მოძრაობასთან თანამშრომლობას. 1902 წელს პარიზში იკრიბებიან თედო სახოკია, არჩილ ჯორჯაძე, გიორგი დეკანოზიშვილი და იწყებენ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის გაზეთის გამოცემას: გაზეთი „საქართველო" 1905 წლამდე გამოიცემოდა და ვრცელდებოდა საქართველოშიც.

1905 წლისათვის, გიორგი დეკანოზიშვილის მონდომებითა და ფინანსებით შეძენილ იქნა გემი და იარაღი, რაც უნდა ჩატანილიყო საქართველოში და დაწყებულიყო ქართველთა ბრძოლა სამშობლოს გათავისუფლებისათვის. გაზაფხულზე საქართველოში ნიადაგის მოსამზადებლად გააგზავნეს თედო სახოკია. ოქტომბერში გემი „სირიუსი" იარაღით დატვირთული ამსტერდამიდან ფოთისაკენ გაემგზავრა. გემი ფოთს 22 ნოემბერს მიადგა. „ოხრანკა" საქმის კურსში იყო და აქტიურად ცდილობდა გემისა და შეთქმულების დაპატიმრებას. თედო სახოკიამ და მისმა მეგობრებმა მაინც მოახერხეს იარაღის ნაწილის გადატანა ნავებზე და ნავებით შეიტანეს საქართველოში. ცოტა ხანში მენავეებიც და თედო სახოკიაც დაიჭირეს და გააციმბირეს. მას სამუდამო კატორღა (ირკუტსკის მხარეში) მიუსაჯეს და გადაასახლეს. აი, სწორედ ეს რთული ისტორია არის აღწერილი წიგნში (ქრონოლოგია: 1908 წლის ღვინობისთვე — 1909 წლის მაისი).

წიგნში აღწერილი არაერთი პოლიტიკური ფაქტი, პროცესი, სოციალური გარემო და ყოფითი ნიუანსები ფრიად მნიშვნელოვანი წყაროა ისტორიკოსთა და ეთნოლოგთათვის.

1909 წელს თედო სახოკიამ კატორღიდან გაქცევა მოახერხა. საინტერესოა, რომ ურთულეს პირობებში მყოფი თედო სახოკია (პატიმარი, მშიერ-მწყურვალი, ფეხებშებორკილი, ავადმყოფი, მყოფი ყინვასა თუ გაუსაძლის უჰაერობაში, სასტიკ კრიმინალთა მხრიდან თავდასხმის პირობებშიც კი) სამყაროს ეთნოლოგის თვალით უმზერს და აღწერს ყოველ ყოფით ელემენტს თუ სოციალურ პროცესს.

მნიშვნელოვანია თედოს მიერ აღწერილი სასამართლო პროცესი, ჩინოვნიკთა სახეები, ქართველი საზოგადოების მხარდაჭერა დაპატიმრებულებისადმი, ღალატის ისტორია, სატუსაღოები, პატიმართა გაუსაძლისი ყოფა, პატიმართა სახეობები: პოლიტიკურები და არაპოლიტიკურები, „კონვოის" სისტემა, გზა, რიაჟსკის ციხეში ნანახი წარწერა: მისი მეგობრების, მასზე ადრე გაციმბირებული მენავეების მიერ დაწერილი, გაყინულ ვოლგაზე გადაადგილება, უფის, ზლატოუსტის, შემდეგ უკვე ციმბირული ყოფა და ვითარება. იგი ყურადღებას ამახვილებს ხელობის ცოდნის აუცილებლობაზე. აღწერს გავრცელებულ მანკიერებებს: არყის სმას, ქაღალდის თამაშს, სოდომის ცოდვას.

გზადაგზა თედო სახოკია მოგვითხრობს სხვა პატიმრებზე, მეგობრებზე თუ სხვა ადამიანებზე, აღწერს მათ სულიერ მდგომარეობას, მათი ყოფის მძიმე პირობებს, პოლიტიკურ და არაპოლიტიკურ პატიმართა დაპირისპირებებს. საუბრობს ბურიატებზე, გადასახლებულ ლეკთა ტანჯვა-წამებაზე, ყირგიზებზე. თედოს გამოქცევისა და საქართველოში ჩამოღწევის გზაც არაერთი მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული ფაქტით არის აღბეჭდილი.

ამრიგად, თედო სახოკიას „ციმბირული მოგონებანი" უძვირფასესი წყაროა 1900-იანი წლების კულტურულ-სოციალური ვითარების შესასწავლად და მას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა იმდროინდელი ყოფითი რეალიების რეკონსტრუირებისათვის.

მაია ტორაძე

თამარ პაიჭაძის „საჭირო, მნიშვნელოვანი და აქტუალური ნაშრომი“

შერთხია ბეროშვილი

ქართული მოდერნიზმის „ოქროს ხანა“ — XX საუკუნის პირველი ნახევარი, თავისთავად, გამორჩეული იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ იმ პერიოდში მოღვაწე პროგრესულად მოაზროვნე მწერლების შემოქმედებამ განუმეორებელი კვალი დააჩნია ქართულ ლიტერატურას. თუმცა, გასული საუკუნის ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდი, საბჭოთა რეჟიმის პირობებში, დიდხანს ობიექტურად და სისტემურად არ იყო გამოკვლეული. ეს პროცესი უფრო მოგვიანებით დაიწყო. თსუ-ის ასოცირებული პროფესორის თამარ პაიჭაძის ახალი წიგნი — „მოდერნიზმი და ქართული ლიტერატურა“ სწორედ ამ დანაკლისის შევსების წარმატებული მცდელობაა, — ითქვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ წიგნის პრეზენტაციაზე, რომელსაც ლიტერატურათმცოდნეები, პროფესორები, სტუდენტები და მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

როგორც წიგნის წინასიტყვაობაში ავტორი აღნიშნავს, მონოგრაფიულ გამოკვლევაში XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურის ისტორიის ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა და მონაკვეთია ასახული.

„ბოლო დრომდე ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობა ცალსახად განიცდიდა ჩამოყალიბებული (ფუნდამენტური და ქრესტომათიული) კვლევების სიმწირეს ქართული ლიტერატურის ისტორიაში მოდერნისტული ეტაპის არსებობის შესახებ. ამ ნაწილის გარეშე კი შეუძლებელია გაანალიზდეს უახლესი ქართული ლიტერატურის განვითარების გზაც და საფუძველიც. წარსული წლების სასწავლო მასალებში და, ზოგადად, კვლევებში ამ საკითხის უგულებელყოფა განპირობებული იყო საბჭოთა პერიოდის პოლიტიკით და, აქედან გამომდინარე, იდეოლოგიური მიდგომით თუ დამოკიდებულებით მოდერნიზმის, როგორც კულტურული ფაქტის, მიმართ, თუმცა შემდგომშიც, ამ პოზიციის შეცვლის შემდეგ, ისტორიული და კვლევითი დისკურსის ხასიათის ნაშრომი ქართული ლიტერატურული მოდერნიზმის შესახებ არ შექმნილა. ეს თემა მხოლოდ ბოლო წლებში გაიხსნა და ცალკეულ საკითხთა შესახებ რამდენიმე გასათვალისწინებელი გამოკვლევა გამოქვეყნდა. სულ უფრო იკვეთებოდა საჭიროება ლიტერატურის კვლევებისა განსაკუთრებით სასწავლო პროგრამაში, რომლებიც თანამედროვე მეთოდების, კომპონენტებისა და გამოწვევების კვალობაზე წარმოაჩენდნენ ქართული მოდერნიზმის ისტორიას, მის მხატვრულ თავისებურებებს და შესაბამის ადგილს მიუჩენდნენ ამ პროცესს ლიტერატურის ისტორიაში. შესაბამისად, ქართული მოდერნიზმის კვლევის პროცესი დღესაც აქტუალური და ამოუწურავია“, — აღნიშნავს თამარ პაიჭაძე.

როგორც ავტორმა პრეზენტაციაზე დამსწრე საზოგადოებას განუცხადა, წიგნი მრავალწლიანი შრომის შედეგია, რომელიც მან ამ ხნის მანძილზე ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში, არქივებში, სხვადასხვა გამოცემებში, საზღვარგარეთ მოძიებულ წყაროებზე მუშაობის შედეგად მოიპოვა. თამარ პაიჭაძის აზრით, ამ საკითხების კვლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული ლიტერატურათმცოდნეობისთვის, რადგან სწორედ ამ პერიოდის მწერლებმა თავისი მოღვაწეობით კრიზისს გადაარჩინეს და ფსევდოლიტერატურულ მოსახვევებს აარიდეს ქართული ლიტერატურა, რომელიც იმ რეალობაში არსებობდა.

„XX საუკუნემ ისე ჩაიარა, რომ ამ ადამიანებზე არავინ წერდა და ამის მიზეზი, პირველ რიგში, იყო იდეოლოგიური წნეხი, თუმცა, ის სტიგმა და სტერეოტიპი, რომელიც მოდერნისტული ლიტერატურის გარშემო არსებობდა, შემდგომშიც გაგრძელდა. როდესაც ეს მწერლები „დაუბრუნდნენ“ სასწავლო პროგრამებს თუ მკითხველს, მათ მიმართ დამოკიდებულება, გარკვეულწილად, კვლავ არაობიექტური იყო. ჩვენმა თაობამ ეს თავის თავზე გამოსცადა. სკოლებში ისწავლებოდა ამ მწერლების მიერ დაწერილი



ნაწარმოებები, თუმცა, მათი შემოქმედება რა კუთხითაც იყო საინტერესო, კვლავ უცნობად რჩებოდა, ზოგიერთი მწერალი კი საერთოდ აკრძალული იყო. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ იდეოლოგიური წნეხის გარდა, არც იმდროინდელი საზოგადოება აღმოჩნდა მზად ახალი მიმდინარეობის მისაღებად — ესეც ერთ-ერთი მიზეზი გახდა იმისა, რომ მოდერნიზმის განვითარებას საქართველოში ფართო გასაქანი არ მიეცა. ამ სტერეოტიპიდან გამოსვლას გარკვეული დრო დასჭირდა. სამწუხაროდ, ეს ჩვენი ეპოქის რეალობა იყო. ამ დამოკიდებულებიდან ჩვენი ლიტერატურა შედარებით გვიან, XX საუკუნეში გამოვიდა. დაინტერესება იყო ევროპელი მკვლევრების მხრიდანაც. 70-იან წლებში პირველი წერილები სწორედ მათ ეკუთვნით. ისინი კარგად აცნობიერებდნენ იმ მნიშვნელობას, რომელიც გააჩნდა ქართულ ლიტერატურას, თუმცა, ჩვენი მხრიდან ინფორმაცია არ ჰქონდათ. საბედნიეროდ, ბოლო წლებში ეს დამოკიდებულება შეიცვალა, მნიშვნელოვანი კვლევები შეიქმნა ამ კუთხით, რომელთა გათვალისწინებითაც დაიწერა ეს წიგნი“, — აღნიშნა თამარ პაიჭაძემ.

ახალი ნაშრომის ავტორი მიიჩნევს, რომ ქართული მოდერნიზმის კვლევა ახალ ეტაპზე გადავიდა და ამ მიმართულებით კვლავ ბევრია სათქმელი და გასაკეთებელი. წიგნის ავტორის თქმით, ქართული მოდერნისტული ტექსტების გაცნობა, კვლევის გარდა, დიდი ემოციის მიღების შესაძლებლობაცაა. მან ასევე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მისი ნაშრომი, უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდა თაობისთვის არის განკუთვნილი და მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოს და თსუ-ის სამეცნიერო საბჭოს, რომელთა გადაწყვეტილებით ნაშრომი სასწავლო პროგრამაში შევიდა. თამარ პაიჭაძემ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა წიგნის რედაქტორს კახაბერ ლორიას და რეცენზენტებს: ბელა წიფურიას და თამარ შარაბიძეს, მხარდაჭერისა და გვერდით დგომისთვის კი — მეგობრებსა და ოჯახის წევრებს. პრეზენტაციაზე ითქვა, რომ ახალი ნაშრომი თსუ-ის 100 წლის იუბილეს მიეძღვნა.

წიგნის მნიშვნელობაზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ბელა წიფურიამ ისაუბრა: „ქართული მოდერნიზმის და ავანგარდის მემკვიდრეობა XX საუკუნის ქართული ლიტერატურის მემკვიდრეობაში დღემდე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია. საბჭოთა პერიოდში, ათწლეულების განმავლობაში ამ მემკვიდრეობის კვლევა არ იყო სათანადო დონეზე წარმართული. პირიქით, იყო ძალიან ტენდენციური იდეოლოგიზირებული დამოკიდებულება, რომელიც კრძალავდა ამ მიმდინარეობისადმი სათანადო ინტერესის გამოხატვას, ზუსტ და ობიექტურ შეფასებებს. ამიტომ ეს პერიოდი ხელახლა შესასწავლი და გადასააზრებელია, შესაბამისად, თამარ პაიჭაძის ეს წიგნი ძალიან მნიშვნელოვანია“, — აღნიშნა ბელა წიფურიამ.

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა ნანა გაფრინდაშვილმა წიგნს „საჭირო, მნიშვნელოვანი და აქტუალური ნაშრომი უწოდა, რომელშიც კვლევისა და სწავლების ინტეგრირება მოხდა“.

როგორც პრეზენტაციაზე წიგნის რედაქტორმა კახაბერ ლორიამ განაცხადა, თამარ პაიჭაძის წიგნი კარგი შენაძენია ქართველი მკითხველისთვის, ლიტერატურათმცოდნეებისთვის და სტუდენტებისთვის.

თამარ პაიჭაძე

„მე-20 საუკუნის გარიჟრაჟიდან მოდერნიზმი იქცა ქართული ლიტერატურის იმ ხაზად, რომელმაც განსაზღვრა ქართული ლიტერატურული პროცესები. ეს წიგნი ავტორის სიღრმისეული ანალიზით, კომპლექსურობით და მრავალმხრივობით გამოირჩევა. ფაქტობრივად არ დარჩენილა არც ერთი მიმდინარეობა და ლიტერატურული შენაკადი ამ მაგისტრალური და მოდერნისტული გზის ქართულ ლიტერატურაში, რომელიც შესაბამისად არ ასახულიყო ამ ნაშრომში. ეს კი იმის გარანტიას და წინაპირობას წარმოადგენს, რომ იგი საინტერესო იქნება როგორც სამეცნიერო წრეებისთვის, ფართო მკითხველისთვის და, უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდობისათვის“, — აღნიშნა თსუ-ის პროფესორმა კახა ლორიამ.

პრეზენტაციაზე მოსაზრებები სტუდენტებმაც გამოთქვეს: თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტის ანა გოგოლაძის აზრით, სტუდენტებისთვის, რომლებიც დაინტერესებული არიან და სწავლობენ ამ პერიოდის ლიტერატურას, მნიშვნელოვანია ისეთი სახელმძღვანელოს არსებობა, სადაც კომპლექსურად არის თავმოყრილი სხვადასხვა წყაროებში გაბნეული მასალა; თანმიმდევრულად და სისტემურად არის წარმოდგენილი ქართული მწერლობის უმნიშვნელოვანესი ეტაპები.

სამართლის და ეკონომიკის ცენტრის გახსნის მთავარი არსი

პირველ მაისს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტისა და თბილისის ღია უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში, თბილისის ღია უნივერსიტეტში სამართლის და ეკონომიკის ცენტრი გაიხსნა.

ცენტრის მხარდამჭერები არიან საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

სამართლისა და ეკონომიკის ცენტრი საუნივერსიტეტო ბაზაზეა დაფუძნებული, რომელიც მიზნად ისახავს სამართლისა და ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებით მიმდინარე საკანონმდებლო, სამეცნიერო და პრაქტიკული პროცესების შესწავლას, პრობლემებსა და გამოწვევებზე ეფექტურ რეაგირებას, საზოგადოების ინფორმირებასა და კვლევის შედეგების ადრესატებისათვის გაცნობას.

ცენტრის მისიაა შექმნას სამართლისა და ეკონომიკური პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე ინტერდისციპლინური დისკუსიისა და იდეების გენერირების გარემო, რომელშიც აქტიურად ჩაერთვებიან როგორც სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები, ისე პრაქტიკოსი სპეციალისტები და სტუდენტები.

ღონისძიებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შარვაშიძე, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე მზია თოდუა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე დავით ასათიანი, აკადემიური წრეები, მოსამართლეები და დეპუტატები დაესწრნენ.

„ცენტრი საგანმანათლებლო, საზოგადოებრივ და სასამართლო სფეროთა თანამშრომლობის მისაბაძი მაგალითია. იმედი გვაქვს, რომ ცენტრის მუშაობა ხელს შეუწყობს სამართლისა და ეკონომიკური პოლიტიკის პროცესების მეცნიერულ შესწავლას, გამოწვევებზე ეფექტურ რეაგირებას, საზოგადოების ინფორმირებას და სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებას.

მისასალმებელია, რომ ინტერდისციპლინური დისკუსიებისა და იდეების გენერირების პროცესებში მეცნიერებთან და სპეციალისტებთან ერთად სტუდენტებიც აქტიურად ჩაერთვებიან“, — აღნიშნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა, რომელმაც სამინისტროს სახელით სრული მხარდაჭერა გამოუცხადა ცენტრის საქმიანობას.

ცენტრის მისიაზე ისაუბრა აგრეთვე თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ, რომელმაც ხაზი გაუსვა მის მნიშვნელობასა და ორი კომპონენტის — სამართლისა და ეკონომიკის ურთიერთგავლენის თავისებურებებს. „ცენტრი მიზნად ისახავს სამართლისა და ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებით მიმდინარე პროცესების შესწავლას, ეკონომიკური რეფორმების შედეგად გამოწვეული პრობლემების განხილვას სამართლებრივ ჭრილში. ასევე ეკონომიკურ გამოწვევებზე ეფექტურ რეაგირებას და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდებას, ინტერდისციპლინური კვლევის შედეგების გაცნობას“, — განაცხადა რექტორმა.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ დავით ასათიანმა დიდი მხარდაჭერა გამოუცხადა ცენტრის დამფუძნებლებს და შემდგომი წარმატებები უსურვა. მისი აზრით, ამ ცენტრში განხორციელებული კვლევები და მიღწევები პრაქტიკულად დაინერგება ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებასა და თანამედროვე იურისპრუდენციაში, რომელიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის პროგრესულ ზრდას.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ პროფესორმა ირაკლი ბურდულმა წაიკითხა მოხსენება, სახელწოდებით: „ნეკრორეცეფცია საქართველოში“. მოხსენების შემდეგ დისკუსია გაიმართა.

თამარ დადიანი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავისა და უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ლექციათა ციკლი

თამარ დადიანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავისა და უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებები გრძელდება. 23 აპრილს, დიდი ივანე ჯავახიშვილის დაბადების დღეს, თსუ-ში ლექციათა ციკლი დაიწყო, რომელიც გახსნეს უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ საჯარო ლექციით — „საუნივერსიტეტო განათლება საქართველოში“ და თსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ზურაბ გაიპარაშვილმა საჯარო ლექციით — „პირველი ქართული უნივერსიტეტი 1918-1921“.

„ერთი თვის მანძილზე გვექნება ღია ფორმატის საჯარო ლექციების ციკლი. პროექტი სკოლის მოსწავლეებს უმარტივებს არჩევანის გაკეთებას — თუ რა მიმართულებით უნდა გააგრძელონ სწავლა. ისინი მოისმენენ ლექციებს, რომელიც ეთმობა ჩვენი დამოუკიდებლობის, სახელმწიფოებრიობის, იდენტობის სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებს. იმედია, მოსწავლეები კმაყოფილები დარჩებიან.

აღსანიშნავია, რომ პირველი საჯარო ლექცია დაემთხვა ივანე ჯავახიშვილის დაბადების დღეს. ინტერესი მაღალია და იმედია, ბევრი მოსწავლე, რომელიც ესწრება ამ ღონისძიებებს, მომავალში გახდება ამავე უნივერსიტეტის სტუდენტი“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

მნიშვნელოვანია, რომ ლექციები მიმდინარეობს იმ გარემოში, სადაც გამოფენილია უნივერსიტეტის დამფუძნებლის ნივთები, იშვიათი რარიტეტები, ფოტოდოკუმენტური და მემორიალური ნივთები, რომელიც ასახავს უნივერსიტეტის დამაარსებლის მრავალმხრივ სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მუზეუმის დირექტორის მაია გურაბანიძის თქმით, „ექსპოზიციაზე გამოფენილია ივანე ჯავახიშვილის მემორიალური ნივთები — ოჯახური ალბომი, მისი ხელით დაწერილი უნივერსიტეტის წესდება, პირადი მოხმარების საგნები“.

უნივერსიტეტის იდეის დაბადებაზე, დამფუძნებელთა საქმიანობაზე, სახელმწიფოსა და უნივერსიტეტის ურთიერთობაზე ისაუბრა თსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ზურაბ გაიპარაშვილმა. მისი თქმით, „საჯარო ლექციების ციკლი მიეძღვნება საქართველოს უნივერსიტეტს და, ზოგადად, საუნივერსიტეტო განათლებას უნივერსიტეტში. ეს წელი გამორჩეულია, რადგან უნივერსიტეტის და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების 100 წლისთავია.

როდესაც ქართულ საგანმანათლებლო ტრადიციებზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა ვახსენოთ ფაზისის აკადემია და საეკლესიო-სამონასტრო ცენტრები, რომლებიც მრავლად იყო როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე.

უნივერსიტეტის დაარსების იდეა XX საუკუნის დასაწყისში, რუსეთის იმპერიისაგან საქართველოს გათავისუფლებისათვის ბრძოლის გაძლიერებასთან ერთად დაიბადა და პირველად 1832 წლის შეთქმულებმა გაახმოვანეს. ისინი ქვეყნის გათავისუფლებასთან ერთად საქართველოში უნივერსიტეტის გახსნის საჭიროებაზეც საუბრობდნენ. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს იდეა მაშინ ისეთივე განუხორციელებელი დარჩა, როგორც შეთქმულების მთავარი მიზანი — თავისუფლება.

XIX საუკუნის 30-იან წლებში კი ერის მოწინავე საზოგადოებრიობამ გააქტიურება დაიწყო და შეეცადა საგანმანათლებლო ტრადიციების აღდგენას“, — აღნიშნა ისტორიის დოქტორმა, თსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ზურაბ გაიპარაშვილმა, რომელმაც მოსწავლეებს დაწვრილებით გააცნო უნივერსიტეტის დაარსების ისტორია. მან აგრეთვე უნივერსიტეტის მისიასა და სიმბოლიკაზე, დამფუძნებლების მოღვაწეობასა და წვლილზეც ისაუბრა.

თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე მიესალმა სკოლის მოსწავლეებს და იმედი გამოთქვა, რომ ეს ლექციები მათ პროფესიის არჩევაში დაეხმარებათ. მან ლექცია უნივერსიტეტის იდეისა და მისიის ახსნით დაიწყო. ისაუბრა იმაზე, თუ როგორ მოგვიყვანა კაცობრიობის ისტორიამ დღევანდელ სკოლამდე, რომ ამ ხნის მანძილზე არაფერი შეცვლილა განათლების მიმართულებით, ანუ ცოდნის მიმღები და გამცემი ისევ უნივერსიტეტი დარჩა, როგორც საუკუნეების წინ, უბრალოდ, შეიცვალა ტექნოლოგიები და განვითარდა ცივილიზაცია. „დღეს საქართველოში უმაღლესი განათლების დიდი ტრადიცია არსებობს. უნივერსიტეტის იდეა თანასწორობის პრინციპზეა აგებული — ყველას შეუძლია განათლების მიღება! უნივერსიტეტი არის უნივერსალური სასწავლებელი, რომელიც აწარმოებს ცოდნას და ამავე დროს ცოდნის გამცემი და რეალიზატორია.

საქართველოში უმაღლესმა სკოლამ ბევრი ეტაპი გაიარა - დაწყებული ფაზისის, გელათის აკადემიებიდან მოყოლებული დღემდე. სიმბოლურია ის ფაქტიც, რომ პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსება დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს უკავშირდება. ეს იყო ერთი, კარგი სიმბოლური აქტი, რომლითაც ხაზი გაესვა ქართული საგანმანათლებლო ტრადიციების აღორძინებას“, — განაცხადა გიორგი შარვაშიძემ. რექტორმა მოსწავლეებს ქართული სამეცნიერო სკოლების დაარსების, განვითარების მნიშვნელობასა და ამ სკოლების დამფუძნებლების მოღვაწეობის შესახებ მოუთხრო, სხვადასხვა სამეცნიერო დარგებში მიღწეული წარმატებებიც გააცნო და აღნიშნა: „პირველი თაობის პროფესურა, რომელიც უნივერსიტეტს ჰყავდა, ნებისმიერ, მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტს დაამშვენებდა. მათი დიდი მონდომებითა და ძალისხმევით შეიქმნა სამეცნიერო სკოლები, რომლებითაც დღეს ძალიან ვამაყობთ! დღეს თსუ კავკასიის რეგიონში წამყვანია, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით 359-ე ადგილზეა 20 000 სამეცნიერო კვლევით უნივერსიტეტს შორის. ყველაფერი, რაც საქართველოში უმაღლესი განათლების სფეროში ხდება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უკავშირდება! ყველა უმაღლესი სკოლა ამ კედლებიდან იღებს სათავეს“, — განაცხადა გიორგი შარვაშიძემ. მან აგრეთვე ისაუბრა თსუ-ის საერთაშორისო ურთიერთობებზე, უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან აქტიურ თანამშრომლობასა და მსოფლიო მნიშვნელობის სამეცნიერო მიღწევებზე.

„საინტერესო ლექციები მოვისმინეთ, ბევრი მნიშვნელოვანი რამ გავიგე როგორც უნივერსიტეტის შექმნის ისტორიაზე, ასევე ქართული სამეცნიერო სკოლების დაარსებასა და განვითარებაზე. ძალიან დამაინტერესა აქ გამოფენილმა არქეოლოგიური გათხრების ნიმუშებმა, ძველმა კულტურამ, იარაღებმა და წინა საუკუნეების ნივთებმა“, — განაცხადა თბილისის 55-ე საჯარო სკოლის მოსწავლემ ნიკა მაისურაძემ.

ლექციათა ციკლი თსუ-ში 26 მაისამდე გაგრძელდება.

რას ემსახურება გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის ყოველწლიური სემინარი

მაია ტორაძე

18 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა „თსუ-ის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXXII საერთაშორისო გაფართოებული სხდომა“, რომელიც ამავე ინსტიტუტის 50 წლისთავს მიეძღვნა. ფორუმის მუშაობაში, ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებთან და თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დეპარტამენტის პროფესურასთან ერთად, მონაწილეობდნენ ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, სტუ-ის ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის, სტუ-ის კიბერნეტიკის ინსტიტუტის, ქუთაისის ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლები და დოქტორანტები, ასევე მეცნიერები ავსტრიიდან, რუსეთიდან, უზბეკეთიდან და ეგვიპტედან.

ფორუმის გახსნაზე ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა გიორგი ჯაიანმა საიუბილეო თარიღი მიულოცა მონაწილეებს და გაიხსენა ინსტიტუტისა და საერთაშორისო გაფართოებული სხდომების ისტორია, რომელიც 1986 წლიდან იღებს სათავეს.

„სამეცნიერო ფორუმი აკადემიკოს ივანე კიღურაძის მიერ დაარსდა. ეს სემინარები მან პეტროვსკის სემინარის ანალოგიით დააფუძნა და დღეს იმდენად გაფართოვდა, რომ ყოველწლიურად უკვე 10 სექცია მუშაობს და მასში მსოფლიოს უდიდესი მეცნიერები იღებენ მონაწილეობას. წელს სამეცნიერო ფორუმზე მონაწილეებმა 83 მოხსენება წარადგინეს. უნდა გითხრათ, რომ ეს სემინარები სამეცნიერო ინტეგრაციის საუკეთესო ფორმაა. აქ კოლეგები ეცნობიან ერთმანეთის კვლევებს, იბადება ახალი იდეები და თანამშრომლობები, იზრდება ახალი თაობა. ჩვენი ინსტიტუტის ძირითადი მიზანიც ესაა — უფროს თაობას ხელი შევუწყოთ გამოცდილების გაზიარებაში, ხოლო ახალგაზრდა თაობას მივცეთ შესაძლებლობა საერთაშორისო სამეცნიერო ასპარეზზე გაიტანოს ახალი კვლევები“, — განაცხადა ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა გიორგი ჯაიანმა.

გაფართოებული სემინარის მუშაობაში ასევე მონაწილეობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი და მათემატიკოსთა კავშირის პრეზიდენტი დავით ნატროშვილი, რომელმაც სემინარს მაღალი შეფასება მისცა და აღნიშნა, რომ ილია ვეკუას მიერ დაწყებული საქმე გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში წარმატებით გრძელდება. „მეოთხე კურსის სტუდენტი ვიყავი, როდესაც ბატონმა ილიამ რამდენიმე სტუდენტი შეგვარჩია და აქ მოგვიყვანა. იქიდან დაწყებული, ჩემთვის ამ სემინარებზე გამოსვლა, რომელსაც ესწრებოდნენ ისეთი კორიფეები, როგორებიც იყვნენ ილია ვეკუა, ვიქტორ კუპრაძე, ანდრო ბიწაძე და სხვები, უზარმაზარი პასუხისმგებლობა იყო პროფესიონალური შეფასების თვალსაზრისით. ასეა დღესაც — აქ ერთად სხედან დიდი მეცნიერები და დოქტორანტები და ყველა წარმოაჩენს განვლილი წლის მანძილზე მიღებულ კვლევით შედეგებს. ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ კოლეგები ეცნობიან — ვინ რა თემაზე მუშაობს ინსტიტუტის შიგნით, ქვეყნის მასშტაბით და საერთაშორისო დონეზე. ეს არის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის ყოველწლიური სემინარი, სადაც ფართოდ არის წარმოდგენილი ევროპის წამყვანი უნივერსიტეტები და საქართველოს ძირითადი კვლევითი ცენტრები. ერთი მხრივ, გაფართოებულ სემინარებზე ჩანს ინსტიტუტის წვლილი, თუ რა გააკეთა ერთი წლის განმავლობაში. ხოლო, მეორე მხრივ, ეს არის არაჩვეულებრივი შესაძლებლობები იმ ახალგაზრდა მეცნიერებისთვის, რომლებიც აქ მუშაობენ. როდესაც აუდიტორიაში ძალიან მაღალი რანგის პროფესორი გისმენს, აქვე გაფასებს და მიმართულებებს გაძლევს, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს კონკრეტული კვლევა, ახალგაზრდას მეტი სტიმული ეძლევა და კვლევაც მეტად შედეგიანია. გულზე ხელის დადებით შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოში ყველა კვლევითი ინსტიტუტი დაბერდა. აქედან გამომდინარე, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდების მოზიდვას, რასაც წარმატებით ართმევს თავს გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი. ეს იყო სწორედ ილია ვეკუას სურვილიც — სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი უნდა იყოს სასწავლო უნივერსიტეტთან ერთად, რომ რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა ჩართოს სამეცნიერო მუშაობაში“, — აღნიშნა ჩვენთან საუბარში დავით ნატროშვილმა.

გაფართოებული სემინარის მასალები ყოველწლიურად იყრის თავს სამეცნიერო კრებულში, რომელიც პოპულარობით სარგებლობს მათემატიკოსებში. კრებულის რედაქტორმა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორმა თემურ ჯანგველაძემ აღნიშნა, რომ ამ ფორუმებში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება. „მე ერთ-ერთი სექციის თავმჯდომარე ვარ. სიამაყით უნდა აღვნიშნო, რომ სემინარებზე ყოველთვის კარგი თემები გამოდის და საინტერესო სჯა-ბაასი მიმდინარეობს, რაც შემდგომ ნაშრომებშიც გამოიხატება. ვფიქრობ, ეს კარგი ტრადიციაა, რომელიც მომავალშიც გაგრძელდება და თაობებს გადაეცემა“, — აღნიშნა მან.

გაფართოებული სემინარი წელს დასრულდა. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი კი შემოდგომისთვის ახალი საერთაშორისო კონფერენციის ჩასატარებლად ემზადება.

ᲡᲐᲮᲔ(ᲚᲗ)ᲔᲑᲘ

ᲜᲐᲜᲐ ᲨᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ: „ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲒᲐᲕᲐᲢᲐᲠᲔ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲨᲔᲒᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ“

ᲒᲐᲐᲖᲔᲗᲘ „ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ” ᲐᲑᲠᲫᲔᲚᲔᲑᲡ ᲘᲛ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲩᲔᲜᲐᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲓᲦᲔᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲘᲛᲘᲯᲡ ᲥᲛᲜᲘᲐᲜ. ᲐᲡᲔᲗ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡᲐᲐ ᲗᲡᲣ-ᲘᲡ ᲖᲣᲡᲢ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲝ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲜᲐᲜᲐ ᲨᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲛᲐ ᲜᲐᲜᲐ ᲨᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲐᲡᲐᲙᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ. ᲐᲡᲞᲘᲠᲐᲜᲢᲣᲠᲐᲨᲘ ᲩᲐᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲣᲐᲦᲠᲔᲡᲐᲓ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ ᲛᲘᲡᲪᲐ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲛᲐ ᲓᲐ, ᲠᲐᲝᲓᲔᲜ ᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲐᲡ ᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲡ ᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲐᲓ — ᲔᲡ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ 1982 ᲬᲔᲚᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ ᲜᲝᲓᲐᲠ ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲒᲐᲜᲐᲕᲘᲗᲐᲠᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲔᲝᲠᲘᲐ ᲐᲠᲐᲬᲠᲤᲘᲕᲘ ᲚᲐᲜᲓᲐᲣᲡ ᲩᲐᲥᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲫᲚᲘᲔᲠᲐᲓ ᲢᲣᲠᲑᲣᲚᲔᲜᲢᲣᲠ ᲞᲚᲐᲖᲛᲐᲨᲘ Nonlinear Landau Damping Phenomenon in a Strongly Turbulent Plasma.N.L. Shatashvili & N.L. Tsintsadze. Physica Scripta, T2/2, 511 (1982)].

ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲜᲐᲜᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲝᲤᲐ ᲓᲐ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔᲡ ᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲤᲘᲖᲘᲙᲝᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐ. „ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲨᲘ, �თᲔᲝᲠᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲜᲘᲨᲐᲜᲓᲝᲑᲚᲘᲕᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲠᲐᲚᲝᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲠᲐᲬᲠᲤᲘᲕᲘ ᲨᲠᲔᲓᲘᲜ�გᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲢᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲛᲝᲮᲡᲜᲘᲡ ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲣᲠᲘ �გᲖᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲐ. ᲐᲡᲔᲕᲔ �გᲐᲛᲝᲕᲧᲝᲤᲓᲘ 1997 ᲬᲔᲚᲡ ᲡᲕᲐᲓᲔᲨ ᲛᲐᲰᲐᲯᲐᲜᲗᲐᲜ (ᲝᲡᲢᲘᲜᲘ, ᲐᲨᲨ) ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠ ᲕᲐᲟᲐ ᲑᲔᲠᲔᲟᲘᲐᲜᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲨᲔᲛᲝᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲣᲚ ᲛᲝᲓᲔᲚᲡ ᲓᲘᲓᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲐᲜᲘ ᲛᲐ�გᲜᲘᲢᲣᲠᲘ ᲕᲔᲚᲘᲡ �გᲔᲜᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ Theory of Magnetic Field Generation by Relativistically Strong Laser radiation. V.I. Berezhiani, S.M. Mahajan & N.L. Shatashvili. Phys. Rev. E 55, 995 (1997). ᲐᲛ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲔᲑᲛᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ ᲰᲞᲝᲕᲔᲡ ᲓᲐ, ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ, ᲑᲘᲫᲒᲘ ᲛᲘᲡᲪᲔᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚ ᲐᲮᲐᲚ ᲙᲕᲚᲔᲕᲐᲡ. ᲐᲥᲕᲔ ᲐᲦᲕᲜᲘᲨᲜᲐᲕ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲐᲡᲢᲠᲝᲤᲘᲖᲘᲙᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐᲖᲔ, ᲙᲔᲠᲫᲝᲓ, ᲛᲖᲘᲡ ᲐᲢᲛᲝᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ ᲒᲐᲪᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲖᲔ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲪᲘᲐ ᲛᲝᲰᲧᲕᲐ ᲐᲛ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲒᲐᲪᲮᲔᲚᲔᲑᲐᲖᲔ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲓᲘᲜᲘᲡ ᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲐ-ᲤᲝᲠᲛᲘᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲐᲡᲢᲠᲝᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲨᲘ. ᲐᲛ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲒᲐᲛᲝᲕᲧᲝᲤ ᲰᲘᲞᲝᲗᲔᲖᲐᲡ/ᲛᲝᲓᲔᲚᲡ ᲛᲖᲘᲡ ᲐᲢᲛᲝᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓᲘ ᲒᲐᲪᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲡ Formation and Primary Heating of the Solar Corona - Theory and Simulation. S.M. Mahajan, R.Miklaszewski, K.I. Nikol'skaya & N.L. Shatashvili. Phys. Plasmas. 8, 1340 (2001) — ᲨᲔᲛᲝᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲣᲚᲡ Ს. ᲛᲐᲰᲐᲯᲐᲜᲗᲐᲜ, Კ. ᲜᲘᲙᲝᲚᲡᲙᲐᲘᲐᲡᲗᲐᲜ (ᲠᲣᲡᲔᲗᲘ) ᲓᲐ Რ. ᲛᲘᲙᲚᲐᲨᲔᲕᲡᲙᲘᲡᲗᲐᲜ (ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ) ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲨᲔᲛᲝᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲐ ᲘᲓᲔᲐ ᲞᲚᲐᲖᲛᲣᲠᲘ ᲓᲘᲜᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲖᲔᲖᲔ ᲒᲐᲪᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡᲐ. ᲔᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲑᲝᲚᲝᲓᲠᲝᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲘᲗ ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ. ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲛ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ (1999-2001 ᲬᲬ.) ᲐᲛ ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐᲑᲠᲙᲝᲚᲔᲑᲔᲑᲘᲪ ᲙᲘ ᲨᲔᲒᲕᲮᲕᲓᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲡᲢᲠᲝᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲔᲑᲘ. ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ, ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ, �თᲔᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲡ�წᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲘᲕᲘᲓᲐ!“, — ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲛᲐ ᲜᲐᲜᲐ ᲨᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ. ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲨᲘ ᲔᲡ �თᲔᲝᲠᲘᲐ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲛᲐ ᲜᲐᲜᲐᲛ ᲐᲡᲢᲠᲝᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲘᲡᲙᲘ-ᲯᲔᲢᲘᲡ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲓᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲕᲘᲗᲐᲠᲐ ᲖᲔᲜᲨᲝ ᲘᲝᲨᲘᲓᲐᲡᲗᲐᲜ (ᲗᲝᲙᲘᲝ, ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ) ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲠᲐᲖᲔᲪ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ.

ᲜᲐᲜᲐ ᲨᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲰᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲣᲠ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐᲡ, ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲜᲐᲜᲐ ᲐᲛ ᲛᲮᲠᲘᲕ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲔᲢᲐ�პᲡ �გᲐᲛᲝᲰᲧᲝᲤᲡ: „ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲭᲘᲠᲕᲔᲑᲘᲡ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲒᲐᲣᲡᲐᲫᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲒᲕᲘᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ �თᲡᲣ-ᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲣᲠᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲙᲕᲚᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ. ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲕᲘᲧᲐᲕᲘᲗ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲜᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲓᲐ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲨᲘ. ᲐᲡᲔᲕᲔ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲨᲘ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲚᲔᲑᲘ (2005-2008 ᲬᲬ.), ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲬᲘᲚᲐᲓ ᲛᲮᲓᲐ ᲘᲛ Ჯ�გᲣᲤᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡ�წᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲓᲔᲠᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲤᲘᲖᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ“, — ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲜᲐᲜᲐ ᲨᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐ ᲗᲡᲣ-ᲨᲘ ᲐᲥᲕᲡ �გᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ: „ᲩᲔᲛᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲗ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲘᲛᲘᲯᲡ ᲥᲛᲜᲘᲐᲜ ᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲓᲦᲔᲡ ᲗᲡᲣ-ᲨᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲘᲡᲘᲜᲘᲪ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲔᲜ. ᲛᲔᲐᲛᲐᲧᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲐᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲘᲚᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲝᲡᲔᲑᲡᲐᲪ ᲛᲘᲣᲫᲦᲕᲘᲗ“, — ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲛᲐᲜ. ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲛᲘᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲙᲕᲚᲔᲕᲐᲠᲘ, ᲘᲒᲘ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲓᲠᲝᲡ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲙᲔᲗᲓᲔᲑᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲘᲡ ᲤᲐᲠ�გᲚᲔᲑᲨᲘ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲛᲐ ᲐᲠᲐᲔᲠᲗ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲓᲐ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲚᲔᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲛᲐᲡ�პᲘᲜᲫᲚᲐ“, — ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲗᲡᲣ-ᲘᲡ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲛᲐ �გᲘᲝᲠ�გᲘ ᲨᲐᲠᲕᲐᲨᲘᲫᲔ.

ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲪᲘᲙᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲘᲡ ᲤᲐᲠ�გᲚᲔᲑᲨᲘ �გᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ.

ᲗᲡᲣ-ᲘᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘ

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲝ ᲗᲡᲣ-ᲨᲘ

ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ �თᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲝ ᲗᲐᲛᲐᲠ ᲩᲣᲒᲝᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ. ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲕᲘᲪᲔ-ᲡᲞᲘᲙᲔᲠᲛᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲬᲐᲣᲙᲘᲗᲮᲐ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲚᲔᲥᲪᲘᲐ „ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲠᲝᲚᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ“ ᲓᲐ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲑᲝᲚᲝ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ �თᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲖᲔ.

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲡ ᲔᲡᲬᲠᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ �გᲘᲝᲠ�გᲘ ᲨᲐᲠᲕᲐᲨᲘᲫᲔ, ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲘ. ᲚᲔᲥᲪᲘᲐ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ-ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲓᲐ. ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲐᲠᲛᲐ ᲛᲝᲘᲡᲛᲘᲜᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲑᲝᲚᲝ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲖᲔ, Უ�პᲐᲡᲣᲮᲐ ᲛᲐᲗ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲡ.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲩᲣᲒᲝᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲗᲥᲛᲘᲗ, „ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐᲒᲔ�გᲛᲘᲚᲘ ᲒᲕᲥᲝᲜᲓᲐ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲠᲝᲚᲖᲔ ᲡᲐᲡᲐᲣᲑᲠᲝ. ᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲐ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲙᲘᲗᲮᲘᲐ ᲘᲛᲘᲡ �გᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡ�წᲘᲜᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲑᲝᲚᲝ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲗᲔᲛᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐ�კᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ“.

„ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲩᲐᲔᲠᲗᲜᲔᲜ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐᲨᲘ, ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲔᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲐᲖᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲖᲔ. ᲑᲔᲕᲠᲘ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲡᲐ�კᲘᲗᲮᲘ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲣᲚᲘ. ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲙᲔᲗᲓᲔᲑᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲘᲡ ᲤᲐᲠ�გᲚᲔᲑᲨᲘ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲛᲐ ᲐᲠᲐᲔᲠᲗ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐᲨᲘ, ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲔᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲐᲖᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲖᲔ. ᲑᲔᲕᲠᲘ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲡᲐ�კᲘᲗᲮᲘ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲣᲚᲘ. ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲙᲔᲗᲓᲔᲑᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ 100

ამერიკისმცოდნეობის მე-6 ყოველწლიური სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია

თამარ დადიანი

30 აპრილს თსუ-ის ამერიკისმცოდნეობის სტუდენტთა სამეცნიერო წრის, ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტისა და ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის ორგანიზებით ამერიკისმცოდნეობის მე-6 ყოველწლიური სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია — „ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა ვუდროუ ვილსონის თოთხმეტი პუნქტის წარდგენიდან დღემდე“ გაიმართა.

ღონისძიება ვუდროუ ვილსონის 14 პუნქტის წარდგენისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფუძნების 100 წლისთავს მიეძღვნა.

კონფერენციაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვადასხვა აკადემიური მიმართულებისა და საფეხურის სტუდენტები მონაწილეობდნენ. კონფერენციის მოხსენებების თემატიკა ვუდროუ ვილსონის 14 პუნქტის წარდგენის (1918 წ.) შემდეგ შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის სფეროს სხვადასხვა საკითხს მოიცავდა.

სტუდენტებმა კონფერენციაზე წარმოდგენილ მოხსენებებში განიხილეს ვუდროუ ვილსონის მოღვაწეობა, 14 პუნქტის წარდგენიდან დღემდე აშშ-ში განვითარებული მოვლენები, აშშ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობები 1990 წლების დასაწყისში და ქვეყნის საგარეო პოლიტიკის საკითხები.

კონფერენცია გახსნა თსუ-ის ამერიკისმცოდნეობის სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელმა მარიამ ხატიაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ: „კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებების თემატიკა ეფუძნება ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის სფეროში მიმდინარე სხვადასხვა მოვლენის თუ ისტორიული შემთხვევის ანალიზს, ასევე, ვუდროუ ვილსონის 14 პუნქტის წარდგენიდან დღემდე აშშ-სა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ურთიერთობების მიმოხილვას“.

მონაწილეებს მიესალმნენ თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე, ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის ხელმძღვანელი და ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის დირექტორი ვასილ კაჭარავა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი თეიმურაზ პაპასქირი, ამერიკისმცოდნეობის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი ელენე მეძმარიაშვილი, რომლებმაც ხაზი გაუსვეს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას და მათი მოხსენებების მრავალფეროვან თემატიკას.

ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა ვასილ კაჭარავამ თემატური კონფერენციების ჩატარების მნიშვნელობაზე ისაუბრა: „ვილსონი დიდი პოლიტიკოსი და გამორჩეული პიროვნება იყო, რომელმაც მთელი თავისი ინტელექტი და იდეალიზმი ამერიკულ პოლიტიკაში ჩააქსოვა. ამან ხშირად დადებითი როლიც ითამაშა, მაგრამ ხშირად მწარე გაკვეთილიც გახდა, რადგან პოლიტიკა იდეალისტების ადგილი არ არის. ერთი ძალიან ცნობილი ანეკდოტი გამახსენდა ამ თემასთან დაკავშირებით: ვილსონს სამოთხეში შეხვდა მოსე და უთხრა: მისტერ ვილსონ, ეს რა უქნეს თქვენს 14 პუნქტს, რა დღეში ჩააგდესო. ვილსონმა უპასუხა: ბატონო მოსე, ჩემი 14 პუნქტი რა მოსატანია, თქვენს 10 მცნებას რა უყვეს ამ დედამიწაზე, ის ნახეთო.

თანამედროვე მსოფლიო დღესაც, გარკვეულწილად, ვუდროუ ვილსონის შემუშავებულ 14 პუნქტზე დგას. მათგან უმნიშვნელოვანესია პუნქტი — ერთა თვითგამორკვევა, რომელსაც დიდ პოლიტიკაში სწორედ ვუდროუ ვილსონმა გაუხსნა გზა. თვითგამორკვევის პრინციპზე შეიქმნა დამოუკიდებელი სახელმწიფოები. იმავე პრინციპზე აღადგინა თავისი დამოუკიდებლობა საქართველომაც. ასე რომ, ეს საკითხი დღესაც აქტუალურია და კარგია, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ამ თემების განსახილველად კარგად მოემზადა“.

ამერიკისმცოდნეობის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელმა ელენე მეძმარიაშვილმა კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებების ხარისხს გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ ყოველწლიურად იზრდება სტუდენტთა ჩართულობა სამეცნიერო პროექტებში, რაც მათთვის დიდი სტიმულია საკუთარი ძალების მოსასინჯად სამეცნიერო საქმიანობაში. „საუკეთესო მოხსენებების ავტორებს უფლება ეძლევათ, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. აქტიურად მონაწილეობენ ძირითადად ის სტუდენტები, რომლებსაც მომავალში სამეცნიერო მუშაობის გაგრძელება სურთ. განსაკუთრებით იაქტიურეს ბაკალავრიატის სტუდენტებმა, რომლებიც პირველ ნაბიჯებს დგამენ სამეცნიერო მიმართულებით“.

კონფერენციის საზეიმო გახსნის შემდეგ, პლენარულ სესიაზე მოხსენებით წარდგა აშშ-ის საზღვაო ქვეითების ატაშე მაიორი ბრედ ფულცი, რომელმაც საინტერესო პრეზენტაცია წარმოადგინა თემაზე: „ვუდროუ ვილსონის 14 პუნქტი და ერთა ლიგა: საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი დაბრკოლებები“. პრეზენტაცია ეხებოდა ვილსონის 14 პუნქტის მიღებასთან დაკავშირებულ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ დაბრკოლებებსა და მის თანმდევ პროცესებს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის სტუდენტთა სამეცნიერო წრის თავმჯდომარემ მარიამ ხატიაშვილმა პლენარულ სესიაზე ისაუბრა თანამედროვე ამერიკის საგარეო პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების საკითხებზე. მან ყურადღება გაამახვილა აშშ-ის საგარეო პოლიტიკის მრავალშრიან სისტემასა და ამ შრეების ურთიერთქმედების როლზე, ასევე, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის საგარეო პოლიტიკის მკვლევართა 2017 წლის გაცვლით პროგრამაში გამარჯვებისა და შეერთებულ შტატებში ამ პროგრამაში მონაწილეობისას მიღებული პირადი გამოცდილების შესახებ, რომლის ერთ-ერთ ნაწილსაც ამერიკისმცოდნეობის ეს წლევანდელი კონფერენცია წარმოადგენს.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა მარიამ სუდაძემ კი განაცხადა: „კონფერენციაზე წარმოდგენილი მქონდა თემა, რომლის სათაურიც იყო — „ვუდროუ ვილსონის 14 პუნქტი და მისი თანმდევი შედეგი მსოფლიო მშვიდობის დამყარებაში“. თემის შერჩევაში დამეხმარა ჩემი ხელმძღვანელი ბატონი დავით სოსელია. მუშაობის პროცესში ბევრი ისეთი საინტერესო ინფორმაცია გავიგე, რომელიც შემდგომ პროფესიულ საქმიანობაში გამომადგება“.

წლევანდელ კონფერენციაზე 10 საუკეთესო მოხსენება შეირჩა. კონფერენციის მთავარი თემის ფარგლებში, სტუდენტებმა საკმაოდ მრავალფეროვანი თემატიკა წარმოადგინეს. ისინი დაინტერესდნენ ისეთი კონკრეტული საკითხებით, როგორიცაა „ვუდროუ ვილსონი და პოლკოვნიკი ჰაუსი: შეერთებული შტატების ჩაბმა პირველ მსოფლიო ომში“ (მომხსენებელი რუსუდან ცაგარელი); „რონალდ რეიგანის რადიომიმართვები ერის მიმართ ბირთვული იარაღის შესახებ“ (მომხსენებელი ნიკა კრაწაშვილი); „აშშ-ის დიპლომატიური ურთიერთობები 1990 წლების დასაწყისში“ (მომხსენებელი ანი მღებრიშვილი) და სხვ.

კონფერენციის განმავლობაში მუშაობდა ორი სექცია: „ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა ვუდროუ ვილსონის 14 პუნქტის წარდგენიდან დღემდე: ისტორიული პიროვნებები და მოვლენები“ და „ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა ვუდროუ ვილსონის 14 პუნქტის წარდგენიდან დღემდე: საკითხები და ტენდენციები“.

1856 წელს დაბადებული ვუდროუ ვილსონის ცხოვრების საინტერესო შტრიხები

ვუდროუ ვილსონი 1913 წელს ამერიკის პრეზიდენტი გახდა. იყო ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლების მომხრე. აღსანიშნავია მისი სამეცნიერო მოღვაწეობაც. 1902 წელს ის პრინსტონის უნივერსიტეტის პრეზიდენტად დაინიშნა. სულ მალე, ვილსონის წყალობით, პრინსტონი პრესტიჟული სასწავლებლიდან ერთ-ერთ წამყვან სასწავლო და სამეცნიერო ცენტრად გადაიქცა. უნივერსიტეტის პრეზიდენტობის ბოლო წლებში მას სულ უფრო მეტად აინტერესებდა დიდი პოლიტიკა. მისი წარმატებული მოღვაწეობა შენიშნა დემოკრატიულმა პარტიამ, საპრეზიდენტო კანდიდატად დაასახელა და გაიმარჯვა კიდეც.

შთამბეჭდავია ვილსონის საგარეო საქმიანობაც. პირველ მსოფლიო ომში იგი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ლიდერი იყო, რომელმაც დაზავებისკენ დიდი ნაბიჯები გადადგა. 1918 წელს ვილსონი პარიზში სამშვიდობო კონფერენციაზე გაემგზავრა, სადაც 23 ქვეყნის დელეგატი იმყოფებოდა. ვილსონმა პირველ მსოფლიო ომს „ომი გამარჯვებულის გარეშე“ უწოდა და გერმანიის მიმართ საკმაოდ ლოიალური ზომების მიღებას ვარაუდობდა. მან წარმოადგინა ე.წ. „14-პუნქტიანი გეგმა“, რომელიც წარმოადგენდა ომის შემდგომი მსოფლიოს მისეულ ხედვას. 14 პუნქტი გერმანიისთვის არ იყო მძიმე სასჯელი, თუმცა ეს გეგმა მოკავშირეებს არ მოსწონდათ. მათ გერმანიის სრული კაპიტულაცია უნდოდათ. საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ჟორჟ კლემანსო ვილსონის 14 პუნქტს იდეალისტურ უაზრობად მიიჩნევდა და სარკასტულად ამბობდა: „ბატონი ვილსონი თავს მაბეზრებს თავისი 14 პუნქტით, მაშინ, როდესაც თვით ყოვლისშემძლე უფალიც კი ათით კმაყოფილდება“. მიუხედავად იმისა, რომ პარიზის საზავო ხელშეკრულებამ არ გაითვალისწინა ვუდროუს შემოთავაზება, ერები მთავარზე — ერთა ლიგის შექმნაზე დათანხმდნენ. ვილსონი სამშობლოში დაბრუნდა, რათა ერთა ლიგის წევრობაზე კონგრესის მხარდაჭერა მოეპოვებინა. შტატებში საზოგადოების დიდი ნაწილი თვლიდა, რომ რაიმე ტიპის ევროპულ ორგანიზაციაში გაწევრიანება ნიშნავდა აშშ-ს ჩარევას ევროპულ პრობლემებსა და კონფლიქტებში. 1920 წელს სენატმა ვეტო დაადო აშშ-ს ერთა ლიგაში გაწევრიანებას, რითიც ამერიკამ კიდევ ერთხელ აირჩია იზოლაციონიზმის პოლიტიკა.

თსუ-ის მაგისტრანტები ბერნის უნივერსიტეტში

მიმდინარე წლის 13-27 მარტს თსუ-ს და საერთაშორისო პროექტის — „მთიანი ტერიტორიების მდგრადი განვითარება“ (SCOPES) — თანადაფინანსებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ლანდშაფტური დაგეგმარების სამაგისტრო პროგრამის (ხელმძღვანელი: პროფესორი ნოდარ ელიზბარაშვილი) II კურსის სტუდენტები თეონა ქობალია, ნათია მელაძე და სანდრო გოგოლაძე გაცვლითი პროგრამის (კურატორი: დოქტორი ჰეინო მეესენი) ფარგლებში იმყოფებოდნენ ბერნის უნივერსიტეტში (შვეიცარია). მათ ამავე უნივერსიტეტის გარემოს და განვითარების ცენტრში (CDE) წარადგინეს რამდენიმე პრეზენტაცია, რომელიც ეხებოდა სამაგისტრო ნაშრომის თემატიკას. პრეზენტაციის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ბერნის უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა, ექსპერტებმა და სტუდენტებმა.

ქართველი მაგისტრანტები დაესწრნენ რამდენიმე ლექციას ბერნის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, მონაწილეობა მიიღეს მდგრად ტურიზმთან დაკავშირებულ საველე-სასწავლო კურსის პრაქტიკულ მეცადინეობაში ზამთრის კურორტ კანდერშტაგში (ბერნის კანტონი), შეხვდნენ ადგილობრივ ფერმერებს და მოსახლეობას, ჩაატარეს სოციო-ეკოლოგიური გამოკითხვა.

ქართველი სტუდენტებისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო ის ინფორმაცია, რომელიც მიიღეს მთის ტურიზმის, მთის სამართლებრივი რეგულაციების და მთის ტყეების არამერქნული რესურსების გამოყენების შესახებ შვეიცარიაში არსებული გამოცდილების ფარგლებში, რაც დიდ დახმარებას გაუწევს მათ სამაგისტრო ნაშრომების მომზადებაში.

ნათია მელაძე,
თეონა ქობალია,
თსუ-ის ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის II კურსი

ევროპის დღეები 2018

„ევროპის დღეები 2018“-ის ფარგლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის უფროსი ნიკოლოზ სამხარაძე და ევროპარლამენტში საქართველოს მეგობრობის ჯგუფის წევრები ქლერ მუდი, მიჰაილ გალერი და რომან სტრასერი შეხვდნენ.

შეხვედრაში მონაწილეობდა თსუ-ის რექტორის მოადგილე ალექსანდრე ცისკარიძე. მისი თქმით, — „სტუდენტების მხრიდან საინტერესო კითხვები დაისვა და აქტუალური საკითხები წამოიჭრა. სტუდენტების კითხვებზე პასუხები სტუმრების მხრიდან იყო ამომწურავი. ასეთი შეხვედრები ევროკავშირისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია“, — განაცხადა თსუ-ის რექტორის მოადგილემ.

შეხვედრაზე სტუმრებმა სტუდენტებთან ერთად ისაუბრეს საქართველოს საგარეო პრიორიტეტებზე, ჩვენი ქვეყნის ევროპასთან ინტეგრაციის პროცესზე და იმ მიდგომებსა და მოსაზრებებზე, რომლებიც ევროკავშირში არსებობს საქართველოს ევროპულ პერსპექტივაზე.

„დღეს გვქონდა ძალიან კარგი შესაძლებლობა გავსაუბრებოდით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს. ვისაუბრეთ საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობებზე, იმ მიზეზებზე, თუ რატომ ვართ საქართველოში. თუმცა, ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, გაგვეგო სტუდენტების მოლოდინები — თუ რას ელიან ისინი საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობებისგან. ვფიქრობ, რომ ძალიან ნაყოფიერი შეხვედრა გამოვიდა და სტუდენტებიც კმაყოფილები დარჩნენ ჩვენთან საუბრით“, — აღნიშნა ევროპარლამენტში საქართველოს მეგობრობის ჯგუფის წევრმა ქლერ მუდიმ.

თსუ-ის საერთაშორისო სამართლის მიმართულების სტუდენტის ვაჟა დათუაშვილის თქმით, სტუდენტებმა დასმულ შეკითხვებზე ამომწურავი და საინტერესო პასუხები მიიღეს. „დღევანდელი შეხვედრა მნიშვნელოვანი იყო როგორც სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, ისე უნივერსიტეტის ჭრილში. სტუმრად გვყავდნენ მნიშვნელოვანი სტუმრები ევროპარლამენტიდან. სტუდენტებმა დავაფიქსირეთ ჩვენი პოზიცია იმ მწვავე პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებიც საქართველოს წინაშე დგას. ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი და სწორი პასუხები მივიღეთ სტუმრებისგან და ვიმედოვნებთ, რომ მომავალშიც ხშირად იქნება მსგავსი დისკუსიები“.

ევროპარლამენტში საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის მმართველი საბჭო ევროპარლამენტში არსებული ყველა ძირითადი პოლიტიკური ჯგუფიდან აერთიანებს წევრებს. ჯგუფის საქმიანობის მთავარი მიზანია იმ კავშირების გამყარება, რაც უკვე არსებობს ევროკავშირს, ევროპარლამენტსა და საქართველოს შორის.

მიჯვლეულია ანდრია ბენაშვილის საფლავი

ბელს სრულდება პირველი ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის, ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ანდრია ბენაშვილის დაბადების 150 წელი. რამდენად სიმბოლურია, რომ სწორედ წელს მოიძებნა ამდენი ხნით მივიწყებული მისი საფლავი.

ანდრია ბენაშვილი გარდაიცვალა 1941 წლის 22 ივნისს ქ. სოხუმში. მისი ცხედარი ჩამოასვენეს თბილისში და დაკრძალეს ვაკის პანთეონში. ამის შესახებ არაერთ გამოცემაშია მითითებული, თუმცა, ზუსტად, სად მდებარეობდა მისი საფლავი, თანამედროვეთაგან არავინ, არც მისმა შთამომავლებმა იცოდნენ. არა ერთხელ სცადეს ა. ბენაშვილის საფლავის მიკვლევა, თუმცა უშედეგოდ.

ნათქვამია, თუ ძალიან მოინდომებ და ცოტა ბედიც გაგიმართლებს, მიზანს მიაღწევ. ასე იყო ჩვენს შემთხვევაშიც. გაზეთში წაკითხულმა ერთმა პატარა ხელმოსაჭიდმა ცნობამ და ვაკის სასაფლაოზე მომუშავე რამდენიმე ადამიანის გულისხმიერებამ შეგვაძლებინა ამ დიდი ადამიანის საფლავის მიკვლევა.

რკინის გისოსებით შემოზღუდული ანდრია ბენაშვილის საფლავი მოკრძალებული და სადაა, რომელიც არაფრით განსხვავდება მიმდებარე საფლავებისაგან. უფრო მეტიც, შავი მარმარილოებით მოპირკეთებულ მრავალ საფლავთა შორის იგი უფერულად და სავალალოდაც კი გამოიყურება. კართან იასამნის ბუჩქის ნაყარია, საფლავის მთელ სივრცეზე კი ბალახებია მოდებული. მხოლოდ გისოსებზე მიმაგრებული ქვის დაფა გვამცნობს, რომ აქ ღვაწლმოსილი ადამიანის ნეშთი განისვენებს. დაფაზე ორი წარწერაა: ერთი ქართულად — „დამსახურებული მეცნიერი, მოღვაწე, პროფესორი ანდრია მიხეილის ძე ბენაშვილი (1867-1941)“ და მეორე რუსულად — „ზინაიდა მიხეილის ასული ბენაშვილი (1866-1948)“.

აღსანიშნავია, რომ ანდრია ბენაშვილის დაბადების წლად აქ მითითებულია „1867“. ეს თარიღი უთუოდ მცდარია. თითქმის ყველა გამოცემაში მისი დაბადების თარიღად 1868 წელია მითითებული. და რაც მთავარია, თვით ა. ბენაშვილი თავის ავტობიოგრაფიაში 1868 წელს მიუთითებს.

ანდრია ბენაშვილმა საუცხოო განათლება მიიღო. ჯერ თბილისის კადეტთა კორპუსი, შემდეგ მოსკოვის სამხედრო-საუწყებო სასწავლებელი, რუსეთის იმპერიის გენერალური შტაბის ნიკოლაევის აკადემიის გეოდეზიური განყოფილება. შემდეგ პულკოვოს ობსერვატორიაში გაიარა პრაქტიკული კურსი და დაიცვა დისერტაცია. ეს კი მხოლოდ რჩეულთა ხვედრი იყო. მუშაობდა პეტერბურგის ტრიანგულაციის დასავლეთის სასაზღვრო სივრცის სამმართველოს უფროსის თანაშემწედ, კამიშინსკის 404-ე ფეხოსანთა პოლკის მეთაურად, 105-ე ფეხოსანთა დივიზიის კორპუსის მეთაურად და კიდევ სხვა მნიშვნელოვან თანამდებობებზე.

საქართველოში მის დაბრუნებას დაემთხვა ორი მნიშვნელოვანი მოვლენა: 1918 წლის 8 თებერვალს (ძვ. სტ. 26 იანვარს) დაარსდა კავკასიაში პირველი ქართული უნივერსიტეტი, ხოლო 26 მაისს საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა. ორივე უმნიშვნელოვანესი ქართული დღესასწაული იყო, რომელშიც მონაწილეობა არ შეიძლებოდა არ მიეღო ისეთ პატრიოტ პიროვნებას, როგორიც ა. ბენაშვილი იყო.

ი. ჯავახიშვილსა და ა. ბენაშვილს დიდი ხნის ნაცნობობა აკავშირებდათ. მომავალი უნივერსიტეტის დაარსებით გულანთებული დიდი ივანე, რა თქმა უნდა, ეძებდა მაღალკვალიფიციურ კადრებს უნივერსიტეტისათვის და ასტრონომია-გეოდეზიისათვის იმ პერიოდში, ანდრია ბენაშვილზე უკეთესს, ვერც იპოვიდა.

დიდი წვლილი მიუძღვის ა. ბენაშვილს პირველი ქართული უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების დაარსებაში, მათ სტრუქტურულ მოწყობაში, სასწავლო-სამეცნიერო მოღვაწეობის სრულყოფაში, საქართველოში ასტრონომიული, გეოდეზიურ-ტოპოგრაფიული საქმიანობის განვითარებაში. ა. ბენაშვილი გახდა ქართულ უნივერსი-ტეტში 1918 წელს დაარსებული ასტრონომიისა და გეოდეზიის კათედრის პირველი გამგე, ხოლო 1920 წელს სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანი. 1919 წლის 17 დეკემბერს კი ა. ბენაშვილი ხელმძღვანელობდა უნივერსიტეტის პროფესორთა გამგეობის იმ სხდომას, რომელმაც უნივერსიტეტის რექტორად აირჩია ივანე ჯავახიშვილი.

1918 წელს ა. ბენაშვილმა უნივერსიტეტში დააარსა ასტრონომიისა და გეოდეზიის კათედრა. სწორედ აქედან დაედო სათავე საუნივერსიტეტო გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სწავლებას. გეოგრაფიისა და კარტოგრაფიის განვითარების თვალსაზრისით, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა გეოგრაფიის ინსტიტუტის დაარსებას უნივერსიტეტის ბაზაზე.

ა. ბენაშვილის საქმიანობა მხოლოდ უნივერსიტეტში მოღვაწეობით როდი შემოიფარგლებოდა. იგი გახდა იმ სამხედრო სკოლის უფროსი, რომელიც, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საქართველოში არსებულ ნაცვალთა სკოლის ბაზაზე დაარსდა. სამხედრო სკოლაში პროფესორებად ცნობილი პიროვნებები მოღვაწეობდნენ, ესენი არიან: გენერალი გიორგი კვინიტაძე, პროფესორი ივანე ჯავახიშვილი, მწერალი ვასილ ბარნაველი (ბარნოვი) და სხვანი.

1919-1923 წლებში ა. ბენაშვილი ტფილისის ობსერვატორიის დირექტორია. მას ომის შემდგომ გაპარტახებული დაწესებულების აღდგენა ერგო წილად. მან ხელახლა შექმნა სეისმური

და სინოპტიკური განყოფილებები. მისი თაოსნობით კვლავ გამოდის „წლიური მეტეოროლოგიური ბიულეტენი“. ეს ბიულეტენები იმდროინდელ პრესაშიც იბეჭდებოდა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც მან ობსერვატორიის დირექტორის თანამდებობაზე გადაგა, უკავშირდება კადრების საკითხს. მან ობსერვატორიაში სამუშაოდ მოიწვია ქართველი სპეციალისტები.

ა. ბენაშვილი იღვწის, რათა ობსერვატორია უნივერსიტეტს გადაეცეს. ეს გაზრდიდა სტუდენტთა ჩართულობას პრაქტიკულ საქმიანობაში და ხელს შეუწყობდა მათ პროფესიულ ზრდას. 1919 წლის 19 მარტს სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტის სხდომაზე მოხსენება გაკეთეს პროფ. პ. მელიქიშვილმა და პროფ. ა. ბენაშვილმა. ამ მოხსენებების საფუძველზე მეორე დღეს, 1919 წლის 20 მარტს პროფესორთა საბჭომ გადაწყვიტა — მიემართა განათლების სამინისტროსათვის, რომ მას, სათანადო განკარგულებით, „ტფილისის ფიზიკური ობსერვატორია მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონებით“ გადაეცა უნივერსიტეტისათვის.

1919-1922 წლებში ა. ბენაშვილი ხელმძღვანელობს კავკასიის სამხედრო შტაბის ტოპოგრაფიულ განყოფილებას. მასთან მუშაობდნენ: ევ. ბარამიძე (ივ. ჯავახიშვილის რუკების დამხაზველი), აგრეთვე შემდგომში ცნობილი გეოდეზისტები და კარტოგრაფები: ს. ცხაკაია (თანამედროვე ქართული კარტოგრაფიის ფუძემდებელი), გრ. ხუნჯუა, გ. ქავთარაძე, მ. ქავთარაძე (პირველი ქართული გლობუსის შემდგენელი) და სხვანი. სამხედრო ტოპოგრაფიულმა განყოფილებამ უდიდესი როლი შეასრულა მაღალკვალიფიციური გეოდეზისტებისა და კარტოგრაფების აღზრდის საქმეში. თანამშრომელთა ნაწილი შემდგომ მუშაობას იწყებს უნივერსიტეტში, რაც მნიშვნელოვანი იყო ახალგაზრდა კადრების აღზრდისათვის.

იმ ხანად სამხედრო ტოპოგრაფიული განყოფილება, ფაქტობრივად, ერთადერთი დაწესებულება იყო, რომელიც ახორციელებდა გეოდეზიურ და ტოპოგრაფიულ სამუშაოებს. ნიშანდობლივია, რომ ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს საზღვრების რუკა“, რომელიც თან უნდა დართვოდა მისსავე ნაშრომს „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“ (1919 წ.), სწორედ აქ, ტოპოგრაფიულ განყოფილებაში დამზადდა. ამის შესახებ თვით ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ამ მონოგრაფიას დართული აქვს რუკა, რომელიც დამზადებულია სამხედრო სამინისტროს ტოპოგრაფიულ განყოფილების მიერ, რისთვისაც მის უფროს პროფ. გენ. ან. ბენაშვილს და ტოპოგრაფიულს განყოფილებას დიდს მადლობას მოვახსენებ“-ო.

კიდევ სხვა ბევრის თქმა შეიძლება ანდრია ბენაშვილზე — მის ღვაწლზე, სამხედრო, სამეცნიერო თუ პედაგოგიურ მოღვაწეობაზე, მაგრამ ამას საგაზეთო სივრცე ვერ დაიტევს. ყველაფერი კი მის ღრმადგანსწავლულობასა და პიროვნულ ღირსებებზე მიგვანიშნებენ.

ვიმედოვნებთ, რომ 2018 წლის შემოდგომას, როცა დაგეგმილია ანდრია ბენაშვილის დაბადების 150 წლის იუბილეს აღნიშვნა, უნივერსიტეტი ღირსეულად შეხვდება და იგი სათანადო პატივს მიაგებს ღვაწლმოსილ ადამიანს. არჩევანი კი ორია: კეთილმოეწყოს ა. ბენაშვილის საფლავი იქ, სადაც იგი ამჟამად განისვენებს, ან როგორც ერთ-ერთი დამაარსებელი, გადმოასვენონ უნივერსიტეტის პანთეონში.

ცნობილია, რომ ა. ბენაშვილმა გაიზიარა ივანე ჯავახიშვილის ბედი. 1931 წელს მას უნივერსიტეტი დაატოვებინეს, რადგანაც იგი „რომანოვების ტახტის მსახურად“ მიიჩნიეს. მას შემდეგ მას ფეხი აღარ შეუდგამს ცოდნის ტაძარში. ალბათ, დროა, ანდრია ბენაშვილი დაბრუნდეს უნივერსიტეტში.

დალი ნიკოლაიშვილი,
მაია გურაბანიძე,
დავით სართანია

„საქართველოს ლომონოსოვი“

დიდ ქიმიკოსს, ევროპაში სახელგანთქმულ მეცნიერს, პროფესორ ვასილ პეტრიაშვილს, მისი მოღვაწეობის დასაწყისში, მენდელეევი ახალგაზრდა მეცნიერებიდან ყველაზე ნიჭიერად და პერსპექტიულად მიიჩნევდა. ვ. პეტრიაშვილი გახლდათ უმაღლესი სასწავლებლის, ოდესის (ნოვოროსიის) უნივერსიტეტის რექტორი, იგი იყო პირველი ქართველი, რომელიც უმაღლესი სასწავლებლის რექტორად აირჩიეს. მან დაგვიტოვა მეტად საჭირო სამეცნიერო წიგნები და წერილები ქართულ ენაზე. ტექნიკური ტერმინებით გაამდიდრა ქართული ენა.

მისი ოცნება იყო თავის ქვეყანაში უმაღლესი სასწავლებლის დაარსება. ვ. პეტრიაშვილის მოღვაწეობამ დიდად შეუწყო ხელი ქართული უნივერსიტეტის ჩამოყალიბების საქმეს. მისი ავტორიტეტი და სახელი იმდენად დიდი იყო, რომ, ქართველ გამოჩენილ მოღვაწეთა აზრით, ქართული უნივერსიტეტის სათავეში უნდა მდგარიყო ვასილ პეტრიაშვილი.

„მე რომ დაჯილდოებული ვყოფილიყავი პოეტური ნიჭით და მიზნად დამესახა — მომეცა სახე ყველა საუკეთესო ზნეობრივი თვისებით აღჭურვილი ადამიანისა, რომელშიც განსახიერებული უნდა ყოფილიყო გულკეთილობა შეერთებულ ჭკუასთან, მე გამოვსახავდი ვასილ მოსეს ძე პეტრიაშვილს“, — წერდა პეტრე მელიქიშვილი.

თბილისთან ახლოს, თელეთისა და კუმისის მიმდებარე სოფელ წალასყურში, 1842 წელს დაბადებულ ვასილ მოსეს ძე პეტრიაშვილს დედა ოთხი წლის ასაკში გარდაეცვალა. მამა სოფლის მღვდელი, საკმაოდ მწიგნობარი და კეთილი პიროვნება ყოფილა.

8 წლის ვასომ, მამის დახმარებით, დაიწყო წერა-კითხვის შესწავლა. ქართულს მეტ დროს ანდომებდა, მაგრამ პარალელურად რუსულის ათვისებასაც შეუდგა.

11 წლის ვასო მამამ თბილისის სასულიერო სემინარიაში მიაბარა. აქ იაკობ გოგებაშვილი მუშაობდა და დიდმა პედაგოგმა მალევე დაიახლოვა ნიჭიერი ბავშვი.

სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, ვასომ გადაწყვიტა სწავლა ოდესის (ნოვოროსიის) უნივერსიტეტში გაეგრძელებინა. პირველად იგი იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა, თუმცა მალევე გადავიდა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე სწავლის გასაგრძელებლად. 1870 წელს ამთავრებს უნივერსიტეტს და სარბიელად ქიმიას ირჩევს. მას ტოვებენ უნივერსიტეტში ტექნიკური ქიმიის კათედრის ლაბორანტად. 1873 წელს მიავლინეს ბონში სახელგანთქმული მეცნიერის, გერმანელი ქიმიკოსის ფ. კეკულეს ლაბორატორიაში. 1874 წელს იცავს სამაგისტრო დისერტაციას.

1875 წელს ირჩევენ კათედრის დოცენტად. 1877 წელს, 32 წლის ასაკში, ბრწყინვალედ იცავს სადოქტორო დისერტაციას ქიმიაში. ტექნიკური ქიმიის კურსს ის 35 წლის განმავლობაში უძღვებოდა. მუშაობდა ასევე ანალიზური ქიმიის, ორგანული და ფიზიკური ქიმიის საკითხებზე. 1878 წლიდან 1881 წლამდე სამეცნიერო მივლინებაშია პარიზში, სორბონის უნივერსიტეტში, სადაც ისეთ დიდ მეცნიერებს ხვდებოდა, როგორებიც იყვნენ ბერთლო, ვიურცი, სენკლერ — დევილი.

1881 წელს თავისი მასწავლებლის ა. ვერიგოს წარდგინებით, ირჩევენ ორდინარულ პროფესორად, 1902 წელს კი დამსახურებული პროფესორი ხდება.

სხვა, შემდგომში ცნობილ ქიმიკოსებთან ერთად, მისი მოწაფე იყო პ. მელიქიშვილი, რომელთანაც 40 წლის მეგობრობა აკავშირებდა.

1905 წელს არჩეული იქნა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანად, მას რამდენჯერმე ირჩევენ დროებით რექტორად, 1907 წლიდან კი უნივერსიტეტის რექტორად ინიშნება. მისივე წარდგინებით, დეკანად მუშაობას იწყებს მისი მოწაფე და ერთგული მეგობარი პეტრე მელიქიშვილი, რომელიც ხშირად აღნიშნავდა: „ჩემი სტუდენტობის პირველი დღიდან ვ. პეტრიაშვილის ცხოვრების უკანასკნელ დღემდე მეგობრები ვიყავით. ვასილ მოსეს ძე, როგორც უფროსი ძმა, ისე მეპყრობოდა“.

ოდესის პრესაში იწერებოდა, რომ ვ. პეტრიაშვილი იდეალური რექტორი იყო და თვლიდნენ, რომ მის მსგავსად ამ მოვალეობას, აღბათ, ვერავინ შეასრულებდა. სტუდენტობის დიდი სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა ვ. პეტრიაშვილს. სხვადასხვა ჟურნალებში და გაზეთებში აქვეყნებდა საინტერესო და საჭირო წერილებს. მისი შრომები მეტად პოპულარული იყო როგორც რუსეთში, ისე ევროპაში.

ვასილ პეტრიაშვილი

მონაწილეობდა ქალაქის სანიტარული საქმეების მოწესრიგებაში. მის მიერ მოწოდებული, მეცნიერულ საფუძველზე დამყარებული მეთოდებით, ქალაქის თვითმმართველობა აწარმოებდა საჭირო ღონისძიებებს.

დიდი როლი ითამაშა ოდესაში ქალთა განათლების საქმეში. მისი ინიციატივით და ხელშეწყობით ქალებს აგზავნიდნენ საზღვარგარეთ სასწავლებლად. დიდ ყურადღებას აქცევდა სასწავლებლად წასულ ქართველ ქალებს და მატერიალურ დახმარებასაც უწევდა მათ. 1903 წელს, ოდესაში ქალთა უმაღლესი კურსები გაიხსნა, ამ საქმეში დიდი წვლილი ვ. პეტრიაშვილსაც ჰქონდა შეტანილი.

1902 წელს, კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ საპატიო წევრად აირჩია.

მისი ლექციები გამოირჩეოდა ღრმა შინაარსით და დამსწრეთა დიდ ინტერესს იწვევდა.

ცნობილი ქიმიკოსი, პროფესორი ვ. კაკაბაძე წერდა: „ჩვენი ვალია — ზედმიწევნით შევისწავლოთ ამ გამოჩენილი მეცნიერის, მხურვალე პატრიოტის და იშვიათი ადამიანის ღრმაშინაარსიანი ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი მდიდარი მემკვიდრეობა. პეტრიაშვილი იყო წარჩინებული აკადემიური მოღვაწე, შეუდარებელი პედაგოგი და აღმზრდელი, იყო თავდადებული და უანგარო საზოგადო მოღვაწე, იშვიათი ადამიანი, შემკული ყოველგვარი მაღალი, კეთილშობილური თვისებებით და გრძნობებით, იყო მგზნებარე პატრიოტი. როგორც მეცნიერი, შეუდარებელი იყო, სტუდენტებისთვის იყო ნამდვილი მეგობარი, რომელიც ყოველთვის უწევდა მათ მორალურ თუ მატერიალურ დახმარებას“.

პროფესორ სერგი ავალიანის აზრით, „ვ. პეტრიაშვილმა პირველად შეიტანა ქართულ ენაში მტკიცე, მეცნიერული ნომენკლატურა და შექმნა ახალი, ტექნიკური საბუნებისმეტყველო მეცნიერული ენა. მაგრამ პეტრიაშვილის ნაშრომების ღირსება და მნიშვნელობა მარტო ქართული მეცნიერულ-ტექნიკური ტერმინოლოგიის შექმნით კი არ განისაზღვრება, მან პირველმა ჩაუყარა საფუძველი ქართულ საზოგადოებაში მეცნიერულ აზროვნებას“.

პროფესორი მედვედევი გულახდილად ამბობდა: „ბედნიერნი არიან აღზრდილნი ისეთ უნივერსიტეტებში, სადაც არიან ისეთი დიდი პირები, როგორიც იყო ვასილ პეტრიაშვილი. იგი მარტო მეცნიერების მასწავლებელი არ იყო, უფრო მეტად ზნეობის ცოცხალი მაგალითი და მისი მასწავლებელი გახლდათ“.

ვ. პეტრიაშვილი მეგობრობდა ნ. ნიკოლაძესთან და კონსულტაციებს უწევდა მას სოფლის მეურნეობის საკითხების მეცნიერულად გადაწყვეტის საქმეში. როდესაც ნ. ნიკოლაძემ აკაკი წერეთელს უამბო ვასილ პეტრიაშვილის ოდესაში მოღვაწეობის ამბები, აკაკიმ „საქართველოს ლომონოსოვი“ უწოდა მას.

„ვ. პეტრიაშვილი ოდესის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილების საუკეთესო ხანის საუკეთესო წარმომადგენელი იყო. რაც მან გააკეთა, კარგა ხანია შევიდა სახელმძღვანელოებში. მე ბედნიერი ვარ, რომ წილად მხვდა არა მარტო მისი მოწაფეობა, არამედ მეგობრობა მთელი ოცი წლის განმავლობაში“. „იგი ვიწრო სპეციალისტი კი არ იყო, არამედ იყო ფართედ განათლებული ქიმიკოსი, შესანიშნავი ადამიანი, ამღზრდელი და გამოჩენილი მეცნიერი“, — აღნიშნავდა დიდი ქიმიკოსი ნ. ზელინსკი, რომლის სახელობისაც არის დღეს ორგანული ქიმიის ინსტიტუტი მოსკოვში.

სამშობლოს ვ. პეტრიაშვილი არასდროს ივიწყებდა. ქართულ პრესაში ბეჭდავდა სხვადასხვა ხასიათის ნაწარმოებებს, მათ შორის ბელეტრისტულს. მისი წერილები, რომელიც სოფლის მეურნეობას ეხებოდა, დიდად ეხმარებოდა ქართველ საზოგადოებას. ის საქართველოში მევენახეობის განვითარებას და მის ტრადიციებს დიდ ყურადღებას აქცევდა. რუსულ და ქართულ ჟურნალებსა და გაზეთებში სისტემატიურად აქვეყნებდა სოფლის მეურნეთათვის საჭირო სტატიებს.

ჟურნალ „ვესტნიკ ვინოდელიაში“, რომელიც პეტერბურგში დაარსდა, შემდეგ კი გადაიტანეს ოდესაში, აქტიურად მუშაობდნენ ვ. პეტრიაშვილი და პ. მელიქიშვილი. ამასთან ორივენი იყვნენ 1901 წელს პარიზში დაარსებული მევენახეობა-მეღვინეობის საერთაშორისო კომისიის წევრები.

პროფესორ კ .მოდებაძის შეფასებით, „ვ. პეტრიაშვილმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი ქართულ საზოგადოებაში მეცნიერულ აზროვნებას. მევენახეობა-მეღვინეობის დარგში მოღვაწეობით ვ. პეტრიაშვილმა სწორი აღღო აუღო ქართველი ერის ამ ერთ-ერთ მნიშვნელოვან საარსებო წყაროს და უეჭველად ხელი შეუწყო თავის სამშობლოში ამ დარგის განვითარებას“.

გაზეთ „მოამბეში“ ხშირად იბეჭდებოდა ვ. პეტრიაშვილის წერილები: „ღვინის დაყენება“, „რძე და მისი გამოყენება“, „სითბო და მისი სარგებლობა“, „ლუი პასტერის ღვაწლი ღვინის დაყენებაში“, „ვაზი, მისი მოშენება და მოვლა“ და სხვ. ასეთი ღრმა შინაარსის ნაშრომები მაშინ რუსულადაც არ იყო გამოქვეყნებული. ქართულ ენაზე შექმნა ქიმიის სახელმძღვანელო, რომელიც, სამწუხაროდ, სხვა საინტერესო ნაშრომებთან ერთად დაკარგულა.

ქართულ ენაზე გაზეთებში გამოქვეყნებული წერილების საფუძველზე შექმნა სოლიდური, კაპიტალური სახელმძღვანელოები: 1894 წელს — „ღვინის დაყენება“; 1895 წელს — „რძე და მისი სხვადასხვაგვარად გამოყენება“; 1905 წელს — „ღვინის წარმოება,“ „ძმრის წარმოება“. საქართველოში მრავალი მნიშვნელოვანი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული მეღვინეობაში, მევენახეობაში. მისი ნაშრომები, რომლებიც მოგვიანებით დაბეჭდა მელიქიშვილმა, ეხებოდა წყალტუბოს წყლებსა და ახტალის ტალახს. ცდილობდა, წვლილი შეეტანა მარგანეცის წარმოების საქმეშიც.

თავის ნაშრომებში განიხილავდა ქვევრში ღვინის დაყენების საკითხებს, რასაც მეტად საინტერესოდ მიიჩნევდა. აღწერდა სასმელების ისეთ სატრანსპორტო საშუალებებს, როგორიცაა რუმბი, ტიკი, ტიკჭორა, კოლტი.

„საქართველოს მეღვინეებისა და სოფლის მეურნეთათვის ვ. პეტრიაშვილის ნაშრომები გახდნენ ნიადაგ სახმარ და ძვირფას სახელმძღვანელოებად. ისინი წარმოადგენენ პირველ სამეცნიერო ტრაქტატებს ქართულ ენაზე“. „ის იყო თავისი ეპოქის მოწინავე და დიდი მოღვაწე“, „მას ახასიათებდა იშვიათი თავმდაბლობა“, „იყო იდეალური რექტორი“, „სტუდენტებისათვის ნამდვილი მეგობარი იყო“. „საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობდა, არ იყო საქართველოში კუთხე, რომ მისთვის რაღაც რჩევისათვის არ მიემართათ რომელიმე მეცნიერულ-პრაქტიკული საკითხის გადასაწყვეტად“. „იყო მგზნებარე პატრიოტი,“ „ის ოცნებობდა საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის დაარსებაზე“. „მას საქართველოსთან კავშირი არასდროს გაუწყვეტია“, — ვიშველიებთ ისევ პროფესორ ვ. კაკაბაძის სიტყვებს.

1881 წელს ვ. პეტრიაშვილი დაქორწინდა ეკატერინე ყარამანის ასულ თავდგირიძეზე, რომელიც მან პარიზში გაიცნო. ქ-ნი ეკატერინე პოეტ მამია გურიელის დისწული იყო. იგი თავაზიანად და მზრუნველობით ეპყრობოდა მეუღლის მეგობრებსა და მოსწავლეებს. ამ ოჯახში შეხვდა და დაუახლოვდა ვ. პეტრიაშვილი აკაკის. აკაკიმ ვ. პეტრიაშვილის საცხოვრებელს ოდესაში „ზღვისპირა პატარა საქართველო უწოდა“. მათთან გამოუღევლად იკრიბებოდნენ საქართველოდან ჩამოსული თუ ადგილობრივი სტუმრები, ხშირად სტუდენტებიც. იმართებოდა საინტერესო წვეულებები, შეხვედრები და საუბრები. მათი ოჯახის წევრად ითვლებოდა პეტრე მელიქიშვილი.

ილიას, აკაკის და ნიკოლაძის გარდა, ვ. პეტრიაშვილთან მეგობრობდნენ და დიდ პატივს სცემდნენ გ. წერეთელი, სერგი მესხი, ივანე მესხი, იაკობ გოგებაშვილი და სხვა ქართველი გამოჩენილი მწერლები და მოღვაწეები.

თბილისში მცირე ხნით ჩამოსული ვ. პეტრიაშვილი საზოგადოებას გულითადი სითბოთი მიუღია. დიდი სიხარულით შეხვედრია მას ექვთიმე თაყაიშვილი.

ვ. პეტრიაშვილის აზრით, აუცილებელი იყო ბავშვებს პირველად ჯერ თავიანთი ენა ესწავლათ, მშობლიურ ენაზე ჰქონოდათ მიღებული განათლების საფუძველი და მერე არც სხვა ენებზე სწავლა არ გაუჭირდებოდათ, თორემ, მისი სიტყვებით — „ყველგან ისე მომხდარა, თუ ყმაწვილი პირველადვე უცხო ენაზე იწყებს სწავლასა, იმისგან ხეირი არასდროს გამოსულა“.

ერთხელ გულიც ატკინეს — სამშობლოდან შორს მყოფს რა სარგებელი მოაქვს თავისი ქვეყნისთვისო. მან კი უპასუხა — მე თუ ვერ მოვასწრებ საქართველოში დაბრუნებას და რაიმე სასარგებლო საქმის გაკეთებას, ამას გააკეთებენ ჩემი განსწავლული მოწაფეები, როდესაც ოდესიდან სამშობლოში დაბრუნდებიან, ისინი არც ისე ცოტანი არიანო.

სამწუხაროდ, ვ. პეტრიაშვილი ჯერ კიდევ ენერგიით სავსე, 1908 წელს, კარლსბადში (ახლანდელი კარლოვი ვარი), ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. მისმა გარდაცვალებამ საქართველოში დიდი გლოვა გამოიწვია, გაზეთებში წაიკითხავდით საოცრად გულთბილ და მწუხარებით აღსავსე წერილებს. ოდესელი სტუდენტობაც განიცდიდა მზრუნველის დაკარგვას, დაკარგვას „კავკასიელი გოლიათისას“, რომელსაც ჯერ კიდევ შეეძლო ბევრი კარგი საქმის გაკეთება.

გაიგო თუ არა პ. მელიქიშვილმა ვ. პეტრიაშვილის ავადმყოფობის ამბავი, სასწრაფოდ წავიდა კარლსბადში. იქედან პ. მელიქიშვილმა დეპეშით აცნობა ნ. ნიკოლაძეს პეტრიაშვილის გარდაცვალება. პ. მელიქიშვილმა მეგობარს ცოცხალს მიუსწრო და ვ. პეტრიაშვილმა, სიცოცხლის ბოლო დღეები პეტრე მელიქიშვილის მზრუნველობისა და პატრონობის ქვეშ გაატარა.

ოდესის უნივერსიტეტში პ. მელიქიშვილი 1869 წელს შევიდა. ვ. პეტრიაშვილი უკვე ამთავრებდა უნივერსიტეტს. ისინი ერთმანეთს ჯერ კიდევ თბილისიდან იცნობდნენ, განახლდა და განმტკიცდა მათი მეგობრობა, რომელიც კიდევ 40 წელს გაგრძელდა. პ. მელიქიშვილისათვის დიდი სულიერი ტრავმა იყო თავისი უფროსი მეგობრისა და მასწავლებლის გარდაცვალება.

მეგობრის გარდაცვალების გამგონე აკაკი ძალზე შეწუხებულა და ვ. პეტრიაშვილის ხსოვნას ლექსიც მიუძღვნა. „ჩუმი მოღვაწე, ნამდვილ ქართველი, სიკვდილით ქართველთ გულის მომწყვლელი“, — ასე ამთავრებდა თავის ლექსს აკაკი წერეთელი.

კარლსბადიდან ვ. პეტრიაშვილი ოდესაში გადმოასვენეს, მის დაკრძალვაზე უამრავი თბილი სიტყვა ითქვა. შემდეგ კი თბილისში გადმოასვენეს და დიდი პატივით დაკრძალეს ვერის სასაფლაოზე. ახლა — ბაგებში, ვაკის სასაფლაოზე განისვენებს. თუმცა მრავალთა აზრია, რომ იგი ბევრად მეტს იმსახურებს.

თეიმურაზ პეტრიაშვილი,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პათოფიზიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

2018 ᲬᲔᲚᲘᲪ ᲨᲗᲐᲛᲑᲔᲭᲓᲐᲕᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲛᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲛᲐ �გᲣᲜᲓᲔᲑᲛᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲯᲔᲠ ᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ. ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲛᲐᲓ ᲨᲔᲒᲕᲘᲫᲚᲘᲐ ᲛᲘᲕᲘᲩᲜᲘᲝᲗ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲐᲓ, ᲔᲡ ᲬᲔᲚᲘᲪ ᲨᲗᲐᲛᲑᲔᲭᲓᲐᲕᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ.

ᲤᲣᲢᲑᲡᲐᲚᲘ

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲤᲣᲢᲑᲡᲐᲚᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ �გᲣᲜᲓᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲡ. ᲘᲡ ᲝᲠ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲐᲢᲨᲘ ᲘᲦᲔᲑᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ. ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲑᲘᲖᲜᲔᲡ ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲗᲐ ᲚᲘ�გᲐᲖᲔ �თᲡᲣ-ᲘᲡ �გᲣᲜᲓᲛᲐ ᲠᲔ�გᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲬᲠᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓ�გᲘᲚᲘᲗ ᲓᲐᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲓᲐ ᲞᲚᲔᲘ-ᲝᲤᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲛᲐᲢᲩᲨᲘᲪ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 29 Ა�პᲠᲘᲚᲡ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ, ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲐᲓ (7-3) ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ �გᲣᲜᲓᲗᲐᲜ (FC UG). ᲑᲘᲖᲜᲔᲡ ᲚᲘ�გᲐ ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲮᲓᲔᲑᲐ. ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ �თᲡᲣ ᲐᲛ ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲐᲢᲖᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲘᲦᲔᲑᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲛ ᲔᲢᲐ�პᲐᲛᲓᲔ ᲓᲐᲣᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲔᲚᲘᲐ.

ᲡᲐᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲝ ᲚᲘ�გᲐᲖᲔ �თᲡᲣ-ᲘᲡ �გᲣᲜᲓᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲡ ᲓᲐ, ᲔᲥᲕᲡᲘ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲯᲒᲣᲤᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲐᲓ�გᲘᲚᲡ ᲘᲙᲐᲕᲔᲑᲡ. ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲐᲛ ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲐᲢᲨᲘ �გᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲕᲠᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲐᲓᲐᲖᲔ ᲬᲐᲠᲐᲓ�გᲔᲜᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲡ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ. �გᲐᲡᲣᲚ ᲬᲔᲚᲡ, �თᲡᲣ-ᲘᲡ �გᲣᲜᲓᲛᲐ ᲔᲕᲠᲝ ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲖᲔ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲐ ᲨᲔᲫᲚᲝ.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

�თᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲰᲘᲣᲜᲓᲐᲘ ᲐᲕᲢᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ �გᲣᲜᲓᲘ — �თᲡᲣ-ᲰᲘᲣᲜᲓᲐᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲐᲜᲒᲘᲗ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ, ᲡᲣᲞᲔᲠ ᲚᲘ�გᲐᲨᲘ ᲘᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲔᲑᲡ.

ᲗᲡᲣ-ᲰᲘᲣᲜᲓᲐᲘ ᲐᲛ ᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲗ ᲝᲠᲘ ᲬᲔᲚᲘᲐ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲡ. �გᲐᲡᲣᲚ ᲬᲔᲚᲡ �გᲣᲜᲓᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲐᲜᲘ „ᲐᲐ“ ᲚᲘ�გᲐᲨᲘ ᲐᲓ�გᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲫᲔᲜᲐ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ, ᲠᲐᲪ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ.

ᲐᲛ ᲡᲔᲖᲝᲜᲖᲔ �გᲣᲜᲓᲛᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲚᲘ�გᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲐ ᲓᲐᲘᲡᲐᲮᲐ ᲛᲘᲖᲜᲐᲓ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ, ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲔᲑᲘᲡ, ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲛᲔᲜᲔᲯᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲜᲐ ᲙᲘᲓᲔᲪ. ᲗᲡᲣ-ᲰᲘᲣᲜᲓᲐᲘᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲝ „ᲐᲐ“ ᲚᲘ�გᲐᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓ�გᲘᲚᲘ ᲓᲐᲘᲙᲐᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲞᲔᲠ ᲚᲘ�გᲘᲡ ᲚᲘᲪᲔᲜᲖᲘᲐ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲐ“. 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲩᲕᲔᲜᲛᲐ �გᲣᲜᲓᲛᲐ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲛᲝᲐᲮᲔᲠᲮᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲡᲐᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲝ ᲚᲘ�გᲐᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ. ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ �გᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲗᲡᲣ-ᲘᲡ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐᲔᲛᲗᲮᲕᲐ.

ᲗᲡᲣ-ᲰᲘᲣᲜᲓᲐᲘ ᲓᲐᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲢᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 21 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ 3 ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲔᲠᲘᲗ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲔᲡ �გᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲨᲘ. �გᲣᲜᲓᲡ ᲬᲕᲠᲗᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 21 ᲬᲚᲐᲛᲓᲔᲚᲗᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲙᲐᲪᲘ ᲜᲘᲙᲝ ᲩᲔᲠᲥᲔᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

„Ა“ ᲚᲘ�გᲘᲡ ᲠᲔ�გᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲐᲢᲘ �თᲡᲣ-ᲘᲡ �გᲣᲜᲓᲛᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓ�გᲘᲚᲘᲗ ᲓᲐᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲓᲐ ᲞᲚᲔᲘ-ᲝᲤᲨᲘ ᲛᲔ-4 ᲐᲓ�გᲘᲚᲝᲡᲐᲜ ᲙᲡᲣ-Ს (ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ) ᲨᲔᲮᲕᲓᲐ. ᲡᲔᲠᲘᲐ ᲝᲠ ᲛᲝ�გᲔᲑᲐᲛᲓᲔ �გᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲗᲡᲣ-ᲰᲘᲣᲜᲓᲐᲘᲛ ᲡᲐᲬᲧᲘᲡ ᲝᲠ ᲛᲐᲢᲩᲨᲘ ᲒᲐᲘᲤᲝᲠᲛᲐ ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡ ᲡᲐ�გᲖᲣᲠᲘ.

„Ა“ ᲚᲘ�გᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠ ᲡᲔᲠᲘᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲛ ᲛᲝ�გᲔᲑᲐᲛᲓᲔ �გᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲗᲡᲣ-ᲘᲡ �გᲣᲜᲓᲛᲐ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔᲓ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲡᲐᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲝ ᲙᲚᲣᲑ — „ᲢᲘᲢᲔᲑᲗᲐᲜ“ ᲛᲝᲐᲮᲔᲠᲮᲐ �გᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲐᲜ�გᲐᲠᲘᲨᲘᲗ 3-1 (89-74; 105-75; 81-87; 68-60).

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ �გᲣᲜᲓᲘ ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲡ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲡ. ᲗᲡᲣ-ᲰᲘᲣᲜᲓᲐᲘ ᲑᲔᲕᲠᲐᲓ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲔᲑᲐ ᲡᲣᲞᲔᲠ ᲚᲘ�გᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲢᲐᲠᲢᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲐᲘᲦᲔᲑᲡ.

ᲒᲐᲮᲡᲝᲜᲔᲑᲐ

ᲓᲐᲚᲘ ᲤᲐᲜᲯᲘᲙᲘᲫᲔ – ᲓᲘᲓᲘ ᲛᲗᲐᲠ�გᲛᲜᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲦᲕᲐᲬᲚᲛᲝᲡᲘᲚᲘ �გᲔᲠᲛᲐᲜᲘᲡᲢᲘ

2018 ᲬᲚᲘᲡ 24 Ა�პᲠᲘᲚᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲓᲐᲚᲘ ᲤᲐᲜᲯᲘᲙᲘᲫᲔ, ᲓᲘᲓᲘ ᲛᲗᲐᲠ�გᲛᲜᲔᲚᲘ ᲓᲐ �გᲔᲠᲛᲐᲜᲘᲡᲢᲘ, ᲗᲐᲠ�გᲛᲐᲜᲘᲡ �თᲔᲝᲠᲔᲢᲘᲙᲝᲡᲘ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲗᲛᲪᲝᲓᲜᲔ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲔᲛᲔᲠᲘᲢᲣᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ, ᲘᲕᲐᲜᲔ ᲛᲐᲩᲐᲑᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲚᲐᲣᲠᲔᲐᲢᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘ.

ᲗᲝᲛᲐᲡ ᲛᲐᲜᲘᲡ ᲠᲝᲛᲐᲜᲔᲑᲘᲡ „ᲑᲣᲓᲔᲜᲑᲠᲝᲙᲔᲑᲘ“, „ᲯᲐᲓᲝᲡᲜᲣᲠᲘ ᲛᲗᲐ“, „ᲧᲐᲚᲗᲐᲑᲐᲜᲓ ᲤᲔᲚᲘᲥᲡ ᲙᲠᲣᲚᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲠᲔᲑᲐ“ ᲗᲐᲠ�გᲛᲐᲜᲔᲑᲘ ᲣᲓᲘᲓᲔᲡ ᲨᲔᲜᲐᲫᲔᲜᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲐᲛ ᲠᲝᲛᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲛᲗᲐᲠᲗᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲣᲬᲐᲓᲝ ᲤᲚᲝᲑᲐ ᲙᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲓᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲜ ᲗᲝᲛᲐᲡ ᲛᲐᲜᲘᲡ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲦᲠᲛᲔᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲦᲬᲔᲕᲐ ᲨᲔᲫᲚᲝ, ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲔᲜᲘᲡ ᲡᲢᲘᲚᲘᲡ, ᲘᲠᲝᲜᲘᲘᲡ, ᲛᲘᲡᲘ ᲞᲠᲝᲖᲘᲡ ᲠᲘᲢᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲚᲐᲓ ᲛᲘᲢᲐᲜᲐ ᲨᲔᲫᲚᲝ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲐᲛᲓᲔ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲗᲕᲘᲗ Ქ-ᲜᲘ ᲓᲐᲚᲘᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲛᲘᲖᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲓ ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲓᲐ. ᲛᲐᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲘᲡᲘᲗᲘ ᲛᲘᲒᲜᲔᲑᲔᲑᲘ Ს�პᲔᲪᲘᲤᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲤᲐᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲝᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲠ�გᲛᲐᲜᲘᲡᲐ, ᲠᲐᲪ ᲝᲠᲘᲒᲘᲜᲐᲚᲘᲡ ᲢᲔᲥᲡᲢᲘᲡ ᲦᲠᲛᲐ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘᲡ ᲣᲜᲐᲠᲖᲔ, ᲤᲐᲥᲘᲖ ᲔᲜᲝᲑᲠᲘᲕ ᲘᲜᲢᲣᲘᲪᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲠ�გᲛᲔᲚᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲜᲘᲭᲖᲔ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲡ.

ᲓᲐᲚᲘ ᲤᲐᲜᲯᲘᲙᲘᲫᲔᲛ ᲓᲐᲒᲕᲘᲢᲝᲕᲐ ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲛᲐᲥᲡ ᲤᲠᲘᲨᲘᲡ ᲠᲝᲛᲐᲜᲔᲑᲘᲡ: „Homo Faber“ ᲓᲐ „ᲕᲘᲥᲜᲔᲑᲘ ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲒᲐᲜᲢᲔᲜᲑᲐᲘᲜᲘ“ (ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲝᲠᲘᲒᲘᲜᲐᲚᲔᲑᲘᲪ ᲡᲐᲗᲐᲠ�გᲛᲔᲚᲐᲓ ᲛᲐᲡ ᲗᲕᲘᲗ ᲐᲕᲢᲝᲠᲛᲐ �გᲐᲛᲝᲣᲒᲖᲐᲕᲜᲐ), ᲐᲡᲔᲕᲔ ᲣᲚᲠᲘᲰ ᲞᲚᲔᲜᲪᲓᲝᲠᲤᲘᲡ ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲡ „ᲐᲰᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ Ვ.-Ს ᲐᲰᲐᲚᲘ ᲕᲜᲔᲑᲐᲜᲘ“, ᲰᲔᲠᲛᲐᲜ ᲰᲔᲡᲔᲡ „ᲤᲘᲥᲠᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲡᲯᲐ“; ᲠᲐᲘᲜᲔᲠ ᲛᲐᲠᲘᲐ ᲠᲘᲚᲙᲔᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲗᲐᲠ�გᲛᲐᲜᲔᲑᲘ.

�გᲝᲔᲗᲔᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ, ᲓᲘᲓᲢᲐᲜᲘᲐᲜᲘ ᲐᲕᲢᲝᲑᲘᲝ�გᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ „ᲞᲝᲔᲖᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔ“ ᲥᲐᲚᲑᲐᲗᲝᲜᲛᲐ ᲓᲐᲚᲘᲛ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲗᲐᲠ�გᲛᲜᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ �გᲝᲔᲗᲔᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲒᲔ�გᲛᲘᲚᲘ ᲔᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲛᲗᲐᲠ�გᲛᲜᲔᲚᲘᲡ�გᲐᲜ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲘᲡ �გᲐᲛᲝ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲠ�გᲛᲐᲜᲘ, ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲒᲐᲛᲝᲣᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ.

ᲓᲐᲚᲘ ᲤᲐᲜᲯᲘᲙᲘᲫᲔᲛ, ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲗᲐᲠ�გᲛᲜᲐ ᲐᲚᲤᲠᲔᲓ ᲓᲘᲝᲜᲚᲘᲜᲘᲡ, ᲡᲘᲑᲘᲚᲔ ᲑᲔᲠᲒᲘᲡ, ᲰᲔᲚᲛᲣᲗ ᲜᲘᲓᲔᲠᲚᲔᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲔᲑᲘ. ᲛᲘᲡᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐ ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ. 2006 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲘᲒᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲗᲐᲠ�გᲛᲐᲜᲘᲗᲐᲪ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲓᲐ ᲓᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲘᲜᲒᲔᲑᲝᲠᲒ ᲑᲐᲰᲛᲐᲜᲘᲡ ᲚᲔᲥᲡᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲤᲔᲚᲘᲥᲡ ᲑᲠᲐᲣᲜᲘᲡ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲣᲠᲘ ᲚᲘᲠᲘᲙᲐ ᲗᲐᲠ�გᲛᲜᲐ ᲓᲐ �გᲐᲛᲝᲐᲥᲕᲔᲧᲜᲐ. ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲗᲐᲠ�გᲛᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ�თᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ, ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲡᲔᲕᲔ �გᲝᲔᲗᲔᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲘᲞᲔᲜᲓᲘᲔᲑᲘ.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲓᲐᲚᲘ ᲤᲐᲜᲯᲘᲙᲘᲫᲔᲛ ᲗᲐᲠᲗᲛᲜᲐ ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲠᲝᲑᲐᲥᲘᲫᲘᲡ ᲠᲝᲛᲐᲜᲘ „ᲥᲐᲚᲦᲛᲔᲠᲗᲘᲡ ᲫᲐᲮᲘᲚᲘ“ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲒᲐᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲘ�გᲜᲘ „ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘ ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ“. ᲐᲛ ᲗᲐᲠ�გᲛᲐᲜᲔᲑᲛᲐᲪ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘ �გᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲐ.

ᲓᲐᲚᲘ ᲤᲐᲜᲯᲘᲙᲘᲫᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲔᲑᲡ ᲗᲐᲠᲗᲛᲜᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲜᲐᲚᲝᲒᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲔᲞᲝᲕᲔᲑᲐᲗ, ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲙᲐᲠ�გᲐᲕᲗ ᲓᲐ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲔᲑᲐᲓ �გᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲝ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲨᲘ: „ᲗᲐᲠ�გᲛᲐᲜᲘᲡ �თᲔᲝᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲐ“ (1988); „ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ“ (1980); „ᲗᲐᲠᲗᲛᲐᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ �თᲔᲝᲠᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲢᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲕᲘᲕᲐᲚᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ“ (1995); „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲐᲠᲗᲛᲐᲜᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ“ (2001; 2005 ᲬᲬ.); „ᲔᲜᲐ, ᲗᲐᲠᲗᲛᲐᲜᲘ, ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ“ (2002).

ᲓᲐᲚᲘ ᲤᲐᲜᲯᲘᲙᲘᲫᲔ 50 ᲬᲔᲚᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲓᲐ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ �გᲔᲠᲛᲐᲜᲘᲡᲢᲘ. 1994

„კაცი – დღესასწაული“

შურთხია ბეროშვილი

მისი „ჯადოსნური“ სადირიჟორო ჯოხი იტალიის ქალაქ ბუსეტოში, ვერდის სახლ-მუზეუმში ინახება... სწორედ ამ ჯოხმა მოუტანა მას მსოფლიო აღიარება, პოპულარობა და ხალხის სიყვარული. დიდი მაესტროს — ქართველი დირიჟორის, ლოტბარის, კომპოზიტორისა და მომღერლის, საქართველოს სახელმწიფო და რუსთაველის პრემიების ლაურეატის, საქართველოს სახალხო არტისტის ჯანსუღ კახიძის ცხოვრება და შემოქმედება ბევრ „დაუვიწყართან“, „პირველთან“ და „განსაკუთრებულთან“ ასოცირდება.

იგი იყო „კაცი — დღესასწაული“ — ასე მოიხსენია თსუ-ის პროფესორმა ვალერი ასათიანმა დიდი მაესტრო 26 აპრილს თსუ-ის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტის ორგანიზებით გამართულ ჯანსუღ კახიძისადმი მიძღვნილ შემოქმედებით საღამოზე, რომელსაც სტუდენტებთან ერთად ჯანსუღ კახიძის ოჯახის წევრები, მეგობრები და კოლეგები დაესწრნენ.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ, ასევე, მომღერალი ეკა მამალაძე, ანზორ ერქომაიშვილი და ანსამბლი „რუსთავი“.

სტუდენტებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს ჯანსუღ კახიძის ბიოგრაფია. მათთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო დოკუმენტური კადრები, რომელმაც შემოინახა მისი ცხოვრების მნიშვნელოვანი მომენტები.

ჯანსუღ კახიძემ 1958 წელს დაამთავრა ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (საგუნდო სადირიჟორო განხრით) ოდისეი დიმიტრიადის სადირიჟორო ჯგუფში და სტაჟირება გაიარა საფრანგეთში იგორ მარკევიჩთან. 1958-1962 წლებში იყო საქართველოს სახელმწიფო საგუნდო კაპელას სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი. 1957 წელს ჩამოაყალიბა ვოკალური ანსამბლი „შვიდკაცა“. 1962-1971 წლებში იყო ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორი, 1965 წელს — მთავარი დირიჟორი. 1972 წელს მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაიდგა ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“. 1973 წლიდან ჯანსუღ კახიძე საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის უცვლელი სამხატვრო ხელმძღვანელი და დირიჟორი იყო. მას შექმნილი აქვს მუსიკა კინოფილმებისთვის: „შერეკილები“ — გია ყანჩელთან ერთად, „დათა თუთაშხია“ — ბიძინა კვერნაძესთან ერთად და სხვა; მისი ხელმძღვანელობით თბილისში პირველად შესრულდა მთელი რიგი კლასიკური ნაწარმოებები. მის შემოქმედებას მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იცნობდნენ. იგი დირიჟორობდა ბავარიის და ლონდონის სიმფონიურ ორკესტრებს, ასევე პარიზის, მილანის, ლა-სკალას, ვაშინგტონის, ბოსტონის, სიდნეისა და მელბურნის სიმფონიურ ორკესტრებს.

საქართველოს სახალხო არტისტმა, ფოლკლორისტმა ანზორ ერქომაიშვილმა მეგობარი და კოლეგა ასე გაიხსენა: „ბედნიერი ვარ, რომ იმ პერიოდში მომიწია ცხოვრება, როდესაც ჯანსუღ კახიძე მოღვაწეობდა. მისმა შემოქმედებამ ჩემს თვალწინ გაიარა. მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ 1957 წელს მან ფოლკლორული ანსამბლი „შვიდკაცა“ ჩამოაყალიბა, რომელმაც სულ მოკლე დროში წარუშლელი კვალი დატოვა ქართულ ფოლკლორში. მოწმე ვარ იმ დიდი წარმატებებისა, რომელიც ანსამბლმა მოიპოვა — მათ მოიარეს არა მარტო საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკები, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნები. სწორედ ჯანსუღ კახიძემ პირველმა გაუკვალა გზა ევროპაში ქართულ ფოლკლორს. იგი მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი გახლდათ. უმაღლესი კლასის დირიჟორის პირველი სიმფონიური კონცერტები დაუვიწყარი იყო. იგი სხვადასხვა ქვეყანაში დირიჟორობდა ორკესტრებს, დგამდა სპექტაკლებს, მან პირველმა გაიტანა ქვეყნის გარეთ „აბესალომ და ეთერი“, სადაც საოპერო დასს დიდი წარმატება ხვდა წილად. 2000 წელს, როდესაც იუნესკოს კომისიის წევრი გავხდი, ჩემი პარიზში ჩასვლა ჯანსუღ კახიძის გასტროლებს დაემთხვა, სადაც ის პარიზის ცნობილ ორკესტრს დირიჟორობდა. მეორე დღეს იუნესკოს კომისიაში მხოლოდ ამაზე საუბრობდნენ და აღნიშნავდნენ, რომ ასეთი მაღალი დონის დირიჟორი ღირსია მსოფლიო სამეულში შევიდესო.

დაუვიწყარია მისი გაკვეთილები, იგი არა მხოლოდ მუსიკოსებს, არამედ კარგ მსმენელებად ზრდიდა მომავალ თაობას და დღეს თუ საკონცერტო დარბაზებში მისი შვილის — ვახტანგ კახიძის კონცერტები ანშლაგით იმართება, ესეც მისი მოღვაწეობის შედეგია. ჯანსუღ კახიძემ, ასევე, უნიკალური ნიმუშები შექმნა ქართულ სასიმღერო ხელოვნებაში, თუმცა თავს კომპოზიტორად არ თვლიდა. თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი გახლდათ. იმ პერიოდში, როდესაც ქვეყანაში სამოქალაქო ომი იყო, მან არაერთი შემოთავაზება მიიღო უცხოეთიდან, მაგრამ ამჯობინა — თავის ხალხთან ერთად გამოეარა გაჭირვება. იგი იყო უანგარო მეგობარი, იშვიათი იუმორით დაჯილდოებული პიროვნება, ყველა დროის დიდ დირიჟორად და მუსიკოსად დარჩება. სასიამოვნოა, რომ უნივერსიტეტი მომავალ თაობას უნახავს ასეთი დიდი შემოქმედის სახელს“, — აღნიშნა ანზორ ერქომაიშვილმა.

ჯანსუღ კახიძის შემოქმედებაზე თსუ-ის პროფესორმა ვალერი ასათიანმაც ისაუბრა: „ჯანსუღ კახიძე ეროვნულ მეხსიერებაში სამუდამოდ აღიბეჭდა. იგი არაჩვეულებრივი მუსიკოსი, შემსრულებელი და დირიჟორი იყო. ვეთანხმები ერთ პოეტს, რომელიც ამბობდა: ჯანსუღ კახიძის გაცოცხლებულ ხალხურ სიმღერებს რომ ვისმენ, ისეთი შეგრძნებაა, თითქოს შორეული წინაპარი გელაპარაკებაო“. თუმცა, მინდა აღვნიშნო, რომ იგი, ამავე დროს, იყო მოდერნისტი, ნოვატორი, მუდმივად სიახლის მაძიებელი, რომელმაც მრავალი საინტერესო ნიმუში შექმნა.

მას ძალიან უყვარდა ახალგაზრდობა, შეეძლო მათი ნიჭიერებით აღფრთოვანება. მას ისეთი რეგისტრი ჰქონდა, რომ იმ სიმაღლიდან ყველაფერი ჰარმონიულად აღიქმებოდა. ამავე დროს, შეუვალი იყო, როდესაც საქმე პრინციპების დაცვას ეხებოდა. მისი წყალობით ქართული საზოგადოება მომსწრე ყოფილა არაერთი ზეიმისა, მას აღფრთოვანებით ხვდებოდნენ ქვეყნის გარეთაც. გვახარებს ის ფაქტი, რომ დღეს მუსიკალურ-კულტურული ცენტრი, რომელიც დიდმა მაესტრომ დააფუძნა, საიმედო ხელშია და ვახტანგ კახიძის მეშვეობით კვლავ ეროვნული კულტურის ეპიცენტრშია. ჯანსუღ კახიძე იყო „ადამიანი — დღესასწაული“, რომელიც ყოველთვის ჩვენთან დარჩება“, — განაცხადა ვალერი ასათიანმა.

ღონისძიებას ესწრებოდა ჯანსუღ კახიძის შვილი, მუსიკოსი და დირიჟორი ვახტანგ კახიძე, რომელმაც მადლობა გადაუხადა თსუ-ის სტუდენტურ თვითმმართველობას და დამსწრე საზოგადოების წინაშე მამის მოღვაწეობა გაიხსენა: „ალბათ შემთხვევითი არ არის, რომ დღეს უნივერსიტეტში ჯანსუღ კახიძეს იხსენებენ. იყო პერიოდი, როდესაც მამას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა უნივერსიტეტთან, როდესაც აქ მუსიკის მოყვარულთა კლუბი ფუნქციონირებდა. იგი ამ სცენაზე წელიწადში რამდენჯერმე კონცერტს მართავდა, რის შემდეგაც მიმდინარეობდა დისკუსიები, საუბრები მუსიკაზე და ხელოვნებაზე. მახსოვს, მამა ამ შეხვედრებიდან ყოველთვის კმაყოფილი და ერთგვარად განცვიფრებულიც მოდიოდა, რადგან ახალგაზრდები ასეთ ინტერესს იჩენდნენ კლასიკური მუსიკის მიმართ. სასიამოვნოა, რომ დღეს ჩვენ ამ კედლებში კვლავ ვიხსენებთ მის მოღვაწეობას“, — აღნიშნა ვახტანგ კახიძემ.

დიდი მაესტრო მომღერალმა ეკა მამალაძემაც გაიხსენა. „ბედნიერება მერგო, მეცხოვრა ამ ადამიანის გვერდით და სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ ჯანო კახიძეს გამორჩეული დამოკიდებულება ჰქონდა ჩემ მიმართ. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი, როდესაც ვმუშაობდით ერთად, მონაწილეობას ვიღებდი მის მიერ გამართულ კონცერტებზე. დედა, ცოტა არ იყოს, „ეჭვიანობდა“ კიდეც. დაუვიწყარია მისი საკონცერტო საღამოები, სადაც მე, როგორც მომღერალმა, პირველი ნაბიჯები გადავდგი გოგი დოლიძესთან ერთად. ამიტომ მის მიმართ მეც განსაკუთრებული გრძნობა მქონდა. მას კიდევ ბევრი სასიკეთო საქმე დარჩა გასაკეთებელი. მისი დაკარგვით საქართველომ დიდი დანაკლისი განიცადა“, — გაუზიარა თავისი ემოცია საზოგადოებას ეკა მამალაძემ.

ანზორ ერქომაიშვილი

შეხვედრაზე ჯანსუღ კახიძისეული რეპერტუარით წარსდგა ანსამბლი „რუსთავი“. ჯანსუღ კახიძის მიერ დაწერილი სიმღერები შეასრულეს მომღერალმა ეკა კახიანმა და ვახტანგ კახიძემ. როგორც თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა განაცხადეს, მომავალში მსგავსი შეხვედრებით კვლავ „გაანებივრებენ“ სტუდენტებს.

მთავარი რედაქტორი

ნინო კაკულია

მთავარი სპეციალისტი

მაია ტორაძე

ტექნიკური რედაქტორი

მანანა ჯურხაძე

ჟურნალისტები:

ნატო ობოლაძე
თამარ დადიანი
შურთხია ბეროშვილი

ფოტოკორესპონდენტი

ანა ბოლქვაძე

კომპ. უზრუნველყოფა

ზაზა გულაშვილი

რედკოლეგიის წევრები:

იაგო კაჭკაჭიშვილი,
მანანა შამილიშვილი,
თინათინ მარგალიტაძე,
თინათინ ბოლქვაძე,
ეთერ ხარაიშვილი,
რევაზ გველესიანი,
ირაკლი იმედაძე,
გიორგი ჯაიანი,
თემურ ნადარეიშვილი,
მორის შალიკაშვილი,
მაია ივანიძე,
ვლადიმერ მარგველაშვილი,
გიორგი ლობჟანიძე,
ეკა კვიტაშვილი

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 13
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)

2 22 36 62

ვებგვერდი:
newspaper.tsu.edu.ge

ელ.ფოსტა:
tsunewspaper@tsu.ge

1 ოქტომბრიდან გადაცემა „უნი-ვერსია“ გადის რეგიონულ ტელევიზიებში, რასაც საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია უზრუნველყოფს (თსუ-სა და საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან გაფორმებული მემორანდუმის თანახმად).